

ლიტერატურული საქართველო



ლიტერატურული საქართველო * LITERATURULI SAQARTVELO * ЛИТЕРАТУРУЛИ САҚАРТВЕЛО

17 ივნისი 2022წ. №14 (4049) გამომცემის 91-ე წელი ვასი 1 ლარი

Слава Україні! Героям слава!



კიდევ ერთი ნიგნი რუსეთ-უკრაინის ომის თემაზე

თვის ბოლოს ბრიტანული გამომცემლობა Gibson Square Books გამოცემს ისტორიკოს იური ფელშტინსკის ნიგნს „უკრაინის აფეთქება: რუსული ტერორის დაბრუნება და მესამე მსოფლიო ომის საფრთხე“. ეს არის ახალი, გადამუშავებული ვარიანტი იმ ნიგნისა, რომელიც ავტორმა 2015 წელს გამოაქვეყნა და რომელიც ის ჯერ კიდევ მაშინ ამტკიცებდა, რომ პუტინი სამყაროს მესამე მსოფლიო ომისკენ უბიძგებს.

შემდეგ რუსები ღიად ლაპარაკობენ. ეს იმას ნიშნავს, რომ მათ აგრესიული ზრახვები აქვთ პოლონეთისა და ფინეთის მიმართ. ნიგნში იმაზეც არის საუბარი, რომ პუტინს განზრახული აქვს, დონბასის ტერიტორიაზე განლაგოს ტაქტიკური ბირთვული იარაღი, რითაც ევროპას დაემუქრება. ევროპას დაემუქრება აგრეთვე ის ბირთვული რაკეტები, რომლებიც შეიძლება რუსებმა ბელარუსს დაუბრუნონ.

„დასავლეთი ბევრ რამეში ცინიკურია და ხშირად – უპრინციპოც, – წერს ნიგნის ავტორი. – მაგრამ, მოდი, ისიც ვთქვათ, რომ ბოლოს ის მაინც სწორ გადაწყვეტილებებს ღებულაობს ხოლმე“.

იური ფელშტინსკი მიიჩნევს, რომ ისტორიის მომავალ სახელმძღვანელოში 2022 წლის 24 თებერვალი ჩაინერება, როგორც მესამე მსოფლიო ომის დაწყების თარიღი. ისტორიკოსის აზრით, რუსეთის მიზანია, შექმნას ახალი გეოპოლიტიკური რეალობა, რადგან ის არ ცნობს საზღვრებს, რომლებიც 1991 წლის შემდეგ გაჩნდა. ის კი არა, რუსეთი არც 1918 წლის შემდეგ გავლელულ საზღვრებს ცნობს, რის შესახებაც 24 თებერვლის

შემდეგი ნაბიჯი იქნება დნესტრისპირეთი და მოლდოვის ანექსია. ომი გადავა მოლდოვაში, საიდანაც პუტინი ევროპას ახალ ბირთვულ ულტიმატუმს წაუყენებს. თუ არ დაემორჩილებიან, ლილაკს თითხ დააჭერენ, როგორც ეს ვანო ჩხიკავაძის ლექსშია, რომელიც ჩვენი გაზეთის წინა ნომერში გამოქვეყნდა. ერთადერთი ძალა, რომელსაც შეუძლია პუტინის აგრესია მეტ-ნაკლებად შეაჩეროს, ეს არის ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაცია.

დაბოლოს, ავტორი ფიქრობს, რომ ამ ომში უკრაინა ვერ გაიმარჯვებს, თუ საქმეში პირდაპირ არ ჩაერთო ნატოს ჯარები.

ნიღბების გენია

გენიალური რეჟისორი, ნოვატორი და რეფორმატორი, მოუსვენარი, დაუდგრომელი სული, რომელიც თავისუფლების ფრთებით დაფრინავდა და ქმნიდა უწყვეტ სინთეტიკურ თეატრალურ დღესასწაულს, იმ ოჯახური და ნათესაური წრიდან იყო გამოსული, რომელსაც უკავშირდება სერგეი მესხის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და სხვა დიდ ქართველთა სახელები.

კოტე მარჯანიშვილი დაიბადა 1872 წლის 9 ივნისს ყვარულში... თავბრუდამხვევი, მოძრავი, კალედოსკოპური ცხოვრება ჰქონდა: თბილისის პირველი გიმნაზია, სასკოლო წარმოდგენებში მონაწილეობა, ქუთაისისა და თბილისის სათეატრო სკვნები, ერეკლეს როლი აკაკი წერეთლის პოემაში „პატარა კახი“; ხანგრძლივი სამსახიობო და სარეჟისორო პრაქტიკა იმპერიის დიდ სივრცეზე: ბაქო, ტაშკენტი, აშხაბადი, ტულა, ქერჩი, ელიზავეტგრადი, ლუგანსკი, ვიატკა, ხარკოვი, კიევი, ოდესა, მოსკოვი, პეტროგრადი, როსტოვი. ავტორთა უსასრულო სია: კნუტ ჰამსუნი, ჰენრიკ იბსენი, ფიოდორ დოსტოევსკი, შექსპირი, ჟაკ ოფენბახი, მოდესტ მუსორგსკი, ლოპე დე ვეგა...

კოტე მარჯანიშვილი საქართველოში ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყაროთი“ დაბრუნდა. „ფუნქტე ოვუხუნა!“ – დასაწყისი ახალი ქართული თეატრისა – რუსთაველის თეატრში 1922 წელს.

შემდეგ კი დიდი ქართული ოდისეა: ზურაბ ანტონოვის „მზის დაბნელება საქართველოში“ (1922), გიორგი ერისთავის „გაყრა“ (1923), ჟან ბატისტ მოლიერის „გააზნაურებული მდაბიო“ (1924), უილიამ შექსპირის „ჰამლეტი“ (1925). ორი სეზონი ქუთაისში და შემდეგ ისევ თბილისში – ერნესტ ტოლერის „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!“ (1928), ბერნარდ შოუს „წმინდა ქალწული“, შალვა დადიანის „კაკალგულში“ (1930), პერსი ბიში შელის „ბეატრიჩე ჩენჩი“ (1930), იური ოლენას „სამი ბლენდი“ (1931), კარლო კალაძის „სახლი მტკვრის პირას“ (1931), ალექსანდრ აფინოგენოვის „შიში“ (1932), შექსპირის „ოტელო“ (1932).

კინოფილმები: „ქარიშხლის წინ“ (1925), „სამანიშვილის დედინაცვალი“ (1926), „გოგი რატინი“ (1927), „ამოკი“ (1927), „კრაზანა“ (1928), „კომუნარის ჩიბუხი“ (1929).

კოტე მარჯანიშვილი – 150



საოპერო დადგმები: დიმიტრი არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე“ (1923), რიხარდ ვაგნერის „ლოენგრინი“ (1924), ზაქარია ფალაშვილის „დაისი“ (1924), ჯოაკინო როსინის „ვილჰელმ ტელი“ (1931), იოჰან შტრაუსის „ლამურა“ (1933).

70-მდე სპექტაკლი და 6 ფილმი. იმპერიაში შექმნა თეატრალური იმპერია, რომელიც თვითონ იყო რეჟისორიც და იმპერატორიც.

როგორც ტიცინ ტაბიძე ამბობდა, მისთვის არ არსებობდა „თავისი“ კერძო თეატრი, რადგან მთელი სამყარო მისთვის იყო ერთი უზარმაზარი თეატრი.

სავსებით გულწრფელი იყო, რადგანაც ამბობდა: „თეატრი ჩემი ერთადერთი შეყვარებულია, რომლის მიმართ ჭეშმარიტად ერთგული ვიყავი, რომლისთვისაც ჩემს სიცოცხლეში არასოდეს მილაღატია და არც ვულაღატებ, სანამ პირში სული მიდგას“.

კოტე მარჯანიშვილი – ნიღბების გენია.

„სულ სხვა“ თემაზე ნივნივაძე	მთავარია რა გაგადა	ავოქა და სტილი	ერთხელ სევენი	საქართველოს სიყვარულით
ბელა გველსინაის რეპორტაჟი	გაბრიელ ტანი	ანდრო ბუაჩიძე	ზურაბ თორია	ბელა ახვლედიანი
83.2	83.3	83.4	83.6-7	83.11

10 ივნისს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საექტო დარბაზში აკადემიისა და „თამაზ ნივნივადის სახელობის ფონდის“ ინიციატივით, რომელიც გასულ წელს თამაზ ნივნივადის ოჯახის ახალგაზრდა წარმომადგენლებმა – მაია და გიორგი ნივნივადეებმა დააარსეს, გაიმართა გამოჩენილი ქართველი მწერლის, კრიტიკოსის, პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის თამაზ ნივნივადის დაბადების 80-ე წლის საიუბილეო საღამო და ფონდის მიერ გამოცხადებული ლიტერატურული კონკურსის „ფრთხილად, წინ მკითხველია!“ გამარჯვებულთა დაჯილდოება.

ვარი რედაქტორის რობერტ ოდიკაძის თამაზისადმი მიმართული სამადლობელი სიტყვა. თამაზ ნივნივადის შემოქმედებასა და მასთან პირად ურთიერთობაზე ისაუბრა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის მრჩეველმა იოსებ ჭუმბურიძემ.

ჟურნალისტიკა მარინე გიგინეიშვილმა გაიხსენა სტუდენტობის ხანა, თამაზის დასთან, ქალბატონ დოდოსთან გატარებული წლები... მან, როგორც ჟიურის წევრმა, ისაუბრა თამაზ ნივნივადის სახელობის ფონდის მიერ ჩატარებული ლიტერატურული კონკურსის შესახებ.



საღამო გახსნა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა გიორგი კვეციტაძემ.

სიტყვით გამოსვლებზე – მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა როინ მეტრეველმა, აკადემიკოსებმა რამაზ ხუროძემ, ელიზბარ ჯაველიძემ, პოეტმა ერეკლე სალღიანმა, ჟურნალისტიკა თენგიზ გაჩეჩილაძემ და „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორმა ივანე ამირხანაშვილმა ვრცლად ისაუბრეს თამაზ ნივნივადის შემოქმედებაზე, განსაკუთრებით აღნიშნეს მისი, როგორც პიროვნებისა და მოქალაქის, როლი ქვეყნისა და ერის წინაშე, მისი უდიდესი თანადგომის უნარი, რომელსაც ის ნებისმიერი გაჭირვებულის მიმართ იჩენდა. ამის დასტური გახლდათ სამაჩაბლოს გაზეთ „ცხინვალის მაცნეს“ მთავარი რედაქტორმა თამარ ნინიკაშვილმა და ამავე ჟურნალის თანამშრომელმა მაგდაკვაჭანტირაძემ პრიზები და დიპლომები გადასცეს ლიტერატურული კონკურსის გამარჯვებულებს: ანდრო ბუაჩიძეს, ვანო ჩხიკვაძეს, მარინე თექეთუანიძეს, ვასილ ბესელიას, ნინო მზესელსა და მხატვარ მალხაზ კუხაშვილს.

სამწუხაროდ, საღამოზე დასწრება ვერ შეძლო კიდევ ერთმა გამარჯვებულმა – პოეტმა ცირა შალაშვილმა.

საღამოს უწყვეტად გასდევდა თამაზ ნივნივადის ცხოვრების ამსახველი ფოტომასალა – დარბაზი ემოციურად ეხმანებოდა ეკრანზე ჩვენგან ნასული დიდი მოღვაწეების, თამაზის უახლოესი მეგობრების გამოჩენას. ვიხილეთ ისეთი უკვდავი სახეები, როგორებიც იყვნენ:

ჟიურის წევრმა, ჟურნალ „დილის“ მთავარმა რედაქტორმა თამარ ნინიკაშვილმა და ამავე ჟურნალის თანამშრომელმა მაგდაკვაჭანტირაძემ პრიზები და დიპლომები გადასცეს ლიტერატურული კონკურსის გამარჯვებულებს: ანდრო ბუაჩიძეს, ვანო ჩხიკვაძეს, მარინე თექეთუანიძეს, ვასილ ბესელიას, ნინო მზესელსა და მხატვარ მალხაზ კუხაშვილს.

სამწუხაროდ, საღამოზე დასწრება ვერ შეძლო კიდევ ერთმა გამარჯვებულმა – პოეტმა ცირა შალაშვილმა.

საღამოს უწყვეტად გასდევდა თამაზ ნივნივადის ცხოვრების ამსახველი ფოტომასალა – დარბაზი ემოციურად ეხმანებოდა ეკრანზე ჩვენგან ნასული დიდი მოღვაწეების, თამაზის უახლოესი მეგობრების გამოჩენას. ვიხილეთ ისეთი უკვდავი სახეები, როგორებიც იყვნენ:

„სულ სხვა“ თამაზ ნივნივადის

ირაკლი აბაშიძე, მუხრან მაჭავარიანი, მორის ფოცხიშვილი, ედუარდ შევარდნაძე, გურამ ფანჯიკიძე, მურმან ლებანიძე, ანა კალანდაძე, ოთარ და თამაზ ჭილაძეები...

საღამოს დასასრულს ქალბატონმა დოდო ნივნივადემ მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ხელმძღვანელობას, რომელთა ძალისხმევითაც ეს საღამო შედგა; მოკლედ აღნიშნა ქართული ლიტერატურის წინაშე თავისი ძმის დამსახურების შესახებ და სიტყვა გადასცა ჟურნალისტიკა ლია მეტრეველს, რომელმაც ნაიკითხა თამაზ ნივნივადის ბოლო წერილი, რომლითაც ის საავადმყოფოდან უკანასკნელად შეეხმიანა „ლიტერატურული საქართველოს“ თანამშრომლებს – იგი სიცოცხლის ბოლო დღეებშიც კი „ლიტერატურულ საქართველოსა“ და თავის ძვირფას მკითხველზე ფიქრობდა...



დაბოლოს, შეკრებილთ მიმართა პოეტმა მზია ხეთაგურმა, რომელმაც გამოსვლა დაასრულა ადრე დაწერილი ლექსით, რომელიც იმ დღეს თამაზ ნივნივადის ხსოვნას მიუძღვნა.

ამ დღეს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში მოსულ სტუმრებს გადაეცათ გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ ბოლო ნომერი, რომელშიც გამოქვეყნებული იყო თამაზ ნივნივადის მონოგრაფია-მანიფესტი „შერიგებისთვის“. ეს წერილი დღესაც ისევე აქტუალურია, როგორც მაშინ, როცა ის იწერებოდა...

სტუმრებმა საჩუქრად მიიღეს თამაზ ნივნივადის გარდაცვალების შემდეგ დაბეჭდი-

ლი მისი ნივნივადის „თამაზ ნივნივადის წიგნები“ და „გარეთ“, „ქვეყნის ამბები“, „რა ქვეყანაში ვის გვერდით და როგორ ვცხოვრობდით“ და „მოცლილი დღის ქრონიკები“. ეს შესანიშნავი გამოცემები თამაზის გზის ღირსეული გამგრძელებლის, ჟურნალ „დილისა“ და გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ დიდი მოამაგის, ქალბატონი დოდო ნივნივადისა და მისი ოჯახის ახალგაზრდა წევრების, მაია და გიორგი ნივნივადეების დიდი ძალისხმევითა და რუფუნების შედეგია.

ფართო საზოგადოებისთვის კარგად არის ცნობილი თამაზ ნივნივადის შემოქმედება – ის ყოველთვის მძაფრად ეხმანებოდა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს, უშიშრად ამხელდა კორუფციას და არსებულ მანკურებებს, ებრძოდა ყოველივე დრომოჭმულს, მდარეს, უხამსს. მაგრამ, ალბათ, მკითხველს ახსოვს მისი კეთილგანწყობილი წერილებიც, რომელთა მეშვეობითაც „სულ სხვა“ თამაზ ნივნივადე დავიხსენო.

თამაზ ნივნივადე აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებას ეწეოდა. მისი თაოსნობით არაერთ გამოჩენილ ქართველს დაუდგეს ძეგლი; მისი ინიციატივით გაიხსნა ან აღდგა საქართველოს რამდენიმე რეგიონში უმაღლესი სასწავლებლები და სწორედ თამაზ ნივნივადემ წამოაყენა იდეა ქართველებისთვის სათაყვანებელი გმირის – ცოტნე დადიანის წმინდანად შერაცხვის თაობაზე...

თამაზ ნივნივადე ჩვენ გვერდით აღარ არის, მაგრამ ჩვენთან არის მისი შემოქმედება – ნივნივადე აკინძული და ტომეულად დაბეჭდილი მისი თხზულებები, მისი ნაწერების დიდ ნაწილს კი ჯერ კიდევ არ უნახავს დღის სინათლე...

საღამო დამთავრდა, მაგრამ სტუმრები ნასვლას არ ჩქარობდნენ – მიუხედავად იმისა, რომ საღამო ნამდვილად შედგა, ყველას თავისი მოსაგონარი შექონდა ამ ნაღდ, უღალატო კაცზე და ფოიეში გამოსულნი კვლავ სინანულით იხსენებდნენ იმ ბედნიერ დროს, რომელიც თითოეულ მათგანს თამაზ ნივნივადესთან აკავშირებდა.

ბელა გველსიანი

მზია ხეთაგური

„ვეფხისტყაოსნი“
და ვეფხისტყაოსნი
თამაზ ნივნივადის ხსოვნას

რუსთველო, „ვეფხისტყაოსნით“ აოცებ კაცთა მოდგმას! დარდით მოკვეთილ ტაოსი ბოლოხანს ხშირად მოვთქვამ! ღმერთკაცო, გაგაქილიკეს – მგონსად რაცხავენ მჩხიბავთ; ვინც სამართალზე ქრქილებს, შენს სახელს ირგებს ნიღბად! ვაჰ, მიუვალო თავრიზო, ვაი, პირფერთა ბრწყინვავ, თაღლითნი კვლავ გეთავაზობენ, კოცონის ნაცვლად, ყინვას! ხავსმოდებულო დიდებავ, პატიოსნების კილვავ! თანდათან როგორ მცირდება წმინდა ექვთიმეს ხილვა! თევდორე მღვდლის და ილიას ღვანლო და თავგანწირვავ, გიყალბეს მედროვეებმა ფსალმუნით აღთქმა-წირვა! საით, საიდან ან ვისკენ? საით, პირფერთა ხროვავ! ვერ „ჩაიჭიკჭიკებ-ჩაიკვენეს“, ვინც გული დაითხოვა! მეფეთა ნავში ჩაყრილნი შენი სახელით სცოდვენ, ხელს აძლევთ ხსოვნაყრილი მკერდთაფლანასმული ცოტნე! როდემდე უნდა იკვებონ თავგანწირულთა სისხლით, თან საზეიმო ხრიკებით თვალს აგაფარონ ნისლი? მაინც მიგიყვანს ბილიკი იქ, სად იმოსე ტყავით, მაგრამ დღეს გაგაქილიკეს – ვეფხვად მონათლეს ყვავი!



პროზა	ვახტანგ მანუჩაძის ნაწარმოებები
პოეზია	საბა აბაშიაძე
პროზა-საბავშვო	აბრამ ხაჩიძის ნაწარმოებები
პროზა-საბავშვო	ლალა აბაშიაძის ნაწარმოებები
მარაბათი	შარვაშ აბრამიძის ნაწარმოებები

გამოვიდა ჟურნალ „ცისკრის“ მეორე ნომერი. პროზის განყოფილებაში დაბეჭდილია სამი მოთხრობა: ქეთი იმერლიშვილის „ჩრდილებიანი ველი“, ნანი მანველიშვილის „შინ“ და ნინო დილმელაშვილის „ჩემი ერთადერთი სიყვარული“.

პოეზიის მოყვარულები წაიკითხვენ ბექა ახალაიას და მურად მთვარელიძის ლექსებს.

თანამედროვე ლიტერატურულ პროცესებს ეხება ორი კრიტიკულ-ესეისტური სტატია. ამირან გომართელი აანალიზებს ლუკა ბაქანიძის მოთხრობას „და იყვნენ ხუთნი“; ლალი ავალიანი კი გვიხიარებს შთაბეჭდილებებს არჩილ ქიქოძის ახალ რომანზე „ხელიკი საფლავის ქვაზე“.

ილჰან აკინის (ბერიძის) რომანს „უხმო ქვითინი – ქართველთა გადასახლება“ გვაცნობს ავთანდილ ნიკოლეიშვილი.

ახალი თარგმანების რუბრიკით გაცნობით შერეულ ანდერსონის მოთხრობას „ამბავი კაცისა“ (ინგლისურიდან თარგმნა რუსუდან მახათაძემ)



რთულია; ალექო ცქიტიშვილის, ეკა ქვეანიშვილისა და ბოკო ჭილაძის ლექსები; ელენე ფილფანის „ფოტოსურათი გასული საუკუნიდან“ – პრემია „საბას“ ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილის ნომინაციაში გამარჯვებულ მწერალთა შემოქმედების მიმოხილვა; დავით ხიზამბარელის „რაღა დროს უოლტერ სკოტია?“ – უოლტერ სკოტის დაბადების 250-ე წლისთავისათვის.

ჟურნალ „არილის“ მეორე ნომერში დაბეჭდილია: მალხაზ ხარბედიას ანალიტიკური ესე „შეთხზული „მე“ – მწერალი და ავტობიოგრაფია“; ადამ კირშის „კულტურა როგორც კონტრკულტურა“ – ინგლისურიდან თარგმნა თამარ ლომიძემ; ზაზა ფირალიშვილის ესე „ჰომუნკულუსის დაბადება“; ნიკოლიზ ცისკარიშვილის მოთხრობა „სიკვდილი არც ისე

<p>განცხადება</p> <p>2022 წლის 25 ივნისს (შაბათს), 15 საათზე ტარდება ფაზისის (კოლხეთის) საერო-სამეცნიერო აკადემიის რიგგარეშე ყრილობა. აკადემიის წევრებს გათხოვთ, მობრძანდეთ!</p> <p>აკადემიის პრეზიდიუმი</p> <p>მისამართი: თბილისი, ივ.ჯავახიშვილის №7, ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი.</p>	<p>პრეზიდიუმის წევრები:</p> <p>ნოდარ ჭითანავა – თანაპრეზიდენტი</p> <p>მაყვალა გონაშვილი – აკადემიკოსი</p> <p>გივი სიხარულიძე – აკადემიკოსი</p> <p>ბადრი ქუთათელაძე – აკადემიკოსი</p> <p>ერეკლე სალღიანი – ვიცე-პრეზიდენტი</p> <p>გულნაზ ხარაიშვილი – ვიცე-პრეზიდენტი</p> <p>ბაკურ გულუა – აკადემიკოსი</p> <p>ზაურ ბედიანი – ვიცე-პრეზიდენტი</p>	<p>სიმონ ზაქარაია – ვიცე-პრეზიდენტი</p> <p>გელოდი ფოცხიშვილი – აკადემიკოსი</p> <p>გურამ კუპატაძე – აკადემიკოსი</p> <p>ნუგზარ სართანია – აკადემიკოსი</p> <p>ნათია ჯგუშია – აკადემიკოსი</p> <p>მურმან გელენიძე – აკადემიკოსი</p> <p>ელგუჯა ადგიშვილი – აკადემიკოსი</p> <p>ნინო უძილაური – აკადემიის წევრი</p> <p>მიხეილ ანდლულაძე – აკადემიკოსი</p> <p>დავით ყანდაშვილი – აკადემიის წევრი</p>	<p>შარაბ ხოჭოლავა – აკადემიკოსი</p> <p>ნანა ჭირაქაძე – აკადემიკოსი</p> <p>ლარისა ხაჭაპურიძე – აკადემიკოსი</p> <p>სპარტაკ ქობულაია – აკადემიკოსი</p> <p>ალექო ასლანიშვილი – აკადემიკოსი</p> <p>ელგუჯა მგელაძე – აკადემიკოსი</p> <p>რეზო ადამია – აკადემიკოსი</p> <p>ვაჟა ეგრისელი – პრეზიდენტი</p> <p>... სულ 55 ხელმოწერა.</p>
--	--	---	--

– მინდა, ინტერვიუ თქვენს ლიტერატურულ ფსევდონიმზე საუბრით დავინწყითო. როდის და როგორ იქცა სოსო გაჩავა გაბრიელ ტანიედ?

– ეს წლების წინათ მოხდა. მაშინ ხვესურეთში ვცხოვრობდი. შეიძლება იცით კიდევ, ხვესურეთში ერთი უღამაზესი ხეობა არსებობს, რომელსაც ტანიეს უწოდებენ. იქვე ამავე სახელწოდების ტბაცაა. დათო ტურაშვილი ძალიან ხშირად ამბობს, რომ ტანიეს ტბას გულის ფორმა აქვს. მე თუ მკითხავთ, მკვეთრად გამოხატული ფორმა ნამდვილად არა აქვს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ სულიერი არსება მასში რაღაც განსაკუთრებულს აუცილებლად დაინახავს. ძალიან მიყვარს ეს ტბა და ხეობა. თავისებური იდუმალეების მატარებელია და ყოველთვის მგონია, რომ ჩურჩულებს. ფსევდონიმიც მისი სიყვარულით ავიღე. მაგრამ მოგვიანებით დავფიქრდი და მივხვდი, რომ ძალიან ფრანგულად ჟღერდა და საკუთარ თავზე გაეზარაზდი, თუმცა მაინც აღარ შემიცვლია.

– ვიცი, რომ ხვესურეთში შვიდი წლის განმავლობაში ცხოვრობდით. რა განსავლათ ხვესურეთში ყოფნა?

– სიმართლე გითხრათ, აქამდე ამაზე არ მიფიქრია. ალბათ, იმიტომ, რომ ეს შეკითხვა არასდროს დაუსვამთ.

ფეიქრობ, სიყვარული და სიმართლე მასწავლა, მიუხედავად იმისა, რომ სიმართლე, როგორც წესი, მრავალნახნაგოვანია. საქმისა და ადამიანების მიმართ თავდადება და ერთგულება ხვესურეთში მასწავლა.

ახლა ვხვდები, რომ ეს ყველაფერი ხვესურეთის მონამოვარია – სრულიად სხვა ადამიანი ჩავიქვი და განსხვავებული დავბრუნდი.

– წერა ხვესურეთში ყოფნის დროს დაიწყეთ?

– კი, ხვესურეთში დაიწყე. ისე მოხდა, რომ ძალიან ბევრი თავისუფალი დრო გამომიჩნდა ამ აქტიურ მკითხველად ვიქციე. რამდენიმე წერალო, მათ შორის გაბრიელ გარსია მარკესი და მარიოს ვარგას ლიოსა განსაკუთრებულად მიყვარს. მათთან ერთად იმ პერიოდში ხელში დათო ტურაშვილის წიგნებიც ჩამივარდა. მათ შორის „ამერიკული ზღაპრები“. წერისკენ სწორედ ამ წიგნმა მიბიძგა. ჩემი პირველი ნაწარმოებები „ქანანის შვილები“ არ ყოფილა – ამ რომანამდე ერთი წლით ადრე ძალიან პატარა მოთხრობა დაწერე, რომელსაც ასეთი სათაური შეეურჩიე: „სენიორ ესტებანი სახლში ბრუნდება“.


– ერთ-ერთ ინტერვიუში თქვით, რომ წერა მყიფე ქსოვილს ჰგავს და მტვრის პატარა ნაწილაკსაც ვერ იტანს. რას გულისხმობდით?

– სულ მინდოდა ამ თემაზე საუბარი. ძალიან ხშირად მეგობრებსაც ვუბნებდი, რომ ის, რაც წერისთვის გვჭირდება, შინაგანი თავისუფლებაა. თუ შინაგანად თავისუფალი არ ხარ, წერას ვერ შეძლებ. წერის პროცესი სულ მცირე ნეგატივსაც არ გაატარებს. წერას მაშინ იწყებ, როცა შინაგანად თავისუფლები. „ქანანის შვილები“ ასეთი მდგომარეობით დაწერილი წიგნია. სულ ვხუმრობ ხოლმე, რომ იმ პერიოდში გასხვივსებული ვიყავი. გონებაში ერთი ცუდი აზრიც კი არ მიტეხავდა.

თუმცა „ქანანის“ მუშაობას სხვა არაერთი უსიამოვნება ახლდა. საკმაოდ კომპლექსიანი ადამიანი ვარ, ამიტომ, როცა ვწერდი, ნაწერს სულ ვანადგურებდი – ვნვადი ან ვხევიდი, „ქანანის“ დამთავრებული ხელნაწერი რომის ერთ-ერთ სასტუმროშიც დავტოვე, მაგრამ მაინც ვერ მოვისვენე და წერა ისევ თავიდან დაიწყე.

– „ანგელოზთა საკითხავი“ მინდა გკითხოთ: რა იყო ყველაზე დიდი სირთულე ამ რომანზე მუშაობის პროცესში? ტექსტში იგრძნობა, რომ მუდმივად არჩევანის წინაშე დგახართ

– ყველა დღე, რომანის დაწყებიდან დასასრულამდე, პირველი დღიდან ბოლო დღემდე სრული ჯოჯოხეთი იყო. გოლგოთა გავიარე. ვისაც ეს წიგნი წაუკითხავს, მიხვდება, რომ მთელი ნაწარმოები – ამბობთ, თემებში, მოტივებში – ბენვის ხიდზე გავლას, მუდმივი არჩევანის დათმობასა და გადმოცემას შორის. გამუდმებით ვფიქრობდი, კომპრომიზის სად უნდა დამეშვა და მკითხველთან რა უნდა მიმეტანა. მაგრამ წერის დროს ყოველთვის მასხოვედა ერთადერთი შეგონება: თუ მწერალი



გაბრიელ ტანიე სოსო გაჩავას ლიტერატურული ფსევდონიმი. მისი სადებიუტო რომანი „ქანანის შვილები“ 2017 წელს გამოქვეყნდა და გამოცემისთანავე ბესტსელერად იქცა. მისი მეორე რომანი „ანგელოზთა საკითხავი“ კი 2021 წელს გამოიცა.

„ანგელოზთა საკითხავი“ რწმენაზე, სამართლიანობასა და ეკლესიის შიგნით არსებულ მტკიცე ნულ პრობლემატიკაზე დაწერილი რომანია. თუმცა მწერალი – თავდაც ყოფილი სასულიერო პირი – რომანში გაშლილ თემებზე ცინიკოსის პოზიციიდან არ წერს. მისი პერსპექტივა, როგორც თავდაც ამბობს, გულგახეთილი კაცის პერსპექტივაა.

მწერალი ერთგვარად ბენვის ხიდზე გადის და წიგნის ბედს მკითხველს ანდობს.

ინტერვიუ რომანის შექმნის ისტორიაზე გვიამბობს და ქართული ეკლესიის ირგვლივ დასმულ არაერთ საინტერესო საკითხს ეპასუხება.

გაბრიელ ტანიე: „მთავარი ის კი არ არის, რა შექმენი, არაქედ ის, რა გაბედე“

ხარ, მართალი უნდა იყო. არ დავიძალავთ, საკუთარ თავთან მუდმივი ბრძოლა მქონდა და ეს წიგნიც ამ ბრძოლის შედეგია.

– მასხოვე, ერთხელ ია ანთაქსთან ინტერვიუში თქვით, რომ ძალიან მორცხვი ადამიანი ხართ და გშურთ მათი, ვისაც დაუბრკოლებლად შეუძლია წერა და ფიქრი. „ანგელოზთა საკითხავი“ საკმაოდ თამამი წიგნია. სიმართლის მოტანა იყო ის მოტივი, რამაც მწერლის სიმორცხვე დაგაძლიერა?

– ამ შემთხვევაში, მიზეზი მხოლოდ სიმართლის გადმოცემა არ ყოფილა. წიგნი, ლიტერატურისა და წერის სიყვარულმა დამანერინა, მაგრამ სიმართლის თქმაც არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო. ძალიან მიყვარს და მინდა აქაც ვახსენო მაილზ დივისის სიტყვები: *მთავარი ის კი არ არის, რა შექმენი, არამედ ის, რა გაბედე*. ეს ფრაზა „ანგელოზთა საკითხავზე“ მუშაობის დროს შუბლზე მეწერა.

მუშაობის პროცესში ძალიან დამებნარა სალმან რუსდის „ჯოჯოფე ანტონი, მეშურები“. დილის რუტინა მქონდა: კაფეში ვჯდებოდი, რუსდის რამდენიმე გვერდს ვკითხულობდი და შემდეგ რომანის წერას განვაგრძობდი. აქაც იმავე მაგიას ვგრძნობდი, რასაც „ქანანის შვილებზე“ მუშაობის დროს, თუმცა ძალიან დიდხანს მომიწია. საკუთარ თავთან ბრძოლა. „ანგელოზთა საკითხავი“ ოპერაციას ჰგავდა – ისეთი გაცდა მაქვს, თითქოს სარკომამ მოვიშორე და გაეთავისუფლდი.


– როგორ დაძლიეთ საკუთარ თავთან წინააღმდეგობა?

– ისევ მაგიას ვაბრალდებ. სხვაგვარად ვერ ვხსნი. ხშირად, როცა რომანის ფაბულა წერისკენ მიბიძგებდა, საკუთარ თავს ვუბნებოდი: „არა, არა, შეწყვიტე! ამ თემაზე წერა არ მინდა, მე მასზე ფიქრიც კი არ მინდა“. ეს იმპულსები ბოლო პერიოდში ძალიან გამიმძაფრდა. ამიტომ ბოლოს ჩემს შინაგან ხმას დავემორჩილე და წერა დაიწყე.

თავად ფაბულას გონებაში საკმაოდ დიდხანს ვამუშავებდი, ფეიქრობდი და ვხევიდი, მაგრამ წიგნი დასასრულს ირთვენახევარში, მადრიდში ყოფნის დროს დაწერე.

– ფეიქრობთ, რომ მკითხველმა „ანგელოზთა საკითხავი“ ვერ მიიღო?

– ზოგმა მიიღო და მათგან ძალიან კარგი შეფასებები და წერილებიც გამოვიღე. ვისაც ეს წიგნი წაუკითხავს, მიხვდება, რომ მთელი ნაწარმოები – ამბობთ, თემებში, მოტივებში – ბენვის ხიდზე გავლას, მუდმივი არჩევანის დათმობასა და გადმოცემას შორის. გამუდმებით ვფიქრობდი, კომპრომიზის სად უნდა დამეშვა და მკითხველთან რა უნდა მიმეტანა. მაგრამ წერის დროს ყოველთვის მასხოვედა ერთადერთი შეგონება: თუ მწერალი



მაგრამ, როცა თავად წიგნისა და მისი ლიტერატურული ღირებულების შესახებ ვსვამ კითხვას, მასხოვობენ, რომ ნაწარმოები შესანიშნავად იკითხება. ალბათ, შეამჩნევდით, რომანში ლიტერატურული ნიაღვრები არ არის, რადგან, როცა ისეთ თემაზე წერ და მსჯელობ, როგორც რწმენა ან იარაღად ქცეული რელიგია, ლიტერატურული კეკულებია რთული და თითქმის შეუძლებელია.

– მინდა რომანის სიუჟეტზე გკითხოთ. ორ პარალელურ ხაზს ავითარებთ: პირველი ლაზარეს ხაზი და იგი საპატრიარქოს მოვლენებთან და გახმაურებულ საქმის ჩანაწერებთან იკვეთება, მეორე კი ხუდაის ხაზი, რომელიც მარნეულში მცხოვრები ქართველებისა და ეთნიკური უმცირესობების – მუსულმანების თანაცხოვრების ამბებს გვიყვება. თემატურად როგორ იკვეთება რომანის ორი ხაზი?

– სიუჟეტი სიყვარულის ნაკლებობითა და იარაღად ქცეული რელიგიით იკვეთება. წიგნი თითქოს მკითხველისადმი მიმართული ჩემი ხვეწნა-მუადრებაა: *ნუ გააკეთებთ ამას*. ყველა ადამიანი ღვთის შვილია. ქრისტიანობის არსი ჩვენ ძალიან არასწორად და დამახინჯებულად გვასწავლეს. თავის დროზე მუუბნებოდნენ, რომ სამოთხეში მხოლოდ ის ადამიანები მოხვდებოდნენ, ვინც ქართველები და ამავედროულად მართლმადიდებლები იყვნენ. ამის კარგად ხნის განმავლობაში მჯეროდა. ამგვარი სწავლებისადმი ჩემი დამოკიდებულება მოგვიანებით, პარიზში ყოფნის დროს, შეიცვალა. მაშინ ლუქსემბურგის ბალთან ვცხოვრობდი. ჩემი პირველი მოთხრობა სწორედ იქ დაწერე. ბაღში მოსიკრულ ადამიანებს ვაკვირდებოდი. ერთ დღეს, ერთი მოხუცი ქალბატონი გავიცანი, რომელიც ბაღში ყოველდღე საკუთარ ძაღლთან ერთად სეირნობდა. იისფერი თმა ჰქონდა. მაშინ პირველად დავფიქრდი: რატომ უნდა მოხვდეს ეს ქალბატონი ჯოჯოხეთში, მე კი სამოთხეში? შინაგანად ვიგრძენი, რომ იგი ჩემზე ბევრად უცოდველი და კეთილი ადამიანი იყო.

– თქვენი აზრით, მთავარი პრობლემა სწავლებაშია თუ იმაში, რომ ძიება თავად შეეწყვიტეთ?

– ფეიქრობ, პირველი პრობლემა გაუნათლებლობაა, მეორე კი სიყვარულის ნაკლებობა. და, თუ ამ თემას გავშლით, აუცილებლად მივალით დასკვნამდე, რომ ამ ამბავში ლომის წილი რუსულ ეკლესიასა და მის გავლენას მოუძღვის. ხვესურეთში ყოფნის დროს, დიდთოვლობის პერიოდში, საკუთარ ოთახში ვიკეტებოდი და რუსი წმინდა მამების მოძღვრებას ვკითხულობდი. ამათ ძალიან დამაზიანა. მე-17 საუკუნეიდან დღემდე რუსი წმინდა მამების მთელი მოძღვრება ერთადერთი სწავლებაა ავტუბული – რომ შენ ადამიანი, პიროვნება, ინდივიდი არა ხარ. შენ მხოლოდ მატლი ხარ ღვთის თვალში და ყველაფერი, რასაც გასწავლიან, მოცემულობად უნდა მიიღო.

მოგვიანებით, როცა კვლევა დაიწყე, ერთი საინტერესო რამ აღმოვაჩინე: წმინდა მამები, რომელთა სწავლებასაც ვკითხულობდი, ყოველთვის იმპერატორის კართან დაახლოებული პირები იყვნენ. რუსული ეკლესია რუსული მოქონისტური პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია. მათი სწავლება ხალხის დასაბეჭავებლად მიმართული – დაბეჭავებული ხალხის მართვა გაცილებით მარტივია, დაზომბირებულ მრევლთან საჭირო. ეს ყველაფერი კი დღემდე გრძელდება.

ქართველი სამღვდლოებაც მათი გავლენის ქვეშ მოექცა. მათი სწავლება პირდაპირ გადმოიღეს და მოირგეს. ქრისტიანთა და ქრისტიანობასთან ბეერი არაფერი აქვთ საერთო. დაივიწყეს, რომ ქრისტიანობის მთავარი ღერძი თავდაბლობა და უბრალობაა...

თუმცა რომანში ამ თემებზე ჩასაფრებული კაცის პოზიციიდან არ ვწერ.

– და რომელი პოზიციიდან წერთ?

– გულგახეთილი კაცის პოზიციიდან. ჩემი წიგნი არც სარკასტულია და არც ირონიული – რეალობასა და ადამიანის ტკივილზე ვწერ.

– მინდა, რომანში აღწერილი ქართული სამღვდლოების თემას დაუბრუნდეთ. როგორია ქართული ეკლესია, რომელსაც აღწერთ?

– თუ ქრისტიანობაზე ვსაუბრობთ, უნდა ვთქვათ, რომ ის, რაც ჩვენში ქრისტიანობის სახით არსებობს, ქრისტიანობა არ არის.

ქართულ ეკლესიას პირდაპირ აქვს გადმოღებული ფარისევლობის დოგმატიკა. ფარისევლობა ახლა გახდა სალანძღავი სიტყვა, სინამდვილეში კი, ადრე, სერიოზული რელიგიური გაერთიანება იყო. ფარისევლები კვირამი ოთხჯერ მარხულობდნენ და მთელ დღეებს ლოცვაში ატარებდნენ.

მაგრამ მთავარი, რასაც ყურადღება უნდა მივაქციოთ, თავად სახარებაა. იესო ყველას ყველაფერს პატიობს, მაგრამ ფარისევლებს ვუბნებ: „ნაშობო იქედნითანო, განწმეშორენით“.

რუსებს პირდაპირ აქვთ გადმოღებული ფარისევლობა. მათთვის უბრალობა უცხო და გაუგებარია. არ იციან, რომ ქრისტიანობა, ქრისტეს უღელი ტკიპილია და მართლმადიდებლობაზე მშვიდობიანი რელიგია არ არსებობს, უპირობოდ გთავაზობს სიყვარულსა და თავდაბლობას. ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი გვიკლია მართლმადიდებლობამდე. ჩვენთვის ქრისტიანობა მომავლის რელიგიაა. ერთი და ორი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანს.

რამდენიმე წლის წინათ რუსეთში ასეთი ამბავი მოხდა: რუსულმა ეკლესიამ 30 ადამიანი წმინდანად შერაცხა და მათი კანონიზაცია გამოაცხადა. ახალმონაშე წმინდანები იყვნენ. მაგრამ მოგვიანებით ვიღაც ამ ადამიანების ბიოგრაფიით დაინტერესდა, მათი ცხოვრების გზას მისდია და აღმოაჩინა, რომ ოცდაათივე მათგანი ჩეკას აგენტები იყვნენ. სინოდი იტულებული გახდა, რომ განკანონიზაცია დაეშვა. ასეთ აბსურდში ვცხოვრობთ. თუმცა მათზე არ ვბრაზდები. ეს რუსული ეკლესიის საქმეა.

ქართულ ეკლესიას განუზომლად დიდი ზიანი მიაყენა რუსულმა ეკლესიამ – ეს რუსულმა მართლმადიდებლობამ ქრისტეს სხეული დააზიანა.

– ეკლესიის შიგნით არსებული მთელი ის პრობლემატიკა, რაც რომანშია აღწერილი, მხოლოდ იმის შედეგია, რომ რუსული ეკლესიის გავლენის ქვეშ მოვექცით?

– კი, მე ასე მგონია. ეს იმის შედეგია, რაც რუსულმა მართლმადიდებლობამ ეკლესიამ ჩვენთან საუკუნეწინააღმდეგობით დაიწყე.

რუსებს სსკეთის შორის, ძალიან მაღალ დონეზე აქვთ განვითარებული ბეჭდვითი დეპარტამენტი. მათი მაღალი თბილისშიცაა, პლენარზე. ძალიან ხარისხიანი წიგნები აქვთ და ადრე მეც ბევრს ვკიდულობდი და ვკითხულობდი. ძალიან მიყვარდა ერთი რუსი წმინდანი, მაგრამ მოგვიანებით მის სწავლებაში აღმოვაჩინე, რომ მას კავკასიელები ადამიანებად არ მიაჩნდა.

ჩვენ კი რუსული ეკლესიის ამ პოლიტიკას საპასუხოდ ვერაფერი დავუპირისპირეთ. მიუხედავად იმისა, რომ ბეჭდვითი დეპარტამენტი ჩვენც გვაქვს, იგი, მამა გაბრიელის ცხოვრების გარდა, არაფერს ბეჭდავს.

არადა, ქართული მართლმადიდებლური ეკლესია ძალიან ბევრ ისეთ ამბავს ინახავს, რომლებზეც ღირს წერა და საუბარი. ჩვენ, როგორც ვრი, უბრალობის თესლსა და პოტენციალს ვატარებთ. დააკვირდით ქართულ ეკლესიებს, პატარა, მარტივ ბაზილიკებს. ეს უბრალოების საუკეთესო გამოხატულებაა.

– მინდა, რომანის დასასრულსა და ერთ-ერთ პერსონაჟზე, ლაზარეზე გკითხოთ. ამ გმირს ძალიან დიდი დრო დაუთმეთ, მაგრამ ბოლოს თითქოს უგზოუკვლოდ დაიკარგა. სად მიდის ან როგორ სრულდება გმირი, რომელიც ეკლესიაში არსებული პრობლემების მოწმე გახდა?

– კარგია, რომ მკითხეთ, რადგან ლაზარეს ამგვარი დასასრული ჩემი წინასწარი განზრახვის შედეგია. ხშირად ამბობენ, რომ ქართული ენა ლაზარეს ენაა. ლაზარე ჩვენი ქვეყანაა, მაგრამ არავინ იცის, საით მიექანება იგი. შენ შეგიძლია ამ კითხვაზე პასუხის გაცემა? მე არ ვიცი, სად მიდის ჩვენი ქვეყანა. გმირი სახლიდან გადის და მისი ამბავიც ამით სრულდება. მინდოდა, ამგვარ დასასრულს ბევრი შეკითხვა გამოეწვია.

– ამბობთ, რომ ქართული ენა ლაზარეს ენაა და გმირის სახელიც ამ სიმბოლიკის მატარებელია. მინტერესებს, როგორ შეურიქვით სახელი დაწარჩენ პერსონაჟებს, მათ შორის ხუდაის, არზუს, ევანთიას?

– ხუდაის შემთხვევაში საქმე მარტივად, მისი სახელის ისტორიას რომანის შინაარსს პასუხობს. რომანში ვხვდებით ამბავს ბორჩალოელი ხუდაის შესახებ, რომელმაც ერეკლე მეფის დროს ბრძოლაში თავი გამოიჩინა და ჩემს გმირსაც მამამ სახელი მის პატივსაცემად დაარქვა. არხუ ქართულად ოცნებას ნიშნავს და არჩევანიც მისი ეტიმოლოგიური მნიშვნელობიდან გამომდინარე გავაკეთე. რაც შეეხება ევანთიას, ეს ძალიან საინტერესო ამბავია.

ერთი პერიოდი კონსტანტინოპოლში პონტიელი ბერძენისა და სომხების მიმართ დაწყებული გენოციდის თემაზე ვმუშაობდი. იმ ბერძენის ისტორიას ვსწავლობდი, რომლებიც კონსტანტინოპოლიდან ჩვენთან გადმოვიდნენ და აჭარის მაღალმთიან სოფლებში დასახლდნენ.

ერთ დღეს ინტერნეტი შემთხვევით ნაგანყი ერთი სტუდენტის ნაშრომი. თუ სწორად მახსოვს, „პონტიელი ბერძენების შემოსვლა საქართველოში“ უნდა ერქვას. ნაშრომს ბერძნული, მიტოვებული სასაფლაოს ფოტოებიც ერთვის. ერთ-ერთ ფოტოზე უპატრონო, 16 წლის გოგონას, ევანთიას საფლავი იყო გამოსახული. ეკალბარდებით დაფარული ის საფლავი ახლაც არსებობს. ჩემს რომანში სწორედ ამ ბავშვის სახელი გავაცოცხლე.

– ხუდაის, არზუს, ევანთიას, ლაზარეს გვერდით რომანის ერთ-ერთი პერსონაჟია ყვავიცი. ვისი ხმაა იგი სინამდვილეში?

– ჩემი ხმაა. ამასთანავე, არხუ ჩემი დაა. ჩემი დაც უსუსტად ისევე გარდაიცვალა, როგორც იგი. რომანში ერთგვარად ჩემი ბიოგრაფიული დეტალები შევიტანე.

– ბოლოს, მინდა, ინტერვიუ მკითხველზე საუბრით დავასრულოთ. როგორი მკითხველისთვისაა განკუთვნილი „ანგელოზთა საკითხავი“?

– გულწრფელად რომ გითხრათ, არ ვიცი, როგორია ჩემი იდეალური მკითხველი. არ მინდა, მოკარნახვებ ვიქციე. მკითხველი მკითხველია.

ესაუბრა ქეთი გახაკია

ანდრო ბუარძია

რეტიროსკაპტივა და დროის ნიშნები

ოდითგანვე ასე იყო - დროის ნიშანი აჩნდა ყველაფერს, რასაც ადამიანი თავისი ხელით ქმნიდა. ვინ უბრალო ხელადას ძერწავდა, ვის ნათალი ლოდებით სახლის კედლები ამოჰყავდა, სხვა შეიძლება რიტუალურ პიძნებს ან საწესჩვეულებო მოტივებს თხზავდა. ყველაფერი იმ წესის თუ შემუშავებული თარგის ან სტერეოტიპის მიხედვით კეთდებოდა, რომელიც დროის გარკვეულ მონაკვეთში იყო დამკვიდრებული. ეს ცხოვრებისეული ფაქტი ადრეკრისტიანულ ხანაში, რენესანსის ეპოქაშიც და XIX საუკუნეშიც არსებობდა, როცა ტექნიკის წარმოუდგენელ პროგრესს დაედო სათავე.

ეპოქის ზოგადი ნიშანი სულ უბრალო ნივთებშიც - ყავის ფინჯანში და დივანზე გადასაფარებელ ფარდაშიც გამოსჭვივის. კულტურის დონე და ელფერი, სტილი და მანერა ყოველდღიურობის გამჭვირვალე პრიზმაში იკვეთება. ასევე ხელოვნებაში და ლიტერატურაში - დრო აქაც სრულფასოვნად ავლენს თავის თავს. აქაც არსებობს დროისმიერი ერთი გამჭოლი ტალღა, რომელიც რაღაც ნიშნით ერთმანეთს ამსგავსებს სხვადასხვა რანგის პოეტებსა და პროზაიკოსებს. ეს მსგავსება სავსებით სხვადასხვა კომპონენტში შეიძლება გამოვლინდეს. იდენტურობა შეიძლება სქვიოდეს ფრაზოლოგიაში, ინტონაციურ რეგისტრში, ლექსიკურ სიჭრელეში ან, უბრალოდ, სათქმელში, რომელიც ზოგადი პრობლემურ-შინაარსობრივი პარამეტრებით გადაკვეთს ერთმანეთს. მაგრამ რა ხასიათისაც უნდა იყოს მსგავსება, არსებითი მინც განსხვავებაა. ხელოვნება იწყება იქ, სადაც ინდივიდუალობის მკაფიო შტრიხი იჩენს თავს. ეს შტრიხი ანიჭებს მხატვრულ ღირებულებას ამა თუ იმ პოეტის თუ პროზაიკოსის ნაწარმოებებს.

ამ გრძელეული უნიკალობის და ინდივიდუალობის წარმომჩენი შტრიხის უქონლობა კალმოსნებს პლაგიატორებად და გრაფომანებად, უკეთეს შემთხვევაში, ტექნიკოსებად და ვერსიფიკატორებად აქცევს. ჩვენი საუკუნის ათიან და ოციან წლებში ინდივიდის უნიკალობის, თვითმყოფადი პიროვნებისეული საწყისის, ორიგინალობის ფასი ჯერ კიდევ კარგად იცოდნენ. ეს თავისთავად იმას ნიშნავს, რომ პოეზია ჯერ კიდევ ერთპიროვნულად ინარჩუნებდა თავის შეუვალ უფლებებს. ვინც პოეზიაში მეტ-ნაკლებად ვერ ახერხებდა, ის ცხოვრებაში ცდილობდა გარეგნული წარჩინების ნიშნებით თავისი უნიკალობა დაემტკიცებინა. საამისო ასპარეზი კი ფართო იყო. თითქოს მკითხველთა პუბლიკაც მოითხოვდა პოეტებისგან არა მხოლოდ ლექსების წერას, არამედ ექსცესების მოწყობას. ლიტერატურული მანიფესტების და დეკლარაციების ცვენა, ერთი მხრივ, ინარჩუნებდა ლიტერატურის მტკიცე უფლებამოსილებას, მეორე მხრივ კი, გარკვეულწილად კოლექტივიზმის სულს ამკვიდრებდა და ინდივიდს ავიწროებდა. სხვათა შორის, ეს კარგად შეინიშნა ცნობილი გერმანელმა მწერალმა ალფრედ დობლინმა და საინტერესოდაც შეუთვალა ფუტურისმის მამამთავარ მარინეტის: „არასოდეს არ დაივწყით, რომ არ არსებობს ხელოვნება, არამედ არსებობს ის, ვინც ქმნის ხელოვნებას, რომ ყოველი ხელოვანი თავისებურად იზრდება და მათ განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ. ლიტერატურაში არ არსებობს მასობრივი უნივერსალური ნაწარმი. რაც საკუთარი ძალებით არ არის მოპოვებული, იმას ვერ შეინარჩუნებ. ნუ ესწრაფვით ჯოგურობას, მისგან მხოლოდ ბევრ ხმაურს მიიღებთ და ცოტა მატყლს. გამოიყვანეთ თქვენი ცხვირის ფარა სახიფათო ზონიდან, იზრუნეთ თქვენს ფუტურისმზე, მე კი ვიზრუნებ ჩემს დიობლინიზმზე“.


ვერაფერს იტყვი, მშვენიერი სიტყვებია, ოღონდ ისიც გასათვალისწინებელია, რომ მეოცე საუკუნის პირველი ნახევარი ლიტერატურაში ექსპერიმენტების, რთული ესთეტიკური ძიებების, მხატვრულ სისტემათა მოუსვენარი ცვალებადობის ნიშნით წარმართა. ეს არსებითად ამდიდრებდა გამოსახველობით არსენალს და, თუ დროდადრო დგომიდა ხიფათი ცხოვრებისაგან სრული მოწყვეტისა და თვითმიზნური ესთეტიკური გართობისა, უჭყველად გამოჩნდებოდნენ ხოლმე დიობლინის მსგავსი ადამიანები და სწორი გეზისკენ, შინაგანი წონასწორობისკენ მიუთითებდნენ მავანთ.

აქ სხვებთან ერთად შეიძლება გავიხსენოთ ესპანელი მწერალი ალონსო და მისი შესანიშნავი წერილი „ხელოვნების რეჰუმანიზაცია“. ამ წერილში მართლაც რომ ნიშანდობლივი ვითარებაა ხაზგასმული. ალონსოს აზრით, მას აქეთ, რაც ორტივამ თავისი ეპოქის ესთეტიკურ მისწრაფებებს „ხელოვნების დეჰუმანიზაცია“ უწოდა, მწერლებმა ამ ტენდენციის საპირისპიროდ სწორედ ადამიანისკენ აიღეს გეზი. ალონსო წერს: „აბსტრაქციონისტების ძიებანი მე საინტერესოდ მესახება, ვინაიდან ზოგიერთი მათგანი ნამდვილად აფართოებს ჩვენს ესთეტიკურ გამოცდილებას, ოღონდ არ უნდა დავივიწყოთ სინამდვილის ხატვა - იმ სინამდვილისა, რომელიც ადამიანთან არის დაკავშირებული. ხელოვნება

ადამიანებმა შექმნეს და იგი მუდმივად მათვე უბრუნდებათ“.

მოდერნისტული ხელოვნების ირგვლივ დასავლურ კრიტიკულ ნააზრევში ზოგჯერ სრულიად საპირისპირო, ურთიერთგამომრიცხავი თვალსაზრისები იჩენს ხოლმე თავს. ვთქვათ, ცნობილი მწერალი და ფილოსოფოსი მიგელ დე უნამუნო თავის წერილში „ხელოვნება და კოსმოპოლიტიზმი“ მოდერნიზმს ლიტერატურაში კოსმოპოლიტიზმის ფონზე განიხილავს. სწორედ კოსმოპოლიტიზმია, მისი აზრით, მოდერნიზმის ნიშანდობლივი თვისება. მოდერნიზმი კი მხოლოდ პროფესიონალთათვის შეიძლება იყოს საინტერესო.

საპირისპირო თვალსაზრისს გამოთქვამს ნორვეგიელი მწერალი დაგ სულსტადი. მისი თქმით, თუ მოდერნისტული რომანის პოეტისთვის ობიექტური რეალობის უფლებულყოფა და ამ ნიშნით პირობითობა, უჩვეულობაა დამახასიათებელი, შესაძლებელია ამ პოეტის ეროვნულ ძირებზე - მითებსა და ხალხურ ზღაპრებზე - დაფუძნება, ვინაიდან ეს



ეპოქა და სტილი

უკანასკნელიც მსგავსი ხერხებით არის შექმნილი. ყოველივე კი იმაზე მეტყველებს, რომ მოდერნისტული მწერლობა ევროპაში სხვადასხვა ნიშნით წარმოჩნდებოდა, ოღონდ ერთი ზოგადი მახასიათებელი ახლდა. საგნებისა და მოვლენების რადიკალური ტრანსფორმაციის ხელოვნება ფართო და ღრმა მსოფლმხედველობრივ სივრცეს შემოწერდა. ეპოქის სოციალური და ფსიქოლოგიური ატმოსფეროს ფონზე XX საუკუნის ადამიანის რთული შინაგანი სამყარო იხატებოდა. გავიხსენოთ თუნდაც ელიას კანეტის „დაბრმავება“, ალფრედ დობლინის „ბერლინი, ალექსანდრეპლაცი“ ან ფრანც კაფკას რომანები.

ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებისათვის, როგორც ვიცით, ფორმალური ძიებების გზა ადრევე დახშული აღმოჩნდა. ათიანი და ოციანი წლების ფეიერვერკით ელვარე ლიტერატურული ცხოვრება საფუძველშივე ამოიძირკვა. უკვე „პერესტროიკის“ ხანაში რუსეთში დაგვიანებით გამოქვეყნდა ანდრეი პლატონოვის რომანი-ანტიუტოპია „ჩევენგური“. ამ ნაწარმოებში სრულიად თავისებური, უჩვეულო და უცნაური მხატვრული ენის მეშვეობით წარმოჩნდა ტოტალიტარიზმის აბსურდული სახე, მისი მახინჯი ბუნება. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა სინამდვილეში ფორმისმიერი ძიების გზა თავიდანვე დაიხშო, ანდრეი პლატონოვმა მინც მოახერხა ისეთი მხატვრული სიმბოზის შექმნა, რომელშიც ღრმა შინაარსთან ერთად ძალზე ორიგინალური (იქნებ, საოცარიც კი) მეტაფორისტიკა ამეტყველდა. ეს იყო და არის სრულიად თვითმყოფადი სტილი, რომლის მომწესხველი ეფექტი XX საუკუნის ევროპელი კორიფეების მიღწევების დონეზეა.

აჩრდილთა ელიზიუმი

მაგონდება შემოდგომის მინურული დიღმის მასივში. ჰაერში ოქროსფერი სინათლე წრიალებდა. სკოლის ფანჯრიდან ნაშუადღევის მდუმარება იღვრებოდა ჩრდილებად კედლებზე, მერხებზე, სკამებზე, იატაკზე. ეს ის დრო იყო, როცა ყველაზე უფრო ბევრად მოსწავლეებსაც ქანცი ელეოდათ და თვალი ტუსაღვით გაურბოდათ გარეთ. უკვე ბოლო ზარის დარეკვას ველოდით, ექვსი გაკვეთილი იწურებოდა და გაკვეთილებისგან გაბზურებულებს ნუგეზით გველოდა შემოდგომის მზიანი, მიმცხრალი დღე.

ხშირად ისეც ხდებოდა, რომ მოუთმენლობისგან სულგადაღულელები ბოლო გაკვეთილს ვაცდენდით და დიღმის ტყე-პარკისკენ მივეშურებოდით. ამ ტყეში მსხმოიარე ხეები ხარობდა და ჩვენც უკითხავად ვკრეფდით ბუნების კრძალვით შემოთავაზებულ ნაყოფს. ზოგჯერ ბურთი მიგვეკონდა და ფეხბურთს ვთამაშობდით, მაგრამ რაღაც ისე არ ეწყობოდა, როგორც თავიდან გვექონდა ჩაფიქრებული. აქ უფრო სიმშვიდის იდუმალი კერა და აქა-იქ მარტოდმარტო

გაბნეული ადამიანის სულიერი ნაგასაყველი იყო, ვიღაცე სპორტული მინდორი.

სამოციან წლებში, როცა ჩვენი ზღაპრი დიღმის მისივში გადავიდა საცხოვრებლად, მე რომდენიმე წლისა ვიყავი, ტყე-პარკის განაპირა კორპუსების მაცხოვრებლები ამბობდნენ, გამთენიისას ჩვენს ყურთასმენას ბულბულის გალობა აღწევსო. მოგვიანებით ამ ტყეში სათბურები გააშენეს და ეგზოტიკურმა ფრინველებმა იქაურობა დატოვეს.

სკოლიდან დაბრუნებული ერთხანს მინ დავეყუდებოდი, მაგრამ სახლში დიდხანს არ მიჩერდებოდა გული. ვინყებდი ხეტიალს დიღმის მასივის ვრცელ ლაბირინთებში. აქ იყო ტყეც, მინდორიც, მაღალი ალვების ხეივანიც, სასაფლაოც, „დინამოს“ ბაზაც, მტკვრის სანაპიროც. საითაც გინდოდა, იქით ნახვიდოდი. უფრო ხშირად ყოველგვარი მიზნის გარეშე ვინყებდი ხეტიალს, როგორც ქნუტ ჰამსუნის „შიმშილის“ გმირი. ეს წიგნი სკოლაში დამქონდა და გაკვეთილებზე მალულად ვკითხულობდი. ამ გმირმა აღძრა ჩემში ხეტიალის ბოჰემური სურვილი და საღამოს საათებში დიღმის მასივის არც ერთი კუთხე-კუნჭული არ დამიტოვებია უნახავი, ხელშეუხები თუ ფეხდაუდგამი.

ტრიალ მინდორზე, მაღალი ალვების მიღმა თეთრი ცხენები ძოვდნენ ბალახს, მტკვრის გადაღმა მატარებლები მიქროდნენ, „დინამოს“ ბაზაზე სათადარიგო მატჩი იმართებოდა და ფერად მანისურებში გამოწყობილი ფეხბურთელები სხვაგვარი მღელვარებით ატარებდნენ ოფიციალურ შეხვედრას.

სასაფლაოზე ბევრი საინტერესო რამის ნახვა შეიძლებოდა, მაგრამ ეს მინც იმის საპირისპირო სამყარო იყო, რომელშიც მე ვცხოვრობდი. აქ ყველაფერი უკვე დასრულებულად, დღედაღულად, ჩამქრალად აღიქმებოდა. აქ იყო საფლავები, რომელთაც ჩამავალი მზის ნათელი ადგებოდა და გამოუცნობი იდუმალების მუდმივ ელფერს სძენდა.

იდუმალების ელფერი თითქოს სოფელ დიღმის და დიღმის მასივის მთელ სივრცეში იყო განფენილი. ეფემერულობის ქამელეონი თითქოს ბუნებრივად ეწერებოდა მასივისეულ ლანდშაფტში.

ერთ-ერთი ხეტიალისას მტკვრის ნაპირას მდგარი თორმეტსართულიანი კორპუსის პირველ სართულზე ნიგნების მაღაზიას გადავანყდი. აქ ჩვეულებრივ ნიგნებს შორის უიშვიათესებს მივაგენი. ეს იშვიათი ნიგნები შეუნიღბავად, განურჩევლად ეწყა თაროებზე, მაღაზიის მყუდრო კუთხეში, სადაც შესვლისა და გულდასმით თვალღერების უფლება ჰქონდა მკითხველს. აქვე გამოქვეყნდა მანამდე ჩემთვის უცნობი პოეტის, ფიოდორ ტიუტჩევის ლექსების თხელი კრებული. ნიგნი სანიშნო უბრალოებით იყო გამოცემული. თეთრ, მაგარ ყდაზე ბეჭდური ასოების ქვეშ ბალახის მწვანე ლერო ეხატა. შინმოზრუნებული გზადაგზა ვფურცლავდი ნიგნს და თანდათან მღელვარება მიტანდა, ვგრძნობდი საიდანაც გაჩენილ ჩემს იმდროინდელ განწყობილებას, ადამიანური ყოფიერების ეფემერულობის გრძნობას საოცრად ეხმაურებოდა ტიუტჩევის ლექსები! ეს გრძნობა მხოლოდ იმას შეიძლებოდა ჰქონოდა, ვინც საკუთარ თავში ჩაღრმავებას ცდილობდა. ასეთ ადამიანს კი ერთგვარი სიუცხოვე ეუფლებოდა უხეში გარესამყაროს მიმართ: «Душа моя - Элизийм тени/ Что общего меж жизнью и тобою». როცა „სილენციუმი“ და სხვა ლექსები წავიკითხე, მივხვდი, ტიუტჩევის პოეზია ნამდვილად აჩრდილთა ელიზიუმი იყო. ამავე ნიგნში გამოქვეყნებული პოეტის პირადი წერილების მეშვეობით გამალბებით ვიკვლევდი გზას ამ ელიზიუმში. XX საუკუნის ერთი პოეტი ტიუტჩევის წერილების შესახებ წერს: „მისმა წერილებმა შემოგვინახა ის პირველქმნილი ნისლოვანება, ის სულისმიერი ქაოსი, რომლიდანაც ვარსკვლავით დაიბადა მისივე ლექსები“.

ასლაც მიჭირს აუღელვებლად წაკითხვა იმ წერილებიდან ადრევე ამოკრეფილი და თარგმნილი ფრაგმენტებისა: „როცა ყოველწამიერად გრძნობ ირგვლივ მყოფი საგნების სიმყიფეს და მერყეობას, არსებობა უაზრო კომპარად წარმოგიდგება“. ან ვთქვათ, ასეთი: „რა საოცრებაა ძილის საუფლო სინამდვილის ბინიერებასთან შედარებით!.. ამიტომაც მგონია, რომ ყველაზე სრული და სავსე ცხოვრება ძილის საუფლოშია შესაძლებელი“. იქვე ასეთი ჩანაწერია: „არა, ადამიანური ცხოვრების არამდგრადობა და სიმყიფე ერთადერთი რამაა ამქვეყნად, რასაც ორატორული ენაშქვერობა ვერ დაფარავს“. შემდეგ პოეტის ერთ-ერთი ფრანგული ლექსის პერიფრაზია მოყვანილი: „რა მცირეოდენი რამაა ადამიანი, რა ადვილია მისი გაქრობა, როცა აქ არის, მცირე წერტილივითაა, გაქრება და მთელ სამყაროში განიხნევა“.

კიდევ შემძლო სხვა ფრაგმენტების გახსენება ან ამონერა, მაგრამ, ვფიქრობ, საკმარისია. ამ წერილებმა ხომ იმიტომ შეინარჩუნა დღემდე მნიშვნელობა, რომ მათგან არაჩვეულებრივი ლექსები იშვა. ამ ლექსებს კი მე შემთხვევით გადავანყდი, ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე, დიღმის მასივში, უაზრო და უმიზნო ხეტიალისას, შემოდგომის მინურულს, მტკვრის ნაპირას მდგარი თორმეტსართულიანი კორპუსის პირველ სართულზე გახსნილ ნიგნების მაღაზიაში, რომელიც იმავე წელს სამშენებლო ფიცრების საწყობად გადააკეთეს.


▶▶ ბავრძელაბა, დასაწყისი „ლს“ №13

შალვა საბაშვილი

და რახან ასეა, ბარემ ცოტა შორსაც წავიდეთ (ესეც ყურადღებასიძვენიერია): აქ ნახსენები ტიპის შეცდომები ცნობილი პოეტების შემოქმედებაშიც შემხვედრია. მაგალითად, ტიციან ტაბიძის ერთ ლექსში ვკითხულობთ: „აქა ლებეიან ჩვენ მამების კუბოს ფიცარი“ (საუბარი ავტორისა და გალაკტიონ ტაბიძის მამებს შეეხება). ავტორმა რიცხვში შეათანხმა შემასმენელი („ლებიან“) და მსაზღვრელი („მამების“), რაც არცთუ უმთავრესი იყო, და საქმე მომთავრებულად მოეჩვენა, მაგრამ გამორჩა მთავარი: შემასმენლისა („ლებიან“) და ქვემდებარის („ფიცარი“) შეთანხმება. გამოვიდა კი „ლებიან ფიცარი“. მსგავსი ხარვეზი მოიკიბნება ტერენტი გრანელთანაც: „მიპყრობს ავი ზმანება, თვალი ცრემლებს დანება, / თავს იკლავენ ზარბთან ყვავილების სერია“ (ქვემდებარე „სერია“ მხოლოდობით რიცხვშია – მრავლობითში იქნებოდა „ყვავილების სერიები“, შემასმენელი კი, „თავს იკლავენ“ – მრავლობითში), და, საქმაოდ დიდი რაოდენობით, გალაკტიონ ტაბიძისთანაც. აი ერთი მისი ნიმუში: „იქ ილუბიან თეთრად ნაგები/ ბოლოსკების ნელი შენება“. ამ შემთხვევაშიც ავტორმა შემასმენელი („ილუბიან“) რიცხვში შეთანხმდა არა ქვემდებარეს („შენება“), არამედ მსაზღვრელს („ბოლოსკები“) და მიიღო აშკარად არასწორი „ილუბიან შენება“. მე, რა თქმა უნდა, რამდენადმე მაოცებს ასეთი მაღალი რანგის სიტყვის ოსტატთა თუნდაც იშვიათი ენობრივი ლაფსუსები, მაგრამ გარკვეულ გამართლებასაც ვუძებნი მათ: პოეტი ლექსის შექმნისას ძირითადად სხვა, არაგრა-მატიკულ, უფრო მაღალი დონეზე მდებარე პრინციპებს ემყარება – პოეტურ სახელთა მიგნებაზე ფიქრობს, ამიტომ აღარ ჰყოფს ენერგია ტექსტის სიტყვიერი დახვეწისათვის და შეიძლება უნებლიე ლაფსუსები გაეპაროს, შემდეგ კი ერთხელ უკვე ფორმირებული მცდარი ფორმების ერთგვარ ტყვეობაში რჩება და ვეღარც ამჩნევს მათ. გაცილებით უფრო მაკვირვებს რედაქტორებისა და, საერთოდ, კრიტიკოსების უმოქმედობა, რომლებიც ვალდებულია იყვნენ და სამუშაოებს შიშობდნენ, მიუთითებინათ ავტორებისთვის ამგვარ ხარვეზებზე, რათა ისინი დროულად გასწორებულიყო. ეჭვი არ მეპარება, რომ ნებისმიერი რანგის პოეტი მადლიერებით მიიღებდა ამგვარ დახმარებას. იმისი თქმა კი, რომ არავინ არ უნდა შეეინ-ნაღმდეგოს პოეტის ნებას, სასაცილოა. ხომ ცნობილია, რა მოურიდებლობით იჭრებოდნენ სათანადო უფლებებით აღჭურვილი მუშაკები პოეტურ თუ პროზაულ ტექსტებში, შეჰქონდათ ნებისმიერი სწორება და თვით გალაკტიონიც კი რარიგ ადვილად თანხმდებოდა ამგვარ სწორებებს. ასე რომ, ყველაფერი შეიძლება და თავის დროზე, ავტორთა სიცოცხლეშივე გასწორებულიყო უმტიკინეულოდ. ეგებ, არც ახლა გვიან? ეს საკითხი შედარებით ვრცლად მაქვს განხილული ჩემს წერილში: „გალაკტიონ ტაბიძის ზოგიერთი ლექსის ინტერპრეტაციისათვის“ (კრებული „გალაკტიონის სემინარის ჩანაწერები“, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1998 წ., რედ. რ. მიშველათაძე). ახლაც ვფიქრობ, რომ შეიძლება ღირდეს სათანადო რწმუნებებით აღჭურვილმა კომისიამ ცალის რაიმე გამოსავლის მოძებნა ამ მდგომარეობიდან (ბოლოს და ბოლოს, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტში შემწივლ ლაფსუსებს ასწორებენ). ზემოთხსენებული ლექსები ხომ სამუდამოდ დარჩება ქართულ ლიტერატურაში, ამიტომ სასურველია მათში არ იყოს რაიმე, რაგინდ მცირე ხარვეზი. ეგებ, სათანადო სწორი ფორმები თვით ამ პოეტთა არქივშიც მოიძებნებოდა, ან ტექსტებში აუცილებელ მცირე კორექტივთა შეტანა თვით ამ პოეტთა დანარჩენმა შემოქმედებამ თანამართლოს?

3. ბოლო ხანებში ძალიან გახშირდა ზმენებისათვის უარყოფითი „არ“ ნაწილაკის დართვა სათანადო მოქმედების უარყოფის მიზნით. საქმე უფრო სახელზმენებს ეხება. რა თქმა უნდა, ზოგჯერ, შეიძლება ხშირადაც, ეს დასაშვებია ან აუცილებელიც, რადგან ენამ ამას უკვე მისცა ვიზა. მაგალითად, კლასიკური შექსპირისეული ფრაზა: „ყოფნა? არყოფნა? საკითხავი სწორედ ეს არის“ უკვე დამკვიდრებულია ქართულ ცნობიერებაში (თუმცა ივანე მაჩაბლის ბრწყინვალე თარგმანის ზოგად ფონზე რა სიზუსტით გადმოსცემს იგი დედანს, ამ კითხვის ზუსტ პასუხი არ ვიცი. სახელდობრ, მეჩვენება, აქ აზრი არა ინფი-

წერის მაღალი კლასისათვის



ნიტივით, არამედ სხვა, გაცილებით უფრო აქტიური ფორმით უნდა გადმოიქცეს). გრიგოლ აბაშიძემ დიდებული ლექსიც დანერგა სიცოცხლის ბოლო ფაზს სათაურით „არყოფნისაკენ“. სხვა ნიმუშებიც შეგვიძლია მოვიძიოთ („ქონა“, „არქონა“), მაგრამ უმეტესწილად მაინც ამგვარი ფორმები ხელოვნურობის შთაბეჭდილებას ქმნიან და „უ-ობა“ თავსართ-ბოლოსართების მეშვეობით წარმოქმნილი სიტყვები მათზე ბევრად უფრო ბუნებრივი არიან. მაგალითად, დასაშვებია „არნახვა“ („ამ ფილმის არნახვა როგორ შეიძლება?“), მაგრამ „უნახვა“ გაცილებით სახიერია. ბოლო ხანებში გამოჩნდა „არშესვლა“ (პარლამენტში), მაგრამ განა „შესვლელი“ ბევრად უკეთესი არაა? ამონერილ ნიმუშებიც: „როდესაც ქვეყანაში არის დიდი გამოწვევები, ოპოზიციის არგა-ერთიანება დანაშაულია“ სიტყვა „არგაერთიანება“ ძალზე ხელოვნური ჩანს. არა მგონია, იგი ვინმემ გამოიყენოს ბუნებრივ საუბარში. მას გაცილებით ჯობს „გაერთიანებლობა“. საერთოდ კი, რა აუცილებელია თუნდაც ამ უკანასკნელის ხმარება? განა სხვაწარად ვერ გამოუთქვამთ იმავე აზრს? თუნდაც ასე: „ოპოზიციის აუცილებლობა უნდა გაერთიანდეს“ ან „თუ ოპოზიცია არ გაერთიანდება, ეს დანაშაულის ტოლფასი იქნება“ და სხვ.

შეცდომათა მორიგ კლასზე გადასვლამდე ბარემ მკითხველს გაუფხვლ, რომ ძალიან არ მეპიტნავენა ბოლო ნიმუშში შემავალი სიტყვა „გამოწვევები“. ეს სიტყვა მუდამ არ იყო ქართულ ტექსტებში – იგი ბოლო წლების წარმონაქმნია. ვგონებ, სულაც უცხოელიდან გვეჩვენა, თანაც ზუსტად დღესაც არ ვიცი, რას გულისხმობს. აქამდე ვიცოდი გამოწვევა დუელი ან ცეკვაში, აქ კი ვგონებ სიძნელე, პრობლემები, რალაც მოუთმენელი ვითარება თუ გადაუჭრელი საკითხები უნდა ივარაუდებოდეს. იქნებ, სულაც არაა ეს სიტყვა საჭირო? გარეგნულად იგი ვითომ რალაც მისაბაძს, მაღალს, აღმაფრთოვანებელს გულისხმობს, მაგრამ სინამდვილეში მისი სულ სხვა, სანინამდვილეყო ყაიდის რეალობას რომ აღნიშნავს, ამას შორიდან ვგრძნობ. ერთგვარად თითქმის კომპაკტიურულ-მონოდებითი ელფერიც დაჰკრავს. თუ ვინმე განმიმარტავს, გამიხარდება.

4. დამოკიდებული წინადადების უხერხული ფორმები.

ამ შემთხვევაში ზოგ ავტორს სიძნელეს უქმნის წინადადების რომელიმე წევრი (ქვემდებარე, დამატება, განსაზღვრება), გამონათქვამი დამხმარე სიტყვის მეშვეობით, რაც ურთულესს აზრის გაგრძელებას: იგი იძულებული ხდება, შეცვალოს თხრობის მიმართულება, რათა როგორმე მოახდინოს თავისი სათქმელს, მაგრამ ამას ჩიქორთულობის ხარჯზე ახერხებს. აი, ნიმუშიც: „ის თანამემამულეები, რომლებიც არ არიან ქრისტიანები, მათი აზროვნებაც ტრადიციულ ღირებულებებს ეფუძნება“. წინადადება ისე გაუმართავია, თითქოს უცხოელი საუბრობდეს. იგი ქვემდებარით იწყება, რადგან პირველი ექვსსიტყვიანი მონაკვეთი აზროვნებად ეკვივალენტურია ორსიტყვიანს: „არაქრისტიანი თანამემამულეები“, მაგრამ მთხრობელი ვერ ძებნის აზრის ბუნებრივ დასრულებას, ამიტომ კურსს ცვლის და განსაზღვრებაზე გადადის („მათი მოქმედება“). შეეძლო კი მარტივად მიეყვანა აზრი ბოლომდე: „ის თანამემამულეებიც, რომლებიც არ არიან ქრისტიანები, ტრადიციული ღირებულებების შესაბამისად აზროვნებენ“. ან: „არაქრისტიანი თანამემამულეების აზროვნებაც ტრადიციულ ღირებულებებს ეფუძნება“. ამ ტიპის დარღვევები მრავალი ვარაიაციით გვხვდება საგაზეთო წერილებში.

5. სიტყვა „ციფრის“ არამართებული ხმარება სიტყვა „რიცხვის“ ნაცვლად. ესაა უსაზღვროდ გავრცელებული ცდომილება

(თანაც არა მარტო საქართველოში), რომელიც ისეთ ავტორებსაც მოსდით, რომლებსაც საქმაოდ უჭრით კალამი. თითქოსდა ყველა შეთანხმდა, რომ ამგვარი შეცდომის დაუშვებლობა უხერხულია. თვით შეცდომის მიზეზი კი, უბრალოდ, მოტანილი ორი სიტყვის მნიშვნელობათა უცოდნელობაა. საქმე ძალიან მარტივია: „რიცხვი“ აღნიშნავს რაიმე რაოდენობას, „ციფრა“ კი მხოლოდ რიცხვების ჩასაწერად მოგონილი წერიტი ნიშანია. რიცხვთა რაოდენობა უსასრულოა: 1,2,3,... დაუსრულებლად (ე.წ. ნატურალური რიცხვები), 4, -2,... (მთელი რიცხვები), 4/5-ის ტიპის (რაციონალური) რიცხვები, ირაციონალური რიცხვები (მაგალითად, ე.წ. „პირიცხვი“, რომელიც გამოსახავს წრენიისა და მისივე დიამეტრის სიგრძეთა შეფარდებას) – იგივე უსასრულო არაპერიოდული ათწილადები, და სხვ. ციფრთა რაოდენობა კი შეზღუდულია. ჩვენ, დედამიწელები, უმეტესწილად თვლის ათობით სისტემას ვიყენებთ, რაც ჩვენი ხელების თითების რაოდენობას უკავშირდება, ამიტომ გვაქვს ციფრები: 0,1,2,3,4,5,6,7,8,9, სულ ათი ცალი. ოღონდ არსებობს თვლის სხვა სისტემებიც: ორობითი, სამობითი, ცხრაობითი, თორმეტობითი და ა.შ. უსასრულო რაოდენობით. მაგრამ, ვიმეორებ, ცხოვრებისეულ პრაქტიკაში ჩვენ ძირითადად ათობით სისტემას ვიყენებთ, ამიტომ ციფრაც მხოლოდ ათი გვაქვს. ამიტომ უაზროა „სისტრონომიული ციფრი“ (ძალიან დიდი ციფრის მნიშვნელობით) და ყველა სხვა მსგავსი ტიპის გამოთქმა. ციფრს, საერთოდ, სიდიდე არც მიენერება. მაგალითად, ციფრი 5 არაა ციფრ 2-ზე არც დიდი, არც პატარა, არც მისი ტოლი. მხოლოდ ციფრ 5-ით აღნიშნული რიცხვია ციფრ 2-ით აღნიშნულ რიცხვზე მეტი. ამიტომ სრული გაუგებრობაა ნიმუშები, რომლებიც ამონერილი მაქვს: „317 საქმაო ციფრია“ (იგულისხმება „საქმაოდ დიდი“); „ყოველწლიურად 5000 კი ძალიან დიდი ციფრია საქართველოსათვის“. მაგრამ 5000 რიცხვია და არა ციფრი! „5 000 არის ჩვენი ბუნებრივი მატების აღმნიშვნელი ციფრი ბოლო წლების განმავლობაში, ანუ ჩვენთან წლის განმავლობაში დაბადებათა რიცხვი გარდაცვალებათა რიცხვს დაახლოებით 5-6 ათასით აღემატება“. აქ ყველგან „ციფრის“ მაგიერ „რიცხვი“ უნდა ეწეროს. კიდევ კარგი, ბოლოს ორგან „რიცხვი“ წერია, თორემ უფრო მეტ გაუგებრობას მივიღებდით.

აი, კიდევ უფრო გაუგებარი წინადადება: „რალა ახლა დაედებოდა ექვსნიშნა ციფრის ფასი?!“. ციფრი ხომ აღნიშნავს, სიმბოლო. როგორ შეიძლება იგი მრავალნიშნა იყოს? ექვსნიშნა მხოლოდ იგი რიცხვი შეიძლება გვეჩვენდეს, ამისთვის კი მისი ჩანაწერი ზუსტად ექვსი ციფრით უნდა გამოისახებოდეს. თვლის თერთმეტობით სისტემაში ბოლო ციფრი „10“ კი არ იქნება, არამედ რაიმე მარტივი სიმბოლო. ციფრები მათემატიკოსებმა რიცხვთა ჩანერის გასამარტივებლად შემოიღეს, თორემ თავდაპირველად ერთს ერთი ჯოხით აღნიშნავდნენ, ორს – ორი ჯოხით და ა.შ. (ამისი ნაკვეთი ადვილად ჩანს თვლის რომაულ სისტემაში I, II, III, IV, ...).

ბოლო ნიმუში კი ასეთი ამომინერია: „ავლობებს სპორტის სხვა სახეობა განვაგითაროთ, ვიდრე ორნიშნა ციფრით ნავაგოთ გუნდებთან“, – ასე წერს თბილისის „დინამოსა“ თუ საქართველოს საფეხბურთო ნაკრების ბოლო თამაშებით გულდანყვებილი მიმოხილველი. შემიძლია ვანუგეშო იგი, რომ ორ- თუ სამნიშნა ციფრებით ვერასოდეს ვერავისთან ნავაგებთ, რადგან ასეთი ციფრები არ არსებობენ – ყველა ციფრი ერთნიშნაა. აი, ორნიშნა რიცხვით კი მოუგია თბილისის ოფიცერთა სპორტული კლუბის გუნდს ჩემს ბავშვობაში, როგორც მახსოვს, აღმა-ატის „კაირატთან“ (13:0). და კიდევ, ვშიშობ, ხელბურთისა და კალათბურთის გაუქმებამაც არ მოგვინიოს – სწორედ ბოლო სახეობაში გვხვდება ნაკვები ორ- და სამნიშნა რიცხვებით გამოხატული ანგარიშებით!

6. უცხოენოვანი (უმეტესად რუსული) ფორმების ხმარება ძალზე გავრცელებულია ქართულ ტექსტებში. მიზეზი ინფორმაციის აღება რუსული წყაროებიდან და სათანადო ცნებათა ქართული შესატყვისების უცოდინრობაა. ეს „ქართულიც“ ამ შემთხვევაში პირობითია, რადგან ხშირად ისინიც შორეულ

წარსულში რომელიმე სხვაენოვანი (გაქვიათ, ბერძნული) ფორმების მიხედვითაა წარმოებული. მაგრამ რას ვიზამთ? უნდა ვინაოთ ის, რაც ენის განვითარების დღევანდელ საფეხურზეა დაკანონებული. მაგრამ ამ წირობას ხშირად არ ვიცავთ. აი ნიმუშებიც: „მერკურის პერიოდული მოძრაობის ჩემული გამოთვლების სისწორისა და საერთოდ კი ვარიანტულობის უტყუარობის გამო“. ეს ნიმუში ა. აინშტაინის ჩანაწერებიდანაა აღებული, რომელშიც ავტორი გადმოსცემს თავის სიხარულს იმის გამო, რომ დადასტურდა მის მიერ შექმნილი ფარდობითობის თეორიის ერთ-ერთი დასკვნა პლანეტების ორბიტების „ბრუნვის“ შესახებ: თითოეული პლანეტის ორბიტული ელიფსი ყოველი შემოვლის შემდეგ მცირედით შემობრუნდება სივრცეში, ანუ წინაცვლებს მზესთან ამ პლანეტის უახლოესი წერტილი – პერიპელიუმში (ბერძნულად „პელიოს“ მზეს აღნიშნავს). „პერიგელიი“ რუსული ფორმაა, ისე როგორც „აფელიი“ – მზიდან უშორესი წერტილის სახელწოდება, ქართულად კი დიდი ხანია დამკვიდრებულია „პერიპელიუმში“ და „აფელიუმში“. რაც შეეხება „ვარიანტულობას“, იგი ამ კონტექსტში ცვალებადობას ნიშნავს (ამა თუ იმ ფიზიკური პარამეტრის განსხვავებულ აღქმას სხვადასხვა ათვის სისტემაში მყოფი დამკვირვებლის მიერ) და, ამდენად, უპირისპირდება „ინვარიანტობას“ (უცვლელობას) დამკვირვებლის მიმართ, ამიტომ იგი არსობრივად სწორია, მაგრამ მაინც ჯობს იყოს „ფარდობითობის უტყუარობის გამო“, რადგან ტერმინი „ფარდობითობა“ უკვე სა-მუდამოდ დამკვიდრდა ქართულში. ამ ტიპის მცდარი ფორმები სხვაც ბევრი გვხვდება (თუ პირდაპირ გადმოვიტანთ რუსულიდან, „კოლიზუმი“ ნაცვლად „კოლიზი“ შეგვრჩება, „ლიციუმის“ მაგიერ კი „ლიციე“ და ა.შ.). ტერმინთა ფორმები არც რომელიმე სხვა ენიდან არ უნდა გადმოვიღოთ.

7. შემხვედრია რაოდენობის უხერხული ფორმით ჩანერის შემთხვევებიც. მაგალითად: „გამოკითხვა რუსეთის 137 დასახლებულ პუნქტში ჩატარდა და მასში 1600-მა ათასმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა“. ცხადია, აქ შეცდომა არ არის, მაგრამ 1600 ათასი არის 1 600 000, ანუ მილიონ ექვსასი ათასი და ასეც უნდა ეწეროს, რათა მკითხველს გადაანგარიშება არ დასჭირდეს.

8. ხშირია შეცდომები ზოგიერთი ნაცვალსახელის ბრუნვის ფორმებში. განსაკუთრებით ეს ეხება მოთხრობით ბრუნვას. რატომღაც ბევრ ადამიანს ჰგონია, რომ ამ ბრუნვის საწარმოებლად მაინცდამაინც „მა“ კომპლექსი უნდა დაესვას სახელს. მაგრამ ბრუნვის ზუსტად ამგვარი დაბოლოება ყველა არსებით სახელსაც კი არ ერთვის. მაგალითად, „ოქრო“ მოთხრობით ბრუნვაში იქნება „ოქრომ“, „ხე“ – „ხემ“ და ა.შ. ნაცვალსახელისათვის კი ხშირად არც „მ“-ს დამატება არ არის საჭირო. მაგალითად, „მე“ (პირველი პირის აღმნიშვნელი ნაცვალსახელი) შეესაბამება სახელობით ბრუნვასაც („მე წავიდა“), მოთხრობითაც („მე ვთქვი“, შეადარე: „ბავშვმა თქვა“), მიცემითაც („მე მითხვეს“, შეადარე: „ბავშვს სთხოვეს“). მართალია, ჩვენ გვიკვირს, რომ რუსები ჩვენთვის მოთხრობითის ნაცვლად „სახელობითს“ (именительный) იყენებენ (შეადარე: ученик написал – მოსწავლე დაწერა), მაგრამ ამ მხრივ ჩვენც ზოგჯერ „რუსებივით“ ვიქცევით და ვწერთ: „შენ მომატყუე“ და არა „შენმა მომატყუე“ (შეადარე წინადადებას: „ბავშვმა მომატყუა“). ასე რომ, ზოგჯერ მოთხრობითი ბრუნვის საწარმოებლად „მა“-ს დამატება არასგზით არაა საჭირო. მაგრამ ამ ფაქტს ზოგი არავითარ არ აღიარებს, ამიტომ წერს: „არავინმა არ იცის, იატაკი ვინ მოაწოვებინა“. ცხადია, უნდა იყოს „არავინ არ იცის“. ასევე შემხვედა: „დიდ თომას მანს აქვს დაწერილი „სიკვდილი ვენეციაში“, ამათმა კი ვენეციის კომისიაში სირბილით ჩანასახშივე დაასამარეს საქართველოს კონსტიტუცია“. ასე რომ, „ამათმა დაასამარეს!“ როგორც ხედავთ, ქართველი კაცი ვერ ეგუება წინადადებას „ამათ დაასამარეს“ და ნაცვალსახელ „ესენი“-ს მოთხრობით ბრუნვაში ჩანასახელად დაჟინებით ითხოვს ფორმა „ამათმა“-ს. სხვაგან შემხვედრია ფორმები: „იმათმა“, „მაგათმა“ და სხვ. (უნდა იყოს: „იმათი“ და „მაგათი“, ანუ „იმათ თქვეს“, „მაგათ მანყენეს“ და ა.შ.).

▶▶ ბავრძელაბა იქნება

ზურაბ თორია

ოდესღაც, სევდი

ნაწარმოებს საფუძვლად დაედო საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის მონათხრობი

სალი კლდეების საუფლოდან ხელის განვდენაზე, გორებს შორის, შლეგივით თავქვე დაქანებული მდინარის გაღმა-გამოღმა ორი პატარა სოფელი შეყუჟულიყო. სოფლები ერთ-ერთად, თორემ ორივე ერთად სამოციოდე კომპლს ძლივს მოითვლიდა. ამბობდნენ, ისინი უხსოვარ დროში ამ სანახებში საზღვრის მცველებად დედანულიანად ჩაასახლეს, ნაბრძანები ჰქონდათ, იქიდან არც ერთ სრულწლოვან მამაკაცს ფეხი არ მოეცვალა, თავისი მოვალეობა შეესრულებინა. და ასე, მეფის თუ მამასახლისის ბრძანების მორჩილი აქ ათადან-ბაბადან მოსახლეობდნენ. არც მეტად მრავლდებოდა, მაგრამ არც შესამჩნევად მცირდებოდა მათი ფილაგი. მდინარის გაღმა-გამოღმელი ბიჭები როგორც კი შეღერდებოდნენ, მეზობელი სოფლის წამოჩივლულ გოგონებს თვალს დაადგამდნენ და მდინარის ორივე მხარეს იდგა ერთი ქოთქოთი და ურიაბული. დიაცების თავმოსახონებელი კეჭნაობა, ჯირითი და სიჩაუქით თავის გამოჩენა ხშირად მიზანს აღწევდა და პირშვენიერი და კალმახევივით ტანსმარტალა ქალწულები ჩაუქტა შორის უჩაუქეს ჭაბუქთა ნიღბვედნი ხდებოდნენ.

გამოღმელთა ერთ ვაჟს გაღმელმა ხევისბერმა გივარგი შეარქვა, რადგან გივარგობის მიწურულს იშვა, ხოლო მეორე ახალშობილს მშობლების სურვილით - გამიხარდი.

გივარგი და გამიხარდი ძმებივით იზრდებოდნენ მდინარის გამოღმა მდგარ ციხე-კოშკებში, საიდანაც იშლებოდა ცად აზიდული, დათოვლილი ქედები და მინდვრის ყვავილებით ნაირფრად მოჩითული სამოთხისდარი მინდორ-ველები. ვაჟები ფეხის ადგილდაწვე მამებს იყვნენ ადევნებულნი, ხეფხუვებისა და დათოვლილი ქედების კალთებზე საზღვრის დაცვაში, მწყემსობასა და ნადირობაში ინთობოდნენ...

გივარგი და გამიხარდი ტანსახლეტილი, თვალადევი ჭაბუკები დადგნენ, ერთმანეთს ისე ჩამოშავდნენ, მშობლების გარდა, მათი გარჩევა ყველას უჭირდა.

გალმასოფლელმა, ნაადრევად წამოჩივლულმა, ტოლემში ტანადობით, მხრებზე დაყრილ მწიფე ხორბლისფერთმინამა, თავლისფერი ბუდუშურა თვალთა და სიანციტ გამორჩეულმა კესანემ, მიუხედავად ბიჭების მსგავსებისა, გამიხარდის დაადგა თვალი. მდინარის პირას ყულად მდგომ, ნამეხარ ბერძენს ამოფარებულს დაუხრულელად შეეძლო მისთვის ეცქირა. გამიხარდის ქალიშვილის თვალთვალში შეუმჩნეველი არ დარჩენია, ადიდებულ მდინარესაც კი არ შეჰპუებია, რამდენიმე შეხვდა გულისსწორს და მცირე დროში ქორწილის დღეც დათქვეს.

გამიხარდის მამარი გივარგის გარდა ვინ იქნებოდა, ძმადშეზრდილს მოხვევთა ომხიანი შეძახილებითა და თოფების გრიალით მიშვარა თვალწარმტაცი პატარძალი.

მთელი კვირა გადაბმულად ლხინობდა ორივე სოფელი. ნეფე-პატარძალი რამდენიმე ხნით ყველას ისე განერიდა, ტოლ-სწორები მათ ციხე-კოშკს შორიდან უვლიდნენ და ამ განმარტობის გამო კაფიებს კაფიებზე თხზავდნენ...

გივარგის ყოველივე ამისგან თავი შორს ეჭირა. გამიხარდის ხვასტაგს საკუთართან ერთად თავი მოუყარა, თვალწუნდენ იალალებს მიაშურა და, როცა რალაც დროის შემდეგ უხვი მონაგრითა და ხვასტაგის ნამატიურთ შინ დაბრუნდა, ბედნიერებით სახეგაცისკროფნებული გამიხარდი თანშეზრდილს ხალისით შეეგება და ერთთავად მის ირგვლივ ტრიალებდა, თუმცა კესანეს ვიერმა და თვალშისაცემმა უცნაურმა კრთომამ, გივარგის ძალაუნებურად კითხვები აღუძრა, მაგრამ პატარძალმა პასუსს თავი აარიდა, ხოლო გამიხარდემ, არც რაიო, ისეთი გამომეტყველებით მიუგო, გაჩუმება არჩია.

კვირის თავზე გივარგიმ სოფლის წესი უფუღებელიყო, ოჯახს დაემშვიდობა, თავის ქურანას მოახტა და პირულ გზას დაადგა. ჟამი-ჟამ მშობლებს ადგილსამყოფლისა და ჯანის სიმართლის თაობაზე მენწროლმანე ვაჭრის პირით ატყობინებდა.

ორი წლის შემდეგ საჩუქრებით ხელდამშვენებულმა ჩამოაკითხა მონატრებულ ოჯახს.

მშობლები მისი ჩამოსვლით სიხარულისგან ცას ენივნენ, თვით გივარგი მთელი კვირა ახლო მეზობელთა თუ გაღმასოფლელთა სტუმრობასა და ურთერთმოკითხვებს ვერ აუდიოდა. გამიხარდი წუთითაც არ სცილდებოდა თან-შეზრდილს, მაგრამ კესანეს ერთხელდა, ისიც წამიერად მოჰკრა თვალი. მისი ნახვა ზმანებდა მიიჩნია და, როცა გამიხარდისას გადავიდა, მეტად შეცვლილი ეჩვენა, თუმცა იქვე დიაცის ეს გარდასახვა მის შეილოსნობას მიაწერა.

იმვე საღამოს გივარგი ციხე-კოშკის საბძელში ჩასაფრებულ კესანეს შეეფეთა. ქალს სახეზე ფერი არ ედო, ერთიანად ცახცახებდა. ის იყო, გივარგიმ მისკენ ნაბიჯის გადადგმა დააპირა, რომ ქალი გამოქანდა, მკლავები შემოაჭდო და გულმკერდი დაუკოცა.

- შენ დაი, მე ძმა! - აღმოხდა მოულოდნელობისგან ნინამხდარ გივარგის.

კესანემ მისი სიტყვები არად ჩაავდო და ტუნებით მის ლოყას მისწვდა. გივარგიმ ერთი მძლავრად შეაჯანჯლარა, ძლივს მოიცილა, მაგრამ ქალი ისევ მისკენ მიიწევდა.

- აქ ყოფნა სასჯელად მექცა, იმ შორულ მხარეში თან წამიყვანე! - შევედრა ქალი.



- გაიგონე, შენ დაი, მე ძმა! - ხმას აუწია გივარგიმ, სახეშეშლილ ქალს ზურგი აქცია და საბძლიდან გაეარდა.

მეორე დღით, უთენიაზე, ცხენზე ამხედრებულ გივარგის დედა გამოსდგომოდა და ამუნათებდა: მამაშენს მთა-ლრე ყიალის თავი მეტად აღარა აქვს. ვის იმედად გვტოვებ, საით გაგიწევია, შენი ტოლ-სწორები რა ხანია დაცოლავილდნენ, ასე ეულად როდემდე უნდა იარო. აგე, მზექალაი შენზე დარდით ზეზეულად ჩამოჭკნა, არც არავინ ინდობა, შენ გამოჩენას ცისკრის ამბორწყინებასავით ელოდა. მითხარ, რა პასუსი გავციე, შენი იმედი რომ არ ჰქონოდა, ახლა ბალღებდასეული, ბედნიერი დედა იქნებოდა..

- უთხარ, ამოდ ნუ მელოდება, ბერდოს ჩაჰბარდეს!..

- და შენ?

- ნუ ჭმუნავ, დედი, მეც გამომიჩნდება ვინმე შესაფერი დიაცი! - მიუგო მშობელს, მკერდზე ემთხვია, ცხენს გავაზე ხელი დაჰკრა და დარდმართე თავქუდამოგლეჯით დაეშვა.

გივარგი სოფელში დიდხანს არ გამოჩენილა. მისი მშობლები ნელიწადმიყოლებით დაემშვიდობნენ წუთისოფელს და სახლიკაცებმა ერთადერთი ვაჟიშვილის ცრემლუპკურებით მშობლიური მიწა არგუნეს.

მათი ციხე-კოშკის შემოგარენს თანდათან ეკალბარდმა და შამბმა გადაუარა და ერთიანად ჩაუტამბებული გამველ-გამომველთა ზკრთობდა, მაგრამ თვით მკვიდრად ნაგებ ციხესიმაგრეს დრო-ჟამმა ვერაფერი დააკლო და, როცა ზამთარში არე-მიდამო თოვლში ჩაინთქმებოდა, ისფერ სითიერეში ზეცისკენ აწვდილი კოშკი აღმასის თვალვით იწყებდა ციალს.

კესანესა და გამიხარდის კიდევ ოთხი ქალ-ვაჟი ეყოლათ. უფროსმა ვაჟიშვილმა ტანი აიყარა, მდინარისკენ მოუხშირა სიარულს და გაღმა ნაპირზე შეუკაზმავე ცხენებზე თამამად ამხედრებულ კისკას ქალწულთა მზერით ტკებოდა.

გამიხარდი თვალდათვალ დაჩაჩანაკდა. უკვალად გაქრა მისი სიჩაუქე, ტანადობა, რიხიანობა. ზაფხულობით ციხე-კოშკის ბანზე თვლემდა, შემოდგომის დადგომისთანავე პალატში გადაინაცვლებდა და შუაღმისს მივიცხებულ უნიათოდ თვალს აყოლებდა უჩვეულოდ გაახალგაზრდავებულსა და მბრძანებულ კილოზე გადასულ ცოლს, რომელსაც, გეგონებოდა, მისი ნილი ახალგაზრდული

გზნება მიეთვისებინა, თავად კი ცხოვრების ორომტრიალს დაუძღურებდა თავის გაწინაა. თუმცა ეს იყო, ქალს ქმრის გამჭრიახობისთვის ვერაფერი დაეკლო და ამით გავემებული ზოგჯერ სწორედ რომ ცოფებს ყრიდა.

ერთხელ, ზაფხულის მიწურვამდე, ბანზე მთვლემარე გამიხარდის სმენას უცხო ბედაურის ფლოქვების ხმა მისწვდა და მთაში მძიმე ტვირთის ზიდვისა და ხეფხუვების დაკლანკილი ბილიკებზე წონილისგან დაჩიავებული ჯავლაგების ფლოქვების ექოსგან აშკარად გამოარჩია. დაუძღურებული სხული ძლივს დაძრა, ბანის კიდემდე მილასლასდა, რომ უცხო მხედრობა და მისი ცხენისთვის თვალი შეველო და სოფელში იშვიათი სტუმრის წვევის პირველი მაცნე თვითონ გამხდარიყო.

ნაგახები მორჩილად მოაცილებდნენ უცხო მხედარს. გამიხარდი მიხვდა, იგი მისი თანშეზრდილი უნდა ყოფილიყო. ამ თავნება, მოსაგერიებლად და თავდასასხმელად შემართულ ქოფაკებს, როგორც ჩანდა, პატრონის ჯილაგის სისხლში გამჯდარი სუნი ეკრათ, თორემ არასასურველ სტუმარს ცხენიდან თავით ჩამოიღებდნენ და, იმის მაგივრად, რომ თანზე-



რდილს ომხიანად მისალმებოდა, გამიხარდიმ რატომღაც დუმლილი შეინარჩუნა.

გივარგი ციხე-კოშკთან ცხენდაცხენ მიიჭრა, ბედაურს მარდად გადმოველო და ჭაბუკური სიმარდით აუყვა ბანისკენ ამავალ საფეხურებს.

გამიხარდი მისმა ლამის ჭაბუკურმა გარეგნობამ და სიმარდემ გააოცა. წესითა და რიგით, უნდა გახარებოდა, მაგრამ რატომღაც უსიამოვნობა აღუძრა.

თავის მხრივ გივარგი განზილებული გამოეტყველებით თვალს ვერ აცილებდა მხრებში მოხრილ, სახედანაოჭებულსა და დაუძღურებულ გამიხარდის. თვითონ ხომ კვირითა იყო მასზე უფროსი და აჯავრებდა ხოლმე, ბაღლო, უფროს ძმას ყურს თუ არ ათხოვებ, ეგ შენი სასმენელი ზედ არ შეგრჩებო. გამიხარდი კაფიით პასუხობდა, რაზეც თანატოლები ერთ ხორხოცსა და ყრიაშულს ატყვდნენ.

„სად გაქრა ის ხალისით სასვე წლები, რომელმა მაცილმა წაართვა ამ დაუდგეგო-ვაჟაკს ჯანის სიმართლე და ცხოვრების დაუცხრომელი სურვილი, რამ დააძაბუნა და გათელა აგრერიგად, - გაიფიქრა გივარგიმ და თვალი მოავლო ნაირფრად აფორაჯებულ მთებსა და ციხე-კოშკების წინ ზაფხულის მიწურულის თავთუხისფრად შეფერილ მინდორ-ველს. - ამ სილამაზის მჭვრეტელმა, როგორ შეიძლება, ერთი წუთითაც დაკარგოს სიცოცხლის ხალისი და იმდენად დაჩაჩანაკდეს, ამ სამოთხის განუშეორობლობა ვერ შეიგარძნოს?!“ - ისევ გაფიქრდა გულდაწყვეტილმა, მხიარული გამოეტყველება იფარა, თანშეზრდილი გაამხნევა და მხარში შეუდგა.

კართანის წინ გამიხარდის ჯალაბობა ირეოდა. ბიჭები დავაჟაკებულებიყვნენ, გოგონებს ქალური სინაზე მოსძალებოდათ, თუმცა თამამი მზერითა და მდედრული ალლოიანობით თვალს არ აცილებდნენ ბიძის ხორბლისფერ, ჩამოქნილ სახის ნაკეთებს, ფართო მხარ-ბეჭებს, წვრილ წელზე შემორტყმულ ვერცხლით მოჭედელ ქამარ-ხანჯალს, ძლიერ ტორებს, შუქმფინარი ცისფერი თვალის ფონზე შუბლზე დაყრილ ოდნავ ქერა ქორორს და მის ანაგებას ადარებდნენ დავრდომილი მამის გარეგნობას. ისინი მათ შორის სხვაობამ იმდენად გააოცა, მის მიმართ შურიც კი აღუძრათ და, სოფლის წესისამებრ, ურთიერთმოკითხვის შემდეგ ისე მიმოიფანტნენ, გივარგიმ მათთვის საჩუქრების მირთმევაც კი ვეღარ მოასწრო.

ბოლოს კესანეც გამოჩნდა. გამიხარდისთან შედარებით ის ერთიანად ხანკლებდა, წილან-არამცთო რამე დაეკლო, პირიქით, ყოველმხრივ დაემშვენებინა, თითქმის ყმაცნელკალსური მწყაზარობაც კი შეეზარუნებინა.

ქალი ქმრის თანშეზრდილს მიეახლა, მკერდზე ეამბორა, პალატში შუაღმისს მითვლავა, საკარცხული შესთავაზა, მის შორიახლოს ჩამოჯდა, მოკითხა და, როცა სათქმელი ამოწურა, მიიხედ-მოიხედა, ეს ბაღლები რალა იქნენო, არაბუნებრივად შეიცხადა, წამოიჭრა და გასასვლელისკენ გაეშურა.

გამიხარდის არც მისი გამოჩენის, საუბრისა და პალატიდან ნაჩქარევი გასვლისთვის ყური არ უთხოვებია. შუაღმისს მდუმარედ ჩასცქეროდა და რკინის ორკაპით ნაკვერჩხლებს ჩხრეკდა.

- გამგზავრებას როდისღა აპირებ? - მოულოდნელად ჰკითხა გივარგის.

- ჯერ აქაურობისთვის ფეხი წესიერად არ დამიკარებია და, უკვე ნასვლას მისხენებ?! - გაიკვირვა გივარგიმ. - გარე-გარე წანწალი მომბეზრდა, დროა, ჩემს ციხე-კოშკში დავმკვიდრდე, - მიუგო მოგვიანებით.

- ეს უცხო მხარეში გადაწყვიტე თუ, როცა აქაობას თვალი მოავლე.

- ამით რისი მინიშნება გინდა?! - ჰკითხა გოაცებულმა გივარგიმ.

- შენი მშობლები ღვთის საუფლოში ისე გაიკრიბნენ და ამ დლოცვილ მიწას ისე მივაბარეთ, არც კი შემოგვხმინებინარ, წლისთავზე მინც ჩამოვარა, თავს ვიმიდებდით, მაგრამ!.. - პასუხად საყვედური იფარა გამიხარდიმ.

- ჟამიანობის გამო მაშინ იქაურობის დატოვება მეკრძალებოდა.

- აქ დარჩენა გაგიჭირდება... ჩვენ ოდინდელ დროში ჩავრჩით... ჩვენს შვილებს არც რამის შეცვლის იმედი აქვთ, ზოგ-ზოგებს ვატყობ კიდევ, აქედან ნასვლა სურთ, ჩვენი რიდი აკავებთ, მაგრამ გული მეუბნება, ამ ორჭოფობას მალე დაძლიევნ... და ამ დროის მდინარეებს ჩამორჩენილ მხარეში დაბრუნება ვერაფერ სასიკეთოს ვერ მოგიტანს.

- შენი აზრით, როგორ უნდა მოვიქცე, ისევ ქალაქის ჯგლეთასა და გაუტანლობას, მხოლოდ დღევანდელი დღით არსებობას ხომ არ უნდა დაგუბრუნდე?! - გაიოცა გივარგიმ.

- მე ეს არ მიგულსხმია, პირიქით, მთელი ეს წლები შენს აქ ყოფნას ვნატრობდი, მაგრამ ჩემი სურვილი როდი იყო მთავარი, - უეცრად ლაპარაკი შეწყვიტა, მიიხედ-მოიხედა. - ნეტა, სად გადაიკარგნენ ესენი, სტუმრის დახვედრა ასე ვის გაუგია?! - ხმას აუწია და, უძღურების მიუხედავად, დაიქუხა: - კესანე, თორღვა, ალუდა, შვია, მგელიკა!.. - და ეტყობა, ამ ხმობის მომლოდინე მისმა ჯალაბობა და სახლიკაცობამ დარბაზის ბჭე ფართოდ შემოაღო, ომხივარადენილი ხორციით, ხინკლითა და მხალეულით დატვირთული ხონჩებით, ლუდითა და ჟიპიტაურით სავესე ტიკტორებითა და ხელადებითურთ დიდ-პატარა შემოხვავდა, ტაბლების განყოფას შეუდგა და დიდი ხნის უნახავი სისხლით ნათესავის კითხვა-მოკითხვას მოჰყვა.

„ნაქეიფარი გივარგი დედაბინდზე თავისი ციხე-კოშკისკენ გაემართა, მაგრამ იქ, როგორც ადრე ითქვა, ეკალბარდი და ქალტამი იმდენად გალადებელიყო, მხოლოდ ხანჯლით გაკაფული ვინრობით მოახერხა შიგ შეღწევა.

მის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ციხე-კოშკში შესულმა ყოველ კუთხე-კუნჭულს გულმოდგინე დიასახლისის მზრუნველი ხელი დაატყო. მითაჟამინდელი განჯინები თუ თარობებზე მზრუნველი ხელით ჩამქრივებული ჯამ-ჭურჭელი ერთიანად კრიალებდა, იფიქრებდი, ამ წესრიგის შემოქმედი საღაცე აქვეა და აგერ-აგერ შემოაბიჯებო.

უჩინარი მზრუნველის ლოდინში მგზავრობითა და მძაფრი განცდებით დაქანცულს ტახტზე ტანგაუხდელად ჩამოიძინა.

ძილი ვილაციის ფეხის მსუბუქმა ჩქამმა დაუფრთხო. თვალი მოიფენინა, ზე წამოიჭრა და სიოს მიმგვანებულ ხმას კვალზე გაეკიდა, მაგრამ ვერ მოიხელთა. სამაგიეროდ, ძილის შესაბრუნებლად დაბრუნებულს ტაბლაზე ლუდით სასვე ტოლრა, ჯერ კიდევ თბილი ხინკალი და მხალეული დახვდა და ირმუნა, რომ მის ციხე-კოშკს მფარველად ეკითხი ანგელოზი გასჩენოდა და გული დაიმშვიდა, რადგან მისგან, ზრუნვის გარდა, საფრთხეს აღარ უნდა დალოდებოდა.

გივარგიმ ნელ-ნელა მიჰყო ხელი ციხე-კოშკის ირგვლივ ადამიანის სიმაღლეზე გაფოფნებული ეკალბარდის ამოძირკვას. სოფელი თავისი ყოფით ცხოვრობდა, სხვისთვის არავის



სცალოდა, რადგან მალე ხანმოკლე შემოდგომა სოფელს ცივი ქარებით შემოუტყვევდა, ხეებს ფოთლებისგან განძარცვავდა, მიწყებ ხოშკაკალა ნაშთებში და, ამინდის ჭირვეულობისაგან დაქანცულ სანახებს შეგვისმომგვრელ თოვლის საბურველში გახვევდა და, ვინც სარჩო-საბადებელს დროულად ვერ დააბინავებდა, მშვიდი ზამთრის კერძად დარჩენას უქადდა.

მეზობელ-მოკეთენი მის საქმიანობას ალმაცერად უყურებდნენ, თუმცა ხმა არავის დასცდენია, ნამდვილ საქმეს მოჰკიდოს ხელი, ეკალბარდი არსად გაეცევაო. „ნამდვილი საქმის“ დანებება უკვე დავიანებული იყო. ეს სოფელმაც იცოდა და გივარგი ამ საქმითრობოთ საკითხებზე ამო სჯავა-ბაას შორიხლოდან ნამომართულ მთებსა და მის ხევ-ხუვებში ნადირობას არჩევდა, მაგრამ ხშირად ხელმოცარული რჩებოდა და ამო ხეტილით დაქანცული ციხე-კოშკში დათრგუნული ბრუნდებოდა.

ვინც მასთან სტუმრობდა, ხვდებოდა, რომ ერთთავად რაღაცას იყო მიყურადებული, რაც თვისებად ექცა. თუმცა მისმა მონდობებმა შედეგი ვერ გამოიღო, უჩინარ სტუმარს არათუ ხელი ვერ შეავლო, თვალის კი ვერ შეასწრო, ციხე-კოშკში უჩინარივით შეაღწევდა, იქაურობას დაანკრიალებდა, ტაბლას უხვად გაანყოფდა და გაქრებოდა.

ერთხელ მთელი დღის გარჯით დაქანცულ გივარგის, ის იყო, ჩათვლიდა, რომ ვიღაცა კეფაზე ოდნავ შეეხო, მოეფერა, მაგრამ, როგორც კი ამ ლაციცის გამო ოდნავ შეირხა, ის ვიღაცა ადგილს მოსწყდა.

გივარგი ნამოვარდა, გაეკიდა მის წინ ქარივით მოძრავ ქალ-მოჩვენებას და ჭრელაჭრულა ტალღების კალთაზე ხელი ჩაავლო. ის არ გასძალანებია, არც გაქცევა უცდია, შემოტრიალდა, ნელზე დონივი შემოირტყა და სიცილი დააყარა.

ეს „მოჩვენება“ მისი ძმადშეზრდილის ცოლი აღმოჩნდა.

- სხვას ელოდი? - ჰკითხა ნიშნისმოგებით კესანემ.

- რა თქმა უნდა! - მიუგო იმედაცარუებულმა გივარგამ.

- ასე არ უნდა შემცდარიყავი. იცოდე, ამ არემარეში სხვა დიაცს არ გვაგაჭაჭანებ.

- რატომ, შენ ხომ ჩემი ხისხობორცისა და ძმადშეზრდილის შვილების დედა ხარ!

- გამიხარდისთან სარეცლის გაყოფისას თვალწინ ყოველთვის შენ მიტრიალებდი. კარგად დააკვირდი, ჩემი შვილები გაჭირლი ვაშლივით გგვანან!

გივარგი ქალის სიტყვებმა ლამის გააქევა.

- გონს მოეგე, წადი, ჯალაბს მიხედე და, ისე ნუ გარჯები, შინ დაბრუნება სანანებელი გამიხდეს! - მკაცრად მიუგო, მერე კი დაამატა: - ალბათ, დავაინყდა, თორემ ჩვენი ერთმანეთისგან გარჩევა ყველას უჭირდა და, შვილებს თუ მამსგავსებ, სულაც არ მიკვირს.

- გამიხარდი ახლა არაფრით არ გგავს და ამას, როგორც იქნა, მივალნიე...

- რანაირად? ან რას ერჩოდი?!

- მძულს! მასთან სარეცელს რომ ვიყოფდი, ჩემი თავიც მძულდა.

ქალის ამგვარმა მოურიდებელმა აღიარებამ გივარგი ლამის დაამუწჯა.

- მიპასუხე, აგრერიგად რამ შეგაძულა?

- მისმა შინაყოფობამ და უილაჯობამ. ადვილი, გაინძერი, ტოლ-სწორებში გაერიე, აგე, გივარგი რა მარჯვე და დაუზარელია, ოღონდაც სურვილი გქონდეს და გვერდით დავიდგებამეთქი, ვუჩინებდი. მისმა ზურე-ქვერობამ კაცის ჯილაგი ლამის შემაჯავრა, ეს სიტყვები პირში მივახალე კიდევ, მაგრამ ძარღვიც კი არ შესტოკებია...

- თუ ასე გტულდა, დროზე მინც გასცილებოდი და ეს ცოდვის შვილები არ გაგემრავლებინა! - მიუგო გივარგამ მოგვიანებით.

- ისინი ცოდვის კი არა, შენები არიან...

ყველა სალოცავს ვფიცავარ, რაც გამიხარდის ჭირქვეშ შევაბიჯე, სხვა კაცისთვის არ შემიხედავს. შენ გვერდით ყოფნის სურვილმა სოფლიდან შენი გადაკარგვის შემდეგ ისე მძაფრად შემომიგია, ამ შინაგანი ლტოლვისთვის აღარასოდეს მიღალატია...

- რაღაც არ მჯერა!..

- როგორ დაგარწმუნო, რომ მოუთმენლად გელოდი.

- ამდენი წლის მერეც?

- წლებს რა მნიშვნელობა აქვს, შენ გამოის გარეგნობა და შინაგანი სინრფელი, რაც გამიხარდის ციხე-კოშკში შესვლისას მქონდა, შევინარჩუნე და ყველაფერი ვიღონე, რომ ის წლები შენც არ შეგხებოდა.

- ამგვარი რამეების არ მჯერა, მაგრამ მინც უნდა გკითხო: როგორ, რა გზებით?!

- ამის გამხელისთვის სასიკვდილოდ დავილაზერები!

გივარგი ერთხანს მოჯადობებულივით შეპყრებდა უნაისო მომუნსხველი მზერით მიჩრებულ ქალს, მოგვიანებით ზურგი შეაქცია, პალატის ბჭისკენ დაიძრა და, მოუხედავად იმისა, რომ სწორ სოხანზე მიაბიჯებდა, ფეხი ორჯერ აერიო, ნაიფორხილა, თავს გაჭირვებით დაუფულა და პალატიდან გასვლა ძლივს მოახერხა.

უკან ქალის ცივი, სისხლის გამყინავი ქირქილი მისდევდა.

ამიერიდან ყოველ ღამეს ქალი მოჩვენებასავით ეცხადებოდა, ტაბლას გაანყოფდა და გივარგის ინვევდა, მაგრამ იგი ხელს არაფერს აკარებდა. ერთხელ ქალმა მოთმინებიდან ისე გამოიყვანა, ტაბლას ფეხი ჰკრა და ჯამ-ჭურჭელი ნამსხვრევებად აქცია.

ეტყობა, ქალი მაცდური ძალების კარნახით უფრო და უფრო ხელდებოდა და შეტევზე გადადიოდა, მაგრამ გივარგი თავს მედგრად იცავდა, ფარივით ახვედრებდა სიტყვებს: „შენ დაი, მე ძმა!“ - რასაც ქალი ნონასწორიდან გამოჰყავდა, მიგარდებოდა და გულ-მკერდსა და ხელებს უკოცნიდა, მაგრამ გივარგი მის ალტყინებულ ხევინა-კოცნას აინუნში არ ადგებდა, გულგრილი გამომეტყველებით დაჰყურებდა ვნებისგან ლამის შეშლილ, სხეულის ლტოლვას აყოლილ აშარს და, როცა ცალმხრივი ხევინა-კოცნისგან გასავათებული კესანე დარწმუნდებოდა, ვაუში საპასუხო ვნებას ვერ აღძრავდა, სოხანზე დაცემოდ და განწირულის ხმაზე გაჰყვიროდა:

- რატომ?! რატომ?!

- შენ დაი, მე ძმა! - იყო გივარგის პასუხი.

ქალი ცრემლად იღვრებოდა, დამცირებული და განადგურებული ისე მოთქვამდა, თითქოს სასუნთქ ჰაერს ან ყლუპ წყალს ითხოვდა, მაგრამ მის წინ უდრეკად მდგარი გივარგის სახეზე სიბრალული ან თანაგრძნობა არც ერთხელ არ შეუნიშნავს...

...შემოდგომა სადაცაა მიილეოდა. ღამ-ღამობით ისე აცივდა, შუაცეცხლთან ჯდომბა და მატყლის საბან-გობანში ნებივრობა საამო გახდა. ერთ დილას კი გივარგამ არე-მიდამოს სარკმლიდან თვალი რომ მოავლო, ნამქერგადავილიმა ველმა თვალი მოსჭრა. ტყაუჭს ხელი დაავლო, ეზოში გაიჭრა, გუნდა მოაგროვა, სახე, გულმკერდი და მხარ-ბეჭი ჭაბუკობისდროინდელი სისხარტით დაიზილა, გახალისდა.

იმ დღემ ლოცვა-ვედრებაში, მშობლებისა და წინაპრების საფლავებზე სტუმრების გამასპინძლებში გაიბრინა. მშვიდ ღამეს გივარგისთვის სულის მოთქმა უნდა ეცლია, რომ მეორე დილას სრულად ფხიზელი და მხნე დასდგომოდა ლამის ცას შეკიდულ ვიწრო ბილიკებს და შორეულ მხარეში მშვიდობით ჩაეღწია.

დილასისხამზე სოფლის მღუმარება ქალის ნამიერმა შეკვილებამ გაკვეთა. ქოფაკები კივილს აჰყვენენ. ერთმა ყმული გააბა, მაგრამ, ეტყობა, პატრონმა ავად დაუღრინა და ხმა ჩაანყვეტინა. დანარჩენმა სოფლელებმა, ჩანს, ვილაცას ავმა სულმა სიზმარი დაუფრთხოო, გაიფიქრეს, გვერდი იცვალეს და ძილი შეიბრუნეს.

ტახტზე ზეზეულად მთვლემარე გამიხარდომი ჩაბნელებულ პალატს თვალი მოავლო, ძლივს ნამომიართა, შუაცეცხლთან მილასლასდა, ნაკვერჩხალი მოჩრიკა, ზედ ხმელი ფიჩხები დააყარა და, როცა პალატში ჩამონოლილი წველიადი ცეცხლის ალმა გაანათა, კოშკის ბჭისკენ აიღო გეზი, კარს ურდული გამოაცალა და ფართოდ შეაღო.

ბარდნიდა. არე-მიდამო სულის მოსათქმელად ჩამყუდროებულიყო.

გამიხარდი ერთხანს დაძაბული ელოდა კივილის გამეორებას, მაგრამ სამყარო თითქოს ლეთარგიულ ძილს მისცემოდა და მისგან თავის დაღწევას არც ცდილობდა.

გამიხარდის ეჭვი შეეპარა, კივილი ნამდვილად თუ ჩაესმა და კარის მიხურვა და საქალებოში გოგოების გვერდით მიჩინარე ცოლის დახედვა განიზრახა, მაგრამ ურდულისკენ განვდილი ხელი ჰაერში გაუშეშდა.

მისი ციხე-კოშკისკენ თავშიშველი კაცი თოვლს მორღვევდა. კარში მდგომი გამიხარდი რომ შენიშნა, შორიხლოს შედგა და რიდით მოაჩერდა.

ის კაცი მისი თანშეზრდილი გივარგი აღმოჩნდა. იმდენად თავგზაბებული ჩანდა, მისალმებაც არ გახსენებია.

- ძილ-ღვიძილში დიაცის სისხლის გამყინავი კივილი ჩამესმა. ნეტა, მომეყურა თუ?!

- ჰკითხა გამიხარდომი.

გივარგი დუმდა.

- ენა გადაყალბე, თუ რა იყო, ხმა გამეცი! - გულისწერობა ვერ დაფარა გამიხარდომი.

- სამწუხაროდ, სიავის მაცნე ვარ!.. ამის თქმა ძალიან მიძიმს, მაგრამ უნდა იცოდე, ის ქალი კესანე იყო... იმ უბედურმა თავი შემომაკლა! - ძლივს ამოიხავლა გივარგომ.

გამიხარდომი მისი უმეტყველო სახიდან მარჯვენით ჩაბლუჯულ, წვერგასისხლიანებულ ხანჯალზე გადაიტანა მზერა.

- რას ნიშნავს, „შემომაკლა“?! შენ რა, შეიშალე?! - შესძახა თავზარდაცემულმა გამიხარდომი და მისკენ ნაბიჯი წადგა, მაგრამ უეცრად, გულ-გვამი რაღაც ძალამ ბასრად გაუმსჭვალა, ფეხქვეშ ლამის მიწა გამოაცალა და მძლავრად შეაქანა.

გივარგომ მის შესაშველებლად ნაბიჯი გადადგა.

- მანდვე დაეტყი! - წყრომით შეუძახა გამიხარდომი.

გივარგი მისმა ხაფმა შეძახილმა ადგილზევე გააშეშა.

- ვიგერიებდი და ხანჯალს ნამოეგო, - როდის-როდის ამოღერდა გივარგომ.

- გამაგებინე, რას ნიშნავს „ვიგერიებდი“!

- ნაშუალამეც ციხე-კოშკში უჩუმრად შემოაღწია. საკოცნელად მოინვედა. შენ დაი, მე ძმა-მეთქი, ვარწმუნებდი, მაგრამ თითქოს ავ სულს შეეპყრო, არაფრის გაგონება არ უნდოდა, ბოლოს კი ქურქი შეიხსნა და დედიშობილამ მაცდურად თავისკენ მიხმო. ხანჯალი ვიშიშველ და, უწინამც ჩემს ძმად შეზრდილს ვულალატებდე, აპა, დამკარ და გამათავე-მეთქი, ამის შეძახებალა მოვასწარი, რომ ის შეშლილივით გამოქანდა, ხანჯლის წვერს მკერდი შეაგება, შემზარავად შეჰკივლა და უკან გადავარდა.

გამიხარდი დუმდა, გივარგის თვალს არ აცილებდა.

- და სული მაშინვე განუტევა?! - გამიხარდომი კითხვას გულის კენესა ამოაყოლა.

- ყველაფერი ისე უცაბედად დატრიალდა, თავი ჯერ კიდევ სიზმარში მგონია!

გამიხარდომი გივარგის ჯანლში გახვეულ ციხე-კოშკს გახედა.

- და ახლა მისი უსულო გვამი იქ გდია?! - თითქოს თავის თავს დაეკითხა. - მთელი ღამე ვდარაჯობდი, ბჭის კარიც ურდულგაყრილი იყო და ასე უჩინარივით როგორ გამეპარა! - გაიკვირვა მოგვიანებით.

- ჩემთანაც ისე უჩუმრად შემოაღწევდა, საიდან და როგორ, ვერაფრით შევიტყვე. გამიხარდი ერთხანს უძრავად იდგა და გივარგის ციხე-კოშკს ისეთი გაოგნებული გამომეტყველებით მისჩერებოდა, მისი სიტყვები, ეტყობა, არც გაუგია.

- კესანე რომ არა, აქედან ფეხის მოცვლას არ ვაპირებდი. ძმობას ვეფიცები. შენს ლალატს გაცლა ვარჩიე, მაგრამ რას ვიღიქვებდი, შენ მცდლობის მოუხედავად, ამდენი წლის შემდეგ ყველაფერი ასე სანდისტერად თავზე რომ ჩამომემხობოდა... ნეტამც, მოვმკვდარიყავ და პირი აქეთკენ არ მექნა!

- თავს ტყუილად ნუ იდანაშაულებ... ეს ჩემდამი კესანეს აჩემებული სიძულვილის საზღაურია... მან ჩემი კაცობა დაასამარა! ხომ ხედავ, რას დავემსგავსე, რაღაც გზებით მჩხიბავდა და სასიცოცხლო დერიტას მაცლიდა... აქაურობას ის კი არა, დროზე მე უნდა გავცლოდი, მაგრამ, ვინმეს რომ მიზეზი ეკითხა და სიმართლე გამეზილა, ქვეყნის სამასხრო გავხდებოდი... შვილების გამო ვითმენდი მისგან აბუნად ადგებას, არარად მიჩნევას და თითქოს ზენაარის განგებულებას ველოდი...

ერთხელ უვროსი ვაჟი აუხიორდა, მამას ასე უღმობლად რად ეპყრობოო. ეს ვითომ პირიმზე დიაცი ნამში ნამდვილ აღქაჯს დაემსგავსა, შვილს შინიდან გაგდებით დაემუქრა და მამამ აშკარად გაცხადდა თუ რა ბნელი ძალები მფარველობდნენ.

შენ ამ სახიარ ამბავს საბოლოო წერტილი დაუსვი. ამ საქმეში, ვხედავ, მთის წყაროსავით ანკარა ხარ და უნდა შევთანხმდეთ: მკვლეელი მე ვარ და ყველაფერზე პასუხს თვითონვე ვაგებ!

- გემუდარები, ასეთ მძიმე ცოდვას შენ ნუ იტვირთავ!.. მოუხედავად იმისა, რომ ჩემ მიერ შემართულ ხანჯალს თვითონ ნამოეგო, მთელი პასუხისმგებლობა მე მეკისრება... როგორც ახლა ვხვდები, ამისკენ თვითონ ვუბიძგე!..

- წუთით იყურე და ყური დამიგდე: კარგად ვიცი, სინდისის ქენჯნა ვალაპარაკებს, იმაზე კი არ ფიქრობ, შენი სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი ახლა ჩვენ შორის რომ წყდება... მე ხომ კარგად ვიცი, ჩემს ლალატს არასოდეს გულში არ ჩაიდებდი, არც იმისი მტკიცება გჭირდება, რომ მან თავი თვითონ შეგაკლა - შენ ხომ მას სიკვდილისთვის არასოდეს გაიმეტებდი... კესანემ სამართალი თვითონვე აღასრულა!..

ამიტომ, ვიდრე ჩემები ნამოშლებიან და სოფელიც გარეთ გამოეფინება, გზას გაუდექი, თორემ ახალუხლები მტყუან-მართლის გარკვევას როდი შეეცდებიან...

- ისინი მაშინვე ჩემზე იგუმანებენ და თავისებურად მართალიც იქნებიან.


- ამ მიეთმოეთ თავად ჩავაცხრობ... ახლა მთავარია, ჩემს მკვდარს თვითონ უპატრონო... მერე კი ღვთისა და სოფლის განაჩენს მორჩილად დაველოდი! - მიუგო ძმადშეზრდილს გამიხარდომი.

გივარგი ერთხანს გახვევებული იდგა და თვალს არ აცილებდა მის წინ მდგომ, მხრებში მოხრილ, ელდისა და ურვისაგან განადგურებულსა და დაჩაივებულ თანშეზრდილს. მისი გამხნელება ან რაღაც ისეთის თქმა სწადდა, რაც ყოფნა-არყოფნის ზღვარზე გახერხის იოტისხელა იმედს მინც რომ ჩაუსახავდა, მაგრამ

მიხვდა, მისგან თანაგრძნობასა და ფუჭ სიტყვაუხვობას ვერ აიტანდა და, როგორც კი ეს გააცნობიერა, მოუხედავად იმისა, რომ გადანყვეტილების მიღება მეტად გაუჭირდა, წვერგასისხლიანებულ ხანჯალს მის ფერხით დაარჭო, მიტრიალდა და დათოვლილ ბეჭობს არეული ნაბიჯით გაუყვა.

ერთხანს თოვლის ფანტელებში მკვეთრად ჩანდა მისი აღნაგი ტანი, მერე თანდათან გაუჩინარდა, ხოლო მისი კვალი თოვლმა თითქოს საგულდაგულოდ წაშალა.

მხატვარი ივანე ნიკოლაძე





სალომე ენუქიძე

სალომე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიის მეოთხე კურსის სტუდენტია. ლექსი მისი ყველაზე სერიოზული გატაცებაა. თუმცა, როგორც მომავალ ფილოლოგს, სიტყვასთან მიმართებით სხვა ინტერესებიც აქვს. დღეს მიდი დებოუტია „ლიტერატურულ საქართველოში“.

სლოგანები

მე ვზივარ სკამზე და ვუსმენ ხმაურს, მონმენდილ ცაზე მზე დანავარდობს, მაისი უტყვად მოელის ზაფხულს, ხე ალუბლების ჩემ უკან ნაღვლობს.

ხე ალუბლისა მიაგავს ლანდებს, ქარში დაკარგულ, გაბნეულ აზრებს, ფოთლებქვეშ მალავს უსუსურ ბავშვებს, ბავშვებს, რომლებსაც ნაყოფად აქცევს.

კვლავ ვზივარ სკამზე, ვუმღერი ზაფხულს და ალუბლები მიცქერენ ხიდან, ისინი ჰგვანან შენს ტუჩებს ზღაპრულს, როცა სისხლისფრად ფარავენ მინას.

ოქროსფერი ლარნაკი

ოქროსფერი ლარნაკი, მზის სხივები თბილი, თვალი ფირუზისფერი, ჰაერზე ხარ მეტი, როგორ იფერფლებიან ცეცხლის ალში თმები, როგორ მომიახლოვდნენ დასასრულის დღენი.

ო, ძვირფასო, ნუ წახვალ, წინ ზამთარი გველის, მე ძალზედ მეშინია მარტოობის ბნელში, ო, სუსხია გარეთ, ფიფქი თეთრად ბარდნის, ოთახში დგას ძველი მონატრების ფერი.

ყველა კუთხე ჩემში შენზე ზღაპრებს ჰყვება, ყველაფერი დავკარგე, მხოლოდ სევდა შემრჩა, ეს ცრემლებიც, კარგო, სიყვარულის შრეა, ოქროსფერი ლარნაკი, ისევ თბილი მზეა.

ფირუზისფერ თვალებს, აჭარხლულ ამინდებს, კვირტად მოუშინა გრძნობა ატმის ხეებს, სიყვარული დამრჩა მხოლოდ შენგან დღეს, ოქროსფერი ლარნაკი გაგვასხენებს ძველს.

აქამიანო

ადამიანო, ვინაა, მითხარი?! ეშმაკს მიჰყიდე სული ღვთიური, პირუტყვად იქეცე, როგორც ცხოველი, და მთლად ნაბიღე უნო ზეციური.

ადამიანო, გთხოვ გამოფხიზლდე! ფერი იცვალა ცისკრის მზის დარბა, გამოაფხიზლე შენში სიკეთე, გამოაფხიზლე შენში სიკეთე, ნუ ამოიგლეჯე გულს ავდრიაჩ ვაჟს!

ფერად სამყაროს ნუ ამუხთალებთ, ნუ აფერმკრთალებთ ცის სარტყელ მგოსანს, ქაოსს ნუ თესავ, გზას ნუ ამოკლებ, ნათელს ნუ მოკვეთ, ძაძას ნუ მოსავ!

ისევ სიცივე, უშენობა და სიმარტოვე, ისევ სიშიშვლე სულიერის განსხეულების, ისევ ტკივილი, სიტყვები და მხოლოდ სიცრუე, ისევ მცდელობა ყოფიერის შემსუბუქების.

ზღვაში წვეთია იმოდენა დაღვრილი ცრემლი, ქარიშხალია, აზრების და ფიქრების თქეში, არ გიდარდია ოდენობით შენ ერთი პეშვი, როცა დამტოვე და წახვედი ვარდობისთვეში.

არც სიხარული, მღუმარება, მოკდავი სული, არც დავინყებას მისცემია სურნელი შენი, არც შემძლება, გამეფიქრა სიმორე ჩვენი, არც მინანია ტკივილები ასეთი ბევრი.

ახლა ყველაფერს აებადა ფარდაგი ბნელი, უმანკო ღიმილს ჩაენაცვლა სიამე ბედის, ახლა თვალს არ მჭირს იმედების ფერები ჭრელი, ახლა ოცნებებს ქარს ვატან და ვიცი, რაც მელის.

წამიყვანა მზემ თავისთან და ვფიქრობ, რომ ჩემით ათობს, ჩემით ათობს დედამინას და მთვარესაც ჩვენ ვდარაჯობთ. ვდარაჯობთ და ველოდებით, როდის ჩავა, რომ მოვტაცოთ, რომ მოვტაცოთ დედამინა და ჩვენ ორმა ვინაყარდოთ.



ლელა ლაბაზიძე

ბაკონი

მზე დედამინას დაენურება – ამოიფრქვევა მინის გულიდან ბალახი, შეიმოსება თალხი ზურმუხტით, სიკვდილის ფერს გადაეკმევა სიცოცხლის სხივი, მტლად დაედება ყოველივეს ბალახის მადლი, წამოსახლარებს ენუგეშება, წყლულებს სალბუნს ფენს, შრიალებს სათნოების ლოცვად. სინათლეს, მზეს ელტვის უძლეველი, ქვაში ამოხეთქს, კლდეებს ჩამოლევს ცისკენ მზირალი. მარადიული სიცოცხლის უკვდავების ხატია ბალახი, ღმერთო, მიეცი ჩემს ხალხს, ჩემს სამშობლოს ძალა ბალახის...

ყოჩაღალოცის წყნოფო

ო, მეფეო, ლოცვად მდგარი ვინანიებ შენს სიყვარულს. ... შემომესმა ქვის კიბეზე შენი ცხენის თქარათქური, ჩამორეკეს მწუხრის ზარი, სამზერიდან დაიღვარა ქარი, ყაყაჩოს და ქრისტესისხლას სურნელებით გაუღენთილი. გულს, გონების ურჩს და ფაქიზს, მწყურვალევიტ ენატრები... ძვირფას თვალთა ციმციმისგან გაძარცული, დათალხული – მკერდს მავლია ცრემლის ჯვარი,

დაარისხეს მონასტერში დედოზარი. შენ, ჩემს მიძენელს, ღვთის ნებასთან ვერას გშეელის მეფის ნება შეუვალა. შენ მიდიხარ, წვება ღამე. ფილაქანის მტვრიან ფილებს ენარცხება შენი სიტყვა, სიმწრისაგან დანაკვესი – „ნეტარ მას კაცსა, ვინ არღარა ცოცხალ არსო“ – ჩემი სულის იარათა სასალბუნოდ იმ ქვეყანას ნასალბები...

ოვთისმშობელო

წმიდა ქალწულო, კდემით მოსილო, ჩვილისკენ დახრილს გშენის ცისფერი თავსაბურავი... გესასოები საბრლო ქალი, ნუთისოფლის გზაზე მავალი. შესთხოვე შენს ძეს, ვიცოცხლო ისე, ვკრიფო სამოთხის ყვავილთა ტევრი, მეც მიწიერი დედები მზრდიდნენ, შვილებისათვის ნარ-ეკალზე დაგებულები, იყვნენ ნათელში სიყვარულით ჩამომდნარები. შესთხოვე შენს ძეს, ტკივილით დაღლილს, ამარიდოს ცრემლის უღრანი. ვნებებისაგან ნანამები დაწყნარდეს გული, თითქოს შენს ხელებს, რიჟრაჟისას მოსულ თოვლისფერს სიზმრად ვემთხვიე...

ჩიფრადის ჩიცი

რიჟრაჟის ჩიტო, ჩემი ბალის ლაღო პოეტო, ყოველ ცისმარე დაფერფლილი იმედიდან შენ მკვდრეთით დგები, აკრთობს სიმღერით უკუნს და წვიმას, უხმობს შორეთში ჩაძირულ მნათობს, ისე წრფელია შენი გალობა – ზეცამდე აღწევს, შეხსნის ცის კარებს. არავინაა ამ ცოდვიან დედამინაზე შენზე მართალი ღმერთთან თუ კაცთან, დაგვინყებია ძლევა და შიში, ნათელის ქებად გელვენთება გული შეძრული. ნეტა შენ, ჩიტო, არ გყავს, ალბათ, არც სალიერი... სულგანაბული ყურს მიგიკვდებს ფრინველთა ქორო, შლიან თეთრ კვირტებს ვამლები და აკაციები და, როცა ბაღში დაცივდება ქარვის ფოთოლი,

წამიყვანს ნისლი თეთრი საბელით, ყველაზე მწარედ შენ დამიტირებ გულის მომწყვლელი მკვენესარე ჰანგით.

ფერისცვალება

თრთის აგვისტო, აღმოდებული, ღრუბლის საკმეველი დაბინდულა მათათა გრეხილი. ცისა და მინის გასაყართან სმარაგდევით ელვარებს ანწლი. ძველს, მშვენიერს, შესაქმის დროთა საგალობელს მღერიან გაბმით მწიფობელები. მზე იძირება დაისის ძონში. მოერეკება ცხვრის ფარას მწყემსი. დატვიფრულია სიყვარულით ქვაც და ყვავილიც... და, როცა ცოდვის უფსკრულებში დავეხტები, კვლავ შენ ხარ ჩემი სულის ჭრილობების მკურნალი, უფალო...

ივნისი

ვინ დაგილაქა მწვანე კაბა თუთით, ივნისო, შენ ააჭრელე ყვავილებით ზაფხულის მინდვრები, ჩამოჰკიდე ბრონეულებს ზანზალაკები, ასე საამოდ რომ ირხევიან ქარის შრიალში. დააფინე ჩემს სულს სიხარულის სალბუნი. ისევ მოფრინავს სარკმელთან ახლოს მერცხლების წყვილი, უგალობს ცაცხვს უფლის ფუტკარი, გაცისკრებისას მესმის, როგორ ეფერები დაცრემლილ ვარდებს. ჩემს სულსაც ესალბუნე, ყვავილებით შემკულო ივნისო.

სლოგანში

ალვანში ახლა ნათელი ჰგავს მოწყვეტილ ყვავილს, ჭკნება მწუხრისფრად, სალამოვდება, მოდის სევდა საგოდებლიდან ჩუმი ნაბიჯით. მწუხარე ფერი დაჰკრავთ ყვავილებს, დეკემბრის თრთვილის ცრემლით დაბინდულთ, სახლის კუთხეებს შეფარებული ჭრიჭინობელა მღერის ღამეთა ნაღვლიან საარს, სეირნობს ღამე გრძელი კაბით მონყენილ ბაღში.


განქალაქებულ ავტორთა

„განქალაქებულის“ ნაცვლად, „განქალაქებულს“ რომ დამწერს, ალბათ არაფერი იქონიან...

გადაიღეს ფინელმა რეჟისორებმა იური ნორტამ და ტრიეო სიარკიამ. რევოლუციური პეტერბურგში ხელიდან ხელი...



Anna Borisova



დობროკუბიკულარისთვის შთანთქმარები

კლარა გაზელის თეატრმა არ შეიძლება არ გაგვასხენოს მარგო კორაბლევა თეატრი...

კლარა გაზელის თეატრმა არ შეიძლება არ გაგვასხენოს მარგო კორაბლევა თეატრი - რომელიც 90-იან წლებში შექმნა...

კატა ნასვლიშვილი

კარავა, სანამ ამ სერიის ბოლო რომანიც არ დაიბეჭდა. საინტერესოა, რომ სწორედ იმავე წლებში მწერალმა თავისი სახელითაც...

არის თუ არა ეს ტექსტი სარეკლამო? და თუ სარეკლამოა, ვისი ან რისი რეკლამა? „გლოვოსი“ თუ „ვოლტისა“? აქი მიტანის სერვისს...

და ვინ არის მარგო კორაბლევა? არის თუ არა ის დათო ჩიხლაძის ფსევდონიმი? თუ მართლა არსებობდა იგი...

აი, რას ამბობს მარგო შესახებ მისი მშობელ-შემქმნელი დათო ჩიხლაძე: „მარგო კორაბლევა არ არის ფსევდონიმი. მარგო კორაბლევა არის თეატრის სახელწოდების ნაწილი და, მეორე მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ ფიქტიური სახელია, დაკავშირებული მხოლოდ არტისტულ გამოხატვასთან და ლინგვისტურ ასოციაციებთან - მარგო, მარგინალური, აქტრისა მარგარიტა. მარგარიტა თავის მხრივ ეტიმოლოგიურად დაკავშირებულია მარგალიტთან, ესე იგი, ზღვასთან. რაც შეეხება გვარს, კორაბლევა იგივე ხომალდაშვილია ქართულად, ან გემშიწილი. და რადგან ქართულში ზუსტად ასეთი გვარი არ არის, აღებულია რუსულიდან, თანაც შემთხვევითი აღმოჩენის საფუძველზე, რუსული დოკუმენტური ფილმის ყურებისას, ხმის ოპერატორის გვარის მიხედვით. ანუ მთლიანად პოეტური თუ მითოლოგიური თამაშია.“

შეიძლება ითქვას, რომ კლარა გაზელი რადაც შუალედურია ფსევდონიმსა და მისტიფიკაციას შორის. საერთოდ, განქალაქებულთა, ისევე როგორც განქალაქებულთა შემთხვევაში, არსებობს ფსევდონიმი, ფსევდონიმის ფსევდონიმი და არსებობს მისტიფიკაცია.

XIX საუკუნეში მოქალაქეობაში პოპულარული იყო ფონა მალკოვი, რომლის ფაქიზი სტილი პროზასა თუ პოეზიაში არავითარ ეჭვს არ ტოვებდა, რომ იგი შეიძლება მამაკაცი ყოფილიყო. არადა, ის სწორედ კაცი გახლდათ - უილიამ შარპი (1855-1905), რომელიც ნაკლებ პოპულარული ყოფილა, ვიდრე მისი ფსევდონიმი.

ფინელმა მწერალმა ალგოტ უნტოლამ (1868-1918) თავისი პოვესტი ანუ ვრცელი მოთხრობა „ასანთზე“ 1910 წელს გამოსცა ქალის - მაიუ ლასილას ფსევდონიმით. ცნობილია ამ პოვესტის ორი ეკრანიზაცია: საბჭოთა რეჟისორის ლეონიდ გაიდანის კომედიამ, რომელიც ეკრანებზე 1980 წელს გამოვიდა, მთავარ როლს ევგენი ლეონოვი ასრულებს. მანამდე, 1938 წელს, მიუ ლასილას მოთხრობის მიხედვით ფილმი

ანეელიკა საფინოვასი არ იყოს, ფსევდონიმის ფსევდონიმი ნინა ვოსკრესენსკაია, რომლის სახელით 1915 წელს ოდესის ლიტერატურულ პრესაში მშვენიერი ლექსები გამოქვეყნდა. მალე გაიკვსა, რომ მათი ავტორი იყო რუსული პოეზიის ვერცხლის საუკუნის ერთ-ერთი გამორჩეული პოეტი ედუარდ ბაგრიცკი, რომლის ნამდვილი გვარი ძიუბინი გახლავთ.

ფსევდონიმის ფსევდონიმი აგრეთვე ანა ბორისოვა. ამ სახელით სამი უფანდორინო რომანი გამოქვეყნდა ბორის აკუნინმა, რომელიც სინამდვილეში გრიგორი ჩხარტიშვილია. პრესაში ანა ბორისოვას რამდენიმე ინტერვიუ კი გამოქვეყნდა, მაგრამ „ცოცხლად“ ის არავის ეჩვენებოდა, ხოლო შურნალისტთა კითხვებს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით პასუხობდა. ის კი არა, ელექტრონული ფოსტით მან თავისი ერთადერთი პორტრეტიც გაგზავნა გამოსაქვეყნებლად. პორტრეტი ვრიგორი ჩხარტიშვილისა და მისი მუდღისი პორტრეტებისგან იყო შექმნილი ფოტომოფით. ბორისოვას პირველი რომანი 2008 წელს გამოვიდა, ბორის აკუნინმა კი ეს ფსევდონიმი 2012 წელს თავადვე გახსნა თავის ბლოგში.

ინგლისელმა მწერალმა და კინოდრამატურგმა პიტერ ო'დონელმა (1920-2010), რომელიც ცნობილი იყო თავისი მისტიკური ტრილერებით და რომელმაც თავისი რომანების ციკლი შექმნა ქალი აგენტის

ინტერნეტის ქვევა-ქვევაში ბოლოს კიდევ ერთი განქალაქებული მწერალი აღმოვაჩინე. ეკატერინბურგში გადაცხოვრებულმა სერდლოვსკელმა პროზაიკოსმა და ჟურნალისტმა ანდრეი მატვეევმა (1954-2019), რომელიც ათი რომანის ავტორია, ორი მათგანი 2002 და 2003 წლებში კატია ტკაჩენკოს სახელით გამოქვეყნდა, მაგრამ რატომ და მიზეზით, ვერსად ვერაფერს მივაკვლიე. განქალაქებული ანდრეის რომანებია: „დადამათა რემონტი“ და „სიყვარული დამწყებ მომხმარებელთათვის“.

და რა მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში? როგორ წარმოიქმნა ან როგორ მიდის ქართველი ავტორთა განქალაქების ლიტერატურული პროცესი?

როგორ და, ძალიანაც კარგად! გაქანებული პანდემიის პერიოდში, როცა შინ ჩავიკეტეთ და როცა მიტანის სერვისი - „გლოვო“, „ვოლტი“ თუ სხვა არნახულად გაიფურჩქნა, ხელში ჩაიგვარდა მომცრო ნიგნაკი, რომელიც სწორედ მიტანის სერვისის ეხება.

ეს გახლავთ ანუშკი ნათაძის „ვინ ეკითხება კურიერს“, რომელიც 2020 წელს გამოუცია გამოქვეყნდა „კითხვის ნიშანი“. რაკი გამოქვეყნდა ასეთი ორიგინალური სახელი ჰქვია, ეტყობა, სათაურსაც ამიტომ არ უზის ბოლოში კითხვის ნიშანი! ან

რატომ და, ძალიანაც კარგად! გაქანებული პანდემიის პერიოდში, როცა შინ ჩავიკეტეთ და როცა მიტანის სერვისი - „გლოვო“, „ვოლტი“ თუ სხვა არნახულად გაიფურჩქნა, ხელში ჩაიგვარდა მომცრო ნიგნაკი, რომელიც სწორედ მიტანის სერვისის ეხება.

რატომ და, ძალიანაც კარგად! გაქანებული პანდემიის პერიოდში, როცა შინ ჩავიკეტეთ და როცა მიტანის სერვისი - „გლოვო“, „ვოლტი“ თუ სხვა არნახულად გაიფურჩქნა, ხელში ჩაიგვარდა მომცრო ნიგნაკი, რომელიც სწორედ მიტანის სერვისის ეხება.

რატომ და, ძალიანაც კარგად! გაქანებული პანდემიის პერიოდში, როცა შინ ჩავიკეტეთ და როცა მიტანის სერვისი - „გლოვო“, „ვოლტი“ თუ სხვა არნახულად გაიფურჩქნა, ხელში ჩაიგვარდა მომცრო ნიგნაკი, რომელიც სწორედ მიტანის სერვისის ეხება.

და სულ-სულ ბოლოს: ტექსტს წინ უძღვის წინასიტყვაობა მეტყველებს უნაწილად სათაურით: „წინასიტყვაობა არაა...“

მინდოდა, ეს ყველაფერი, რაც აქ ამ მართლაც ონაერულ ნიგნაკს დაეწერე, მისავე ბოლო გვერდზე მიმეწერა, როგორც წინასიტყვაობაში მიჩრჩიეს, მაგრამ იქ ვერ დავტყვედი და ამიტომ აქ ვწერ.

დაწარჩენი დაე, მკითხველმა თავად ნახოს და გაარკვიოს, „თუკაია“!

არ ვიცი, იცნობენ თუ არა ერთმანეთს ამ ფსევდონიმებს ამოფარებული რეალური ავტორები, მაგრამ ჩემს შთანთქმარში ანუშკი ნათაძე დიანა ვაჩნაძეს უნდა შევუწყვილო.

დინა ვაჩნაძე უახლეს ქართულ მწერლობაში ყველაზე ფართოდ ცნობილი განქალაქებული ავტორია. ის რომ მთელი მისი შემოქმედება - პოეტური თუ პროზაული - ლიტერატორთა მეტ-ნაკლებად ფართო ჯგუფის თვალწინ იქმნებოდა, იმავითვე გამოიციხავდა ამ ფსევდონიმის გაუხსნელობას. ლიტერატორთა წრეებში თავიდანვე დანამდვილებით იცოდნენ, რომ დინა ვაჩნაძე შოთა იათაშვილის ქალური ნიღაბი გახლდათ.

ვერ იყო და, დინა ვაჩნაძისა და შოთა იათაშვილის ლექსების ერთობლივი წიგნი გამოიცა 1997 წელს. წიგნს „მსუბუქი, ძალიან მსუბუქი და არც ისე მსუბუქი“ ჰქვია და მასში 63 ლექსია დაბეჭდილი, ამათგან 24 - დინა ვაჩნაძის სახელით. დინა ვაჩნაძის წინასიტყვაობიდან ვიგებთ, რომ ლექსების წერა მას 1983-წელს დაუწყია, რასაც თურმე იმავე მეტი ყურადღებით მოეკიდნენ ვიდრე მას შეიძლება ეგვარაუდა. ამას მოჰყვლია პუბლიკაციები „რუბიკონში“, „პოლოლოგში“, „+ლიტერატურაში“.

ამის მერე დინა ვაჩნაძის ხუთი ლექსი ჟურნალ „არილიში“ გამოქვეყნდა 2000 წელს.

დაბოლოს, რაც მთავარია, 2003 წელს ბაკურ სულაკაურმა გამოსცა დინა ვაჩნაძის რომანი „ნატა ანუ ახალი ყიული“ ასეთი ხუჭუჭა ქვესათაურით: „კავკასიონის მთისძირა პატარა სახელმწიფოს მოქალაქე ორი მიჯნურის წერილები“.

წიგნის წინასიტყვაობის ავტორი, რა თქმა უნდა, შოთა იათაშვილია. იგი წერს: „დინა ვაჩნაძის ეს ნაწარმოები 1998-1999 წლებში გაგრძელებული ქვეყნდებოდა ლიტერატურულ გაზეთ „ალტერნატივაში“. მე, როგორც გაზეთის რედაქტორი, ბედად მერგო ამ ტექსტის რედაქტირება და ამიტომაც დროთა განმავლობაში რამდენიმე ისეთი ნიუანსის მცოდნე ვავხდები, რომელთა გარეშეც ნაწარმოების ხასიათის გაგება ვერანაირად ვერ მოხერხდება...“

შოთას მცირე წინააღმდეგ ვიგებთ, რომ რომანმა „განსჯადი რეალობის ნებათაღელვა და აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია მკითხველთა და ლიტერატორთა წრეებში, რისი შედეგიც იყო ის, რომ ტექსტის ბეჭდვის პერიოდში მის შესახებ იმავე „ალტერნატივაში“ გამოქვეყნდა ხუთი რეცენზია, დაფიქსირდა ხუთი ერთმანეთისაგან ბევრ რამეში განსხვავებული და ბევრ რამეში ერთმანეთის შემავსებელი კომენტარები.“

წიგნად გამოცემულ ამ რომანს ერთი თვის ეს რეცენზიებიც თუ სხვა გამოხმაურებებიც და ეს ყველაფერი რომანიან-გამოხმაურებებიან ერთ საინტერესო ლიტერატურულ თამაშად რჩება ჩვენი თანამედროვე მწერლობის ისტორიაში.

თუმცა მისტიფიკაციამდე ეს თამაში ვერ მივადი იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ დინა ვაჩნაძის იათაშვილობა არც იდუმალებით იყო მოცული და არც საკამათოდ გაუხსნია ვინმეს.

იდუმალებით მოცული სხვა, ათწლეულების წინანდელი ლიტერატურული თამაში გახლავთ, რომელიც ბოლო წლებში საკამათოდაც აქციეს. თანაც კამათი ლიტერატორის სფეროს გასცდა და უჩანდა მთელ არაჯანსაღმა აფოტაჟმა საზოგადოების ფართო ფენებში მოიცვა. საუბარია პაპოლო იამეილის დარიანული ციკლის ლექსებზე, რომლებიც მან ელენე დარიანის სახელით გამოქვეყნა, რაც საუკეთესო მისტიფიკაციად მიმაჩნია მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის ისტორიაში. თუმცა ეს უკვე სხვა შთანთქმარის თემაა.

ლიბერალიზმი

კვლავ ეჩივლები მეორის შესახებ

დღევანდელი საზოგადოებრივი აზრი რომ გამოკვეთილით ერეკლე მეორისა და მის სახელთან დაკავშირებული ტრაქტატის შესახებ, ორი უკიდურესი და მიუღებელი პოზიცია შეიძლება დაეფიქსირათ. პირველის მიხედვით, „მოლაღატე“ მეფემ დამლუბველი ხელშეკრულება დადო რუსეთთან, მეორე პოზიციას ტელეარხი „ობიექტივი“ და მისი მთავარი იდეოლოგები პროპაგანდირებენ, რომლის მიხედვით, რუსეთმა „იხსნა“ დალუპვის პირას მყოფი საქართველო.

ალბათ პოლიტიკური ვნებების გავლენის გამოა, რომ ისტორიულ მეცნიერებაშიც შეიმჩნევა ერეკლე მეორის მიმართ კრიტიციზმის გაძლიერება, რაც გამოიხატება მეფის პოლიტიკის გამამართლებელი ისტორიკოსების პოზიციების კრიტიკით. ეს-ესაა გამოკვეყნდა დავით მერკვილაძის წიგნი „გეორგიევსკის ტრაქტატი და ერეკლე მეფე“. ავტორმა რამდენიმე შენიშვნა გამოთქვა ჩემი შეხედულებების შესახებ, რომლებსაც ბრალდებებს უფრო დავარქმევდი. ეს შეხედულებები დასაბუთებული მაქვს 2014 წელს გამოკვეყნებულ ნაშრომში „საქართველოს მფარველობა და დაპყრობა რუსეთის მიერ“.

ბრალდება I. ბატონი დავით მერკვილაძე წერს: „ვერ გავიზიარებთ ასევე მოსაზრებას, რომ თითქოს ამასიის გეოპოლიტიკური სისტემის პირობებში ქართველ ხელისუფალთ რუსეთის იქით გზა არ ჰქონიათ და მათი რუსეთზე სწორება არჩევანიც კი არ ყოფილა – არამედ ეს მათთვის ერთადერთი გამოსავალი იყო არსებული სისტემის მოსაშლელად“.

ღიახ, ზუსტად ასე ვწერ და ვასაბუთებ კიდევ ჩემს ნაშრომში, რომელიც იწყება თავით: „მოკავშირე-მფარველის ძიება ევროპაში“. ამ თავში განხილულია ქართულ ისტორიოგრაფიაში კარგად ცნობილი ფაქტები, როგორც ეძიებდნენ ქართველი მეფეები მფარველ-მოკავშირეს ევროპის ქვეყნებში, ოსმალეთისაგან თავდასახსნელად. ამ მიზნით ვწერ კიდევ საქართველოს მეფე გიორგი მეფემ წარგზავნა ელჩობა, რომელმაც მოიარა უნგრეთი, ავსტრია, ვენეცია, რომი (პაპი პიუს მეორე), ბურგუნდიის საჰერცოგო და საფრანგეთი.

1492-1494 წლებში ქართლის მეფემ კონსტანტინე მეორემ გაგზავნა ელჩი შორეულ ესპანეთში და წერილიც გაატანა დედოფალ იზაბელა კასტილიელთან, რომელშიც ჩიოდა: „კონსტანტინოპოლის, ტრაპიზონისა და სხვა ქრისტიანთა დაცემის შემდეგ მარტოდმარტონი და სრულიად დადაბლებული დავრჩითო...“, მოგვეხმარეთო.

იმავს წერდა ქართლის მეფე რომის პაპს, ალექსანდრე მეექვსეს.

არაფერი გამოვიდა. ვერც შემდგომმა ელჩობებმა მოიძიეს მოკავშირეები ევროპაში, რომელნიც გაგზავნეს ალექსანდრე მეორე კახთა მეფემ, დიდმა სვიმონ ქართლის მეფემ, კახთა უიღბლო მეფე თეიმურაზმა და სხვებმა. აღარაფერს ვამბობ სულხან-საბას გახმაურებულ ელჩობაზე ლუი მეთოთხეტესთან და რომის პაპთან. თვითონ ერეკლე მეორემ ხომ 1881-1882 წლებში ორჯერ გაგზავნა ელჩები ევროპაში და ბატონი მამუკა ნაცვალაძის საინტერესო კვლევებიდან როგორც ირკვევა, შემდგომ წლებში – კიდევ ორჯერ.

ქართველ ისტორიკოსთა შორის კი ისეთიც აღმოჩნდა, რომელიც ამ შუასაუკუნეების საქართველოს ისტორიის ანბანურ თეზისს მედავება – ვერ გავიზიარებთო. სამწუხაროდ, ასე იყო. რუსეთის იმპერიამ ქართველ მეფეებს ყველა გზა დაუბლოკა ევროპისაკენ. თუ ჩემმა ოპონენტმა იცის, რომ ასეთი სახელმწიფო არსებობდა, რომელსაც შეეძლო დახმარება და ერეკლე მეორემ არ მიმართა, რატომ გვიმაღავს და არ გვისახელებს, რომ ჩვენც ვიცოდეთ? მაგრამ არც მან იცის და სულ ტყუილბრალოდ ხმაურობს. ამ კომპონენტში ის ტყუის და რას გვედავება, გაუგებარი რჩება. ოპონენტის პირველი ბრალდება გაქარწყლებულია, როგორც სრულიად უსაფუძვლო.

ბრალდება II. ჩვენი კრიტიკოსი უიმედოდ ცდილობს დაასაბუთოს, რომ ამასიის ზავი არამდგრადი იყო და „არაერთხელ ირღვეოდა“. ის ტყუილბრალოდ ჩამოთვლის ამ დარღვევებს, რადგან რამდენჯერაც დაირღვა ამასიის ზავი, იმდენჯერვე აღდგა და, შესაბამისად, აღდგა ამასიის გეოპოლიტიკური სისტემაც.

ელემენტარული არითმეტიკა მოვიშველიოთ. ამასიის ზავის დადებიდან, როცა საქართველო ორად გაიყვეს ყიზილბაშურმა ირანმა და ოსმალეთის იმპერიამ, ე. ი. 1555 წლიდან 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის დადებამდე გავიდა 228 წელი. აქედან – ოსმალეთმა რამდენჯერმე შეძლო მისი დარღვევა და მთელი სამხრეთი კავკასია წაართვა ირანს, სულ რომ შეეჯავრათ – 37 წლის განმავლობაში.

დანარჩენი 191 წლის განმავლობაში აღმოსავლეთ საქართველო და ამიერკავკასია სტაბილურად იმყოფებოდნენ ყიზილბაშური ირანის უზენაესობის ან მპყრობელობის ქვეშ, ხოლო დასავლეთ საქართველო – ოსმალეთის იმპერიის მფლობელობაში. ირან-ოსმალეთის უზენაესობას არ ცნობდა ზოგიერთი ჩვენი მეფე და განსაკუთრებით კი ერეკლე მეორე, მაგრამ ეს იყო დე ფაქტო დამოუკიდებლობა. საქრთაშორისო ურთიერთობების დონეზე კი მსოფლიოს სახელმწიფოების-

თვის საქართველო-კავკასია ირან-ოსმალეთის კუთვნილებად განიხილებოდა. თუ არსებობს ისეთი ისტორიკოსი, რომელიც 37 წელსა და 191 წლის ხანგრძლივობებს ვერ გააჩრევს, ეს მიძიმე შემთხვევა იქნება ან გაუგონარი ტენდენციურობა, რომელსაც საისტორიო მეცნიერებასთან არაფერი საერთო არ ექნება.

გეორგიევსკის ტრაქტატი პირველი საერთაშორისო ხელშეკრულება იყო, როცა ქართლ-კახეთის სამეფო ოფიციალურად და იურიდიულად გამოვიდა ირანის უზენაესობის რკალიდან. მოკლედ, ეს მეორე ბრალდებაც სრულიად უსაფუძვლოდ უნდა მივიჩნიოთ.

ბრალდება III. ოპონენტის აი, ამ შენიშვნას კი ზუსტი კვალიფიკაცია ვერ მოვუძებნე, იმდენად დაუჯერებელია. ორი შესაძლებლობაა: ოპონენტმა ჩემი ტექსტი ნაიკითხა და ვერ გაიგო და ეს, ბოლოს და ბოლოს, შეიძლება საპატიოდ ჩათვალოს. ან მეორე – წრეგადასულად ცილისმამბელობა, რაც არასაპატიოა და მის წიგნს შავ ლაქად დააჩნდება მუდამ. ბატონი მერკვილაძე ისეთ რამეს მბრალდებს, რაც არც დამინერია და სრულიად საწინააღმდეგოს ვფიქრობ და ვწერ. უნდა მოზრდილი ამონარიდი მოვიყვანო ჩემი წიგნიდან, რათა მთელი ტექსტი გაითვალისწინოს მკითხველმა.

ვწერ: „ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული ერთ-ერთი მოსაზრებით, ერთმორწმუნეობის ნიშნით უპირობოდ ნდობა სხვა ქვეყნისადმი ქართული დიპლომატიის სისუსტე და შეცდომა იყო. XV-XVIII საუკუნეების ქართული დიპლომატია შეცდა, როდესაც მხოლოდ სარწმუნოებრივი ნიშნით, ერთმნიშვნელოვნად და უკრიტიკოდ აიღო რუსული ორიენტაცია. ეს ბრალდება მოარული და მოდურია განსაკუთრებით ბოლო წლებში. ბრალდება ზოგადი ხასიათისაა და მთლიანად ვრცელდება XV-XVIII საუკუნეების თითქმის ყველა ქართველი მეფის მიმართ, რომლებსაც „რუსული ორიენტაცია“ სინდრომი აწუხებდათ. ამ მეფეთა სია არცთუ მცირეა და ალექსანდრე პირველი კახთა მეფიდან გიორგი მეთორმეტემდე, მეფეთა ოცეულზე მეტს გულისხმობს. რომ დავუფიქრდეთ, ასეთ დასკვნას მივიღებთ: თუ სამი საუკუნის მანძილზე ქართული დიპლომატია მუდმივ შეცდომებს უშვებდა, მაშინ გამოდის, რომ მაშინდელ საქართველოს სუსტი დიპლომატია კი არა – გონებასუსტი მეფეები ჰყოლია. თუ ისინი მხოლოდ „ერთმორწმუნეობის“ ნიშნით ამყარებდნენ სახიფათო ურთიერთობებს რუსეთთან, მაშინ ისინი რელიგიურ ფანატიკოსებად გვევლინებიან, ხოლო თუ სამი ასეული წლის მანძილზე „უპირობო ნდობით“ ეკიდებოდნენ რუსეთთან ურთიერთობას, მაშინ გულბრყვილოებიც ყოფილან. ეს ყველაფერი სერიოზულზე სერიოზული ბრალდებებია და ეჭვქვეშ აყენებს ნაგულისხმევ ქართველ მეფეთა და, ამდენად, ქართული პოლიტიკური ელიტის ინტელექტუალურ შესაძლებლობებს.

ასე რომ, ამგვარი ლოგიკის მიხედვით, გულბრყვილონი, გონებასუსტნი და რელიგიური ფანატიკოსნი ყოფილან: ალექსანდრე კახთა მეფე...“ და ჩამოვთვლი 12 მეფეს, რომელნიც რუსეთს მიმართავდნენ მოკავშირეობა-მფარველობის თხოვნით.

ეს ყველაფერი რომ ზემოაღნიშნული პოზიციის მქონე ისტორიკოს-პოლიტიკოსთა მიმართ ირონიზირებაა და აბსოლუტურად მიუღებელია ჩემთვის – ჩვენი ოპონენტი ვერ მიხვდა. მან ჰაიპარად ნაიკითხა ტექსტი და არ მიაქცია ყურადღება, რომ მასში სამჯერ არის ნახმარი კავშირი „თუ“, რაც იმას ნიშნავს, რომ სულაც არ ვიზიარებ ზემოაღნიშნულ მეფეებზე უსამართლო იარლიყების მიკერებას: რომ თითქოს ქართველი მეფეები ან გულბრყვილონი, ან გონებასუსტნი და ან რელიგიური ფანატიკოსები იყვნენ.

ოპონენტმა არც ნინწკლებს მიაქცია ყურადღება, რომლებშიც ჩასმულია სიტყვები: „ერთმორწმუნეობა“, „უპირობო ნდობა“, „რუსული ორიენტაცია“, „რუსეთუმე“, „პრორუსული“ – რაც სწორედ იმიტომაცა გაკეთებული, რომ არც „ერთმორწმუნეობის“, არც „რუსეთუმეობის“ ბრალდებებს ვიზიარებ იმ მეფეთა და ერეკლე მეორის მიმართ. და არც იმისადმი ყურადღება გაიმეტა ჩვენმა ოპონენტმა, როცა დავეწერე, რომ თუ ასე და ასე იყო, „მაშინ გულბრყვილონიც ყოფილან“-მეთქი. უნდა განვუმარტო ოპონენტს, რომ „ყოფილან“ და „მაშინ“ გულბრყვილონიც ყოფილან – არ ნიშნავს, რომ „იყვნენ“.

მას შემდეგ, რაც იმ ავტორთა მცდარ პოზიციას ვემიჯნები, უარვყოფ და ირონიზირებას ვენევი წიგნში ვიწყებ ახალ თავს – „ერეკლე მეორე“, რომელშიც სწორედ იმას ვასაბუთებ, რომ ჩვენი დიდი მეფე არც „რუსეთუმე“ იყო, არც „პრორუსული“ და არც ის ჩამოთვლილი 12 მეფე. დავასკვნი: ბრალდება, რომ თითქოს მე ზემოაღნიშნულ მეფეებს რამენაირად შეურაცხყოფდეს – არასერიოზულია და ბოდიშ ვუხდით მკითხველს, რომ ამ არასერიოზული ბრალდების გაბათილებისათვის ამდენი დრო ნავაერთი.

ბრალდება IV. მართალია, თავისი წიგნის 38-ე გვერდის შენიშვნაში ჩვენი ოპონენტი-ავტორი თითქოს გვპირდება, რომ ჩემი დასაბუთების „კრიტიკული განხილვის აზრს ვერ ხედავს, ვინაიდან ისინი ზოგადად საკითხისადმი საფუძველშივე მცდარი მიდგომის შედეგად ჩამოყალიბებულად მიაჩნია“, მაგრამ, ეტყობა, კრიტიკოსის როლი იმდენად ანიჭებს სიამოვნებას, რომ ნომდევნო ფურცელ-ნახევარზეც უხვად განაგრძობს ბრალდებების სერიას, რომ: თითქოს ვამტკიცებდე: ერეკლეს „ლანგარზე დადებული“ მიურომეცია თავისი სამეფო „კულტურული“ რუსეთისთვის; რომ შეურაცხყოფასაც ვაყენებ მეფის პიროვნებას; რომ ირანის გავლენა და ამასიის სისტემა „ფორმალურად“ არსებობდა; და კიდევ მსგავსი აბსურდები...



არა, ბატონო დავით, რაც უნდა ძლიერი ყოფილიყო ქართლ-კახეთის სამეფო, ის ვერ შეენიანაღმდეგებოდა თვით დასუსტებულ ირანს, რომელსაც ამიერკავკასიური სახანოების დასამორჩილებლად შეეძლო 70 000-იანი ჯარის და ქართლ-კახეთის წინააღმდეგ 35000-იანი ლაშქრის გამოყვანა მართალს ბრძანებთ, რომ რუსეთთან კავშირი და, მით უფრო, მისი შემოსვლა სამხრეთ კავკასიაში ძვირად უჯდება და ქართულ ქვეყნებს. ესეც ანაბანა, რასაც თქვენ დაუზარებლად ფურცლებს უთმობთ. სწორედ ამაში მდგომარეობდა ქართველი მეფეების თავგანწირული სტრატეგია, რომ რადაც უნდა დასჯდომოდით, მაინც გაეგრძელებინათ „გამოხსნისათვის“ ბრძოლა მაჰმადიანურ-აგრესიული ირან-ოსმალეთისაგან. ეს იყო ქართველი მეფეების ორსაუკუნოვანზე მეტი ხნის სტრატეგიული მიზანი. ასეთი იყო მათი არჩევანი და XXI საუკუნის პოლიტიკურ ვნებებს აყოლილმა ისტორიკოსებმა როგორც უნდა იმარჩიელონ, არაფერი გამოვა – ეს მათი გადაწყვეტილება იყო.

ბოლოს კი კიდევ ერთხელ მიგაქცევინებთ ყურადღებას იმაზე, რაც თქვენ არადა ჩააგდეთ.

ჩემს წიგნში ერეკლე მეორემდე მისი წინაპარი მეფეები იმის გამო ჩამოვთვალე და დავასახელე, რომ მკითხველისათვის მიმენიშნებინა – ერეკლე მეფე არ ყოფილა ერთადერთი, რომელმაც რუსეთს დახმარებისათვის მიმართა-მეთქი და თუ ერეკლე მეფის გადაწყვეტილებას დავგმობთ, უარვყოფთ, გონებასუსტობად, „ბრმა ნდობად“ მივიჩნევთ, მაშინ მეფეთა ის ოცეულიც ასეთებად უნდა ჩავთვალოთ-მეთქი და ეს კი, თუ დამეთანხმებით – არასერიოზულია.

ბრალდება V. „ნაკლები ბოროტების“ თეზისი არ მოგწონთ. მე კი მომწონს, ბატონო დავით! ნუ შემოთხდებით – ეს არაა არც სტალინისტობა და არც „ავადსახსენებელი საბჭორობა“ – ეს ობიექტურობაა. იმ შეჩვენებულმა დიქტატორმა სტალინმა სხარტად, ლაკონიურად და მოსწრებულად მოათავსა მომხდარი მოვლენა ორ სიტყვაში. დიახ, მაშინდელი რუსეთის იმპერია იყო, მაჰმადიანურ-ალმოსავლურ ირან-ოსმალეთთან ანუ დიდ ბოროტებასთან შედარებით, „ნაკლები ბოროტება“ – მაგრამ მაინც ბოროტება.

ბრალდება VI. მაგრად შეგისწავლიათ ჩემი ნაშრომი და მადლობასაც გეტყოდით, რომ ობიექტურობაც შეგენარჩუნებინათ, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. მე თქვენი პოზიციის გამო არ ვპასუხობთ, ნებისმიერი პოზიციის ქონის სრული უფლება გაქვთ. მე მხოლოდ თქვენს არაობიექტურ თავდასხმებს ვპასუხობ.

მაგალითად, თქვენ არ მოგწონთ, რომ არ ვახსენებ ოსმალეთის იმპერიასთან ერეკლე მეფის მიერ გაფორმებულ ალიანსს. თქვენ შეიძლება მიგაჩნდეთ, რომ ქართული სამეფო-სამთავროები უფრო კარგად იგრძნობდნენ თავს ოსმალეთის იმპერიის სივრცეში. თქვენ ამგვარი შეხედულების ქონის უფლებაცა გაქვთ. მაგრამ თქვენს შეხედულებას არ იზიარებდნენ ჩვენი დიდი მეფე-პოლიტიკოსები და რა უნდა ექნათ? კიდევ ვიმეორებ, რომ ოსმალეთ-ირანი მიუღებელი იყო – აღარ ჩამომათვლევინოთ – ჩვენი წინაპარი მეფე-პოლიტიკოსებისთვის, მათ ასე გადაწყვიტეს „ქართველის ბედი“ და მე ვამართლებ მათ გადაწყვეტილებას. თანაც, არ უნდა დაგვაინყდეს, რომ როგორც ვწერ ჩემი წიგნის 39-ე გვერდზე: „ქართლ-კახეთის მეფის ეს ნაბიჯი იძულებითი იყო“.

დაბოლოს, ჩვენს ქაოტურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გარემოში, ორაზროვნების მონადინებს რომ ზედმეტის თქმის ხალისი არ მიეცეთ, გადაჭრით ვამბობ – დაუშვებელია ერეკლე მეფის დადანიშნულება იმაში, რაც მოხდა 1801 წელს. ისიც სრული ნონსენსია, რომ დღევანდელი რუსოფილები ერეკლე მეორის სახელს სათავისოდ იყენებენ. მაგრამ ეს უკვე თქვენ აღარ გეხებათ და ამის შესახებ სხვა დროს.

ჩემს გამოპასუხებას კი ივანე ჯავახიშვილის ცნობილი შეფასებით დავასრულებ, რადგან ის ჩემი პოზიციის ფუნდამენტია: „ამ დროს პატარა საქართველო და მისი გმირი ნიჭიერი მეფე განმარტოებული და განათლებულ ქვეყნიერებას ყოველ მხრივ მოწყვეტილი იყო. საქართველოს მთავრობა დარწმუნდა, რომ ამაო იყო ყოველივე მისი ცდა ევროპის სახელმწიფოებამდის ხმის მისაწვდენად, რომ მოზღვავებული მტრების წინააღმდეგ იქითგან დახმარების მოლოდინი ტყუილი ოცნება იქნებოდა. ასეთი გარემოებაში... რუსეთის მეტი მომშველელი მამინ მათ აღარავინ ეგულებოდათ და ისევე ამ ძლიერ ჩრდილოელ სახელმწიფოს მიჰპართეს“.



ამჟამად კვიტიციონი

საქართველოს სიყვარულით ანთავი

Прощаю недруга и друга!
Целую наспех все уста!
Во мне, как в мертвом теле круга,
законченность и пустота.
Белла Ахмадулина



მრავალჯერ დაწერია – პუშკინიდან და ლერმონტოვიდან მოყოლებული, კავკასია და საკუთრივ საქართველო რუსი პოეტებისთვის საკრალური ადგილია, სადაც რუსული მუზა ფრთებს ღებდა და დაუბრუნებელ შთაგონებას იღებს და სხვაგვარი მადლით იმოსება. ამ ორი გენიის მიერ დადებულ სათავეს ღრსეულად აუბებს მხარი შემდგომი თაობების უნიჭიერებსა პოეტებმა. მათგან, უპირველეს ყოვლისა, უნდა მოვიხსენიოთ უკეთესი მხარის პირველი და სიახლეებისადმი ლტოლვილი გამორჩეული დიდი პოეტი იაკობ პოლონსკი. იგი წლების განმავლობაში მსახურობდა თბილისში, მის შემოქმედებაში საქმოდ ჩარბადა ქართული თემატიკა, იყო აკაკი წერეთლის გულითადი მეგობარი და შემთხვევითი არ გახლდათ, რომ ქებაში თავშეკავებულმა აკაკიმ მას აღფრთოვანებული, სიყვარულით აღსავსე ლექსი მიუძღვნა.

მეოცე საუკუნის დამდეგს სამაგალითო ყურადღება და სითბო, ყურადღება გამოიჩინა „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთმა პირველმა მთარგმნელმა, მრავალმხრივ განათლებულმა, უფართოესი ინტერესებისა და უფაქიზესი მუსიკალური სმენის მქონე პოეტმა კონსტანტინ ბალმონტმა, ვისაც, საქართველოში ჩამოსულს, გალაკტიონ ტაბიძესთან, სანდრო ყანჭელთან და სხვებთან ახლო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა. ასევე, დიდად ნიჭიერი ლირიკოსი იგორ სევერიანინი, ვინაც თვით ალექსანდრ ბლოკს ეცილებოდა პოპულარობასა და „პოეზიის მეფის“ ტიტულში, გასული საუკუნის ათიან წლებში რამდენჯერმე ჩამოვიდა საქართველოში „ვერცხლის საუკუნის“ ერთ-ერთ საუკეთესო პოეტთან, ფიოდორ სოლოგუბთან ერთად – თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში აწყობდნენ პოეტურ საღამოებს, ხვდებოდნენ ცისფერყანწლებს – პაოლო იაშვილს, ტიცინ ტაბიძესა და სხვებს. სოლოგუბისა და სევერიანინის ღვაწლი, საქართველოს მიმართ რომ გამოიჩინეს, ფერჯერობით სათანადოდ არა გვაქვს დაფასებული.

მაიაკოვსკი საქართველოში დაიბადა და გაიზარდა (გაუჭირებლად ლაპარაკობდა ქართულად), მისი სიყვარული არავისგან ესწავლებოდა, რაც არაერთხელ გამოხატა. თანმიმდევრობით უნდა დავასახელოთ მეოცე საუკუნის რუსი პოეტების სახელოვანი პლეადა, ისინი, რომელთაც განუზომელი ამაგი დასდეს ქართულ პოეზიას. სერგეი ესენინი, რუსეთის ბუნებისა და რუსული გლეხური ყოფის შეუდარებელი მომღერალი, ერთი პირველთაგანი იყო, ვინაც ქართული ხასიათი, საქართველოს განუმეორებელი იერი სრულყოფილად შეიცნო და კიდევაც ასახა თავის საუკეთესო ლექსებში. ამაზე ლიტერატურათმცოდნეებს ბევრი აქვთ დაწერილი. ხსენებულ პლეადას მიეკუთვნება, აგრეთვე, საქართველოზე შეყვარებული უნატიფესი ლირიკოსი ოსიპ მანდელშტამი. მან შესაფერისი პატივი მიაგო ვაჟა-ფშაველას გენიას, თარგმნა პოემა „გოგოთურ და აფშინა“. საქართველოსა და ქართველ პოეტებთან მიმართებაში სრულიად განკერძოებულად დგას ისეთი დიდი მოღვაწე, მსოფლიო მნიშვნელობის შემოქმედი, როგორც იყო ბორის პასტერნაკი. გარდა საქართველოზე დაწერილი ლექსების უმშვენიერესი ციკლისა, მან ვირტუოზულად თარგმნა და ცალკე წიგნად გამოსცა კრებული „ქართველი ლირიკოსები“, რითაც ქართულ პოეზიას დიდად გაუთქვა სახელი. ცნობილია, რომ უცხოელმა მკვლევრებმა – ინგლისელებმა,

ფრანგებმა, გერმანელებმა, იტალიელებმა და სხვებმა საქართველო რუსი პოეტების შემოქმედებითა და თარგმანებით გაიცნეს, დიდად დაინტერესდნენ და არაერთი მათგანი (ლუიჯი მაგაროტი, დონალდ რეიფილდი, ბერნარ უტიე...) ქართველოლოგი გახდა – ჩვენი ენა, კულტურა და ისტორია შეისწავლეს.

ყველასგან განსხვავებული ხმისა და ხედვის დიდმა რუსმა პოეტმა ნიკოლოზ ზაბოლოცკიმ, რუსთაველიდან დაწყებული და მეოცე საუკუნის პოეტებით დამთავრებული, ქართულ პოეზიას უზარმაზარი სამსახური გაუწია. მასთან შემოქმედებითად მეგობრობდა სიმონ ჩიქოვანი. მათმა სამაგალითო ურთიერთობამ ნაყოფიც უხვე გამოიღო. სიმონ ჩიქოვანს ასეთივე გულითადი მეგობრობა ჰქონდა დახვეწილ პოეტთან და ერუდიტთან, სპეტაკ პიროვნებასთან პაველ ანტოკოლსკისთან და უკვალოდ არც ამას ჩაუვლია. მადლიერებით უნდა გავისხენოთ გიორგი ლეონიძესთან დაძმობილებული ნიკოლოზ ტიხონოვი, ვისი შემოქმედებაც ჩვენი ხალხების სიახლოვეს და კეთილგანწყობას ასახავს. ლექსის უთუოდ პირველხარისხოვან ოსტატად მოიაზრება არსენი ტარკოვსკი, ვინაც ღრმა კვალი დაატყო რუსულ პოეზიას და ინტენსიურ მთარგმნელობით მუშაობასაც ეწეოდა, უმაღლეს დონეზე თარგმნა რამდენიმე მეგობარი ქართველი პოეტი და ჩვენი სამშობლოს ხშირი, სასურველი სტუმარი იყო. ასევე კეთილად გასასხენებლები არიან ელენა ნიკოლაევსკაია, ვლადიმირ სოლოუხინი, მიხაილ ლუკონინი, ალექსანდრ მეფიროვი და სხვები.

მათზე შედარებით ახალგაზრდებიდან საქართველოში ხშირად ჩამოდიოდნენ და ქართულ პოეზიას სიყვარულით თარგმნიდნენ თავად შესანიშნავი პოეტები: იან გოლცმანი, ალექსანდრ გლეზერი, ვლადიმირ ლეონოვიჩი, მიხაილ სინელნიკოვი...

საქართველოს მსგავსად, რუსეთშიც იყო სამოციანელთა მძლავრი და ნიჭიერი თაობა, რომლის გარეშე მეოცე საუკუნის რუსულ პოეზიაზე სრული წარმოდგენა ვერ შეგვექმნება. მესხიერებაზე ძალდატანება არ იქნება საჭირო, რომ დავასახელოთ მათგან საუკეთესონი: ანდრეი ვოზნესენსკი, ევგენი ევტუშენკო, ევგენი რეინი, ალექსანდრ კუშნერი, იური რიაშენცევი, დმიტრი ბობიშევი, ოლეგ ჩუხონცევი, რობერტ როუდესტვენსკი, ვადიმ კოზოვოვი, იოსიფ ბროდსკი, იუნა მორიცი, ბელა ახმადულინა, ელენა შვარცი...

საკმაოდ შთაბეჭდავი სიაა და უწყყამნოდ შეიძლება ითქვას, ამათგან თავისი ვეებერთელა ნიჭით, მომხიბლავი ადამიანური თვისებებით, საქართველოსადმი უსაზღვრო სიყვარულითა და შეუდარებელი მოკრძალებით ბელა ახმადულინა ყველასგან აშკარად გამოირჩევა.

არავის შევკითხვიარ, თვითონ მიფიქრია – ანა ახმატოვასა და მარინა ცვეტაევას შემდეგ რუსულ პოეზიაში არ მოსულა ქალი, ვინაც შთაგონების ძალით, გაქანებით, გამოსახვის ხერხების მრავალფეროვნებითა და აზროვნების სიღრმით მას გაუტოლდეს. ამ ორ დიდ სახელთან ერთად იგი თავისებურ სამებას ქმნის და სამივენი ასევე ვადაბმულნი გაჰყვებიან საუკუნეებს.

ბელა ახმადულინამ თავისი უკომპრომისო ცხოვრებითა და მრავლისმთქმელი, მონუმენტურად შეკრული შემოქმედებით დაამტკიცა, რომ იგი პუშკინისა და ლერმონტოვის ერთ-ერთი უღირსეულესი მემკვიდრეა, დიდ წინამორბედთა ხაზის განუხრეულად გამგრძელებელი. მათ მსგავ-

სად, უნატიფეს ლირიზმთან ერთად, უხვად აქვს მომადლებული ეპიკური ნიჭი, პომეპის გარდა, ლექსებშიაც რომ გამოავლინა, რაც პოეზიაში მეტად იშვიათი მოვლენაა. ამის გამოა, რომ მისი მეტყველება ძალზე დაახლოებულია სასაზღვრო ენასთან (ამ თვისებას პოეტებს განსაკუთრებულ ღირსებად უთვლიან), ეს კი ბუნებრიობის დაუშრეტელი წყაროა. ბელა ახმადულინას არაერთგან თავყვანისცემით აქვს დახატული პუშკინის სახე, ვისგანაც სამუდამოდ იყო დავალებული. პუშკინისეული მიმართებები და ინტონაციები ხშირად ისმის მის ლექსებში, რაზედაც შემდგომ ვიტყვი. აქ მხოლოდ გავისხენებ ადრეულ, პირობითობებზე აგებულ უცნაურ პომესს „Приключение в антикварном магазине“. უკვე ის, რომ ძველი ნივთებით მოვჭრე მოხუცი ანტიკვარი ორასი წლისა და პუშკინის ეპოქის თანამედროვეა, უმაღ მიგვანიშნებს მონაყოლის მისტიფიკაციაზე, რაც ავტორს გაღმერთებულ პოეტთან მისახლოებლად და მისაფერებლად სჭირდება. კავკასია ორჯერ არის ნახსენები, ხოლო პუშკინი, ვისი ნაადრევი დაღუპვის გამო მოუნელებელ სინანულს განიცდის, შეფარულად და დაჟინებით არის წარმოდგენილი, როგორც „ჰანბალეების შვილთაშვილი“ (правнук Ганнибалов). ეს წინასწარ მოფიქრებული მინიშნებანი კიდევ უფრო მეტი იდუმალებისა და ლეგენდების შუქით მოსავს პუშკინის ისედაც ძნელად შესაცნობ პიროვნებას.

ასეთივე შარავანდელი ბევრჯერაა გაბრწყინებული ლერმონტოვის სახეც, მაგრამ



ბელა ახმადულინა და ნოდარ დუმბაძე

კიდევ ერთი, მეტად ძლიერი ლექსის („Тоска по Лермонтову“) მოხმობას დავეჯერდები. აქ აღწერილია მცხეთაში ლერმონტოვის ყოფნა, როცა იგი ნამდვილ, გაგონილ ამბავზე თავისი უმნიშვნელოვანესი პომის – „მწირის“ დასაწერად ემზადებოდა. დასაწყისში ავტორის აღერსიანი მიმართვაა საქართველოსადმი. ღვთივეკურთხეულ მინას პოეტი უნაზეს სიყვარულს უცხადებს. ეს ანთებული სტრიქონები თვით მის დალოცვად აღიქმება, რის შემდეგაც იგი ღრმა შემოდგომის უმშვენიერეს და ნაღვლიან სურათებს აცოცხლებს. პირველივე ორ სტროფს გამოცდილი ოსტატის შთაგონება ეტყობა და სიტყვათა ზომიერი თამაში შესაფერის განწყობილებას ბადებს:

О Грузия, лишь по твоей вине,
когда зима грязна и белоснежна,
печаль моя печальна не вполне,
не до конца надежда безнадежна.

Одну тебя я счастливо люблю
и лишь твое лицо не лицемерно.
Рука твоя на голову мою
ложится благосклонно и целебно.

ოცნების კვალში ჩამდგარ პოეტს არ აშინებს სისველე, ოქტომბრის ცივი ამინდი და სხვის სახლს მიადგება საცხოვრებლად, სადაც სააბაზანოში ყინვას გადარჩენილი ჭრიჭინაა (сверчок) დაბუღებული და ნელა ღრტივს, მისებურად მღერის. პოეტი მის კვნესას თავისას შეუნყოფს და ღამღამობით ერთად მღერიან. ბოლოს წუხს, სად იშოვონ მისმა სიზმრებმა თავშესაფარი და წარმოსახვით გარეთ გაიჭრება, სადაც მზე-სა და ღრუბლებს შორის, განმარტოებული მთის წვერზე დგას „სამყაროს უმაღლესი ჭაბუკი“ („высочайший юноша вселенный“). ეს ლერმონტოვია, მაღლიდან დაჰყურებს

სვეტიცხოვლის პირქუშად გამოშხირალ ტაძარს და ეტყობა: თავის სიჭრელად და ძაბულ, დრამატულ თავგადასავალზე ფიქრობს. ქვემოთ კი, დასრულებული (ეს სტროფები წარმოსახვითია) არ წყდება ბოროლა ამ მინის დასაცავად, ხმლების ჯახაჯუხი და ცხენების ჭხენი ისმის. ლერმონტოვის პომის მსგავსად, ამ ლექსშიც ნახსენებია არაგვი და მტკვარი, რომელთაც შეერთება არ ძალუძთ, მაგრამ არც ერთმანეთთან დაშორება უნდათ. ავტორი კი შფოთავს ყმანვილის – „დიდი კაცის“ ბედზე, ვინაც უეჭველად დაიღუპება, თუ აქედან მომავალი დეულის ადგილისკენ გაემართება, თვალცრემლიანი ევედრება, საქართველო არ დატოვოს. ბელა ახმადულინა რეფრენის გამოყენების დიდოსტატია: ეს მარჯვე ხერხი კომპოზიციურად კრავს, ამთლიანებს ლექსს. აქაც, ფინალურ სამ სტროფში, ზედიზედ არის გამოყენებული ერთი და იგივე გამაფრთხილებელი ფრაზა – „სდექ მთაზე!“, რაც ჩანაფიქრის ტრანსკულ ტონალობას უჩვეულოდ აძლიერებს:

Стоя на горе! Не уходи туда,
где только-то! - через четыре года
сомкнется над тобою навсегда
пустая, совершенная свобода!

Стоя на горе! Я по твоим следам
найду тебя под солнцем, возле Мцхета.
Возьму себе всем зрением, не отдам,
и ты спасен уже, и вечно это.

Стоя на горе! Но Чем к тебе добрей,
чужой земли таинственная новость,
тем яростней соблазн земли твоей,
нужней ее сладчайшая суровость.

ხშირად მახსენდება ხოლმე ანა ახმატოვას ერთი ჩანაწერი, „დემონის“ ავტორზე ნათქვამი: „На этой планете Лермонтов не повторится“. არსად არ დაუნერია, მაგრამ ბელა ახმადულინას ალბათ სიამოვნებდა, რომ ლერმონტოვის ერთადერთი, კავკასიასთან, საქართველოსთან სისხლხორცულად დაკავშირებული რომანის ყველაზე ტრაგიკული, უღამაზეს ქალ პერსონაჟს, მთის არჩევით (серна) ყელმოღერებულ, თავადური წარმომავლობის მასავით ამაყ თათრის გოგონასაც ბელა ერქვა (განსხვავება მხოლოდ ერთ ზედმეტ „ლ“ ასომთია).

„რუსული პოეზიის მზის“, პუშკინის არაერთი შედევრი საქართველოთა შთაგონებული და „ნაღვლიანი საქართველოს“ თემას საკმაოდ ადგილი უკავია მის უკვდავ შემოქმედებაში. ლერმონტოვმაც თავის გენიალურ ქმნილებათა მოზრდილი ნაწილი (პროზა, პოეზია) საქართველოს დაუკავშირა და უძღვნა. შთაბეჭდილება ისეთია, რომ ბელას პუშკინისა და ლერმონტოვისგან ანდერძით ვადაეცა საქართველოს სიყვარული და ამიტომაც მიგვაჩნია იგი ამ ორი ღმერთკაცის ტრადიციების გამგრძელებლად, მათ ერთ-ერთ სახელოვან მემკვიდრედ. ეს კეთილშობილური მისია შემდგომ იტვირთა ბელა ახმადულინას ორმა უსპეტაკესმა მოძღვარმა – პაველ ანტოკოლსკიმ და ბორის პასტერნაკმა, რომელთა შესახებაც სასურველია, ზოგი რამ ითქვას.

პაველ ანტოკოლსკის, ვისაც ბელა თავის მასწავლებლად მიიჩნევდა და ვისაც, როგორც ადამიანს, აღმერთებდა, სხვადასხვა დროს, 1956 და 1978 წელს, ორი ლექსი მიუძღვნა. ორივეგან სიმონ ჩიქოვანია ნახსენები, გვარის გარეშე, და ეს ქართველ პოეტთან ძმურ სიახლოვეზე მეტყველებს. პირველში მისი ერთი ლექსის სტრიქონს იხსენებს ცხრა დევეზე და პირდაპირ არის ნათქვამი – „ჩემი სიმონი“ („Мой Симон“). თვრამეტი წლის ბელა რესტორანში ზის ხანდაზმულ ანტოკოლსკისთან და ღვინოს სვამენ. უხარია, რომ ასაკს ვერ გაუწელებია მისი სისხლის მხურვალეობა, უქვს „გასკონურ ტემპერამენტს“ (ანტოკოლსკიმ ფრანგი პოეტებზე საუცხოოდ თარგმნა), ეშმაკურად არის მინიშნებული, რომ იგი ამ ურული ცდუნებისგანაც არ დაიხვეს უკან. ლექსი ასე თავდება:


Все впереди, чему должно случиться!
Оно еще случится. Погоди.

►► ბაბრძილვა იძნება




თაობათა გამოფენა

საინტერესო გამოფენა მოეწყო საქართველოს მხატვართა კავშირის საგამოფენო დარბაზში „ოპიზარი“, სადაც წარმოდგენილია ცნობილი მხატვრის, თბილისის მერიის №1 ხელოვნების სამხატვრო სკოლის მასწავლებლის მერაბ კაკაბაძისა და მის მიერ აღზრდილ ნიჭიერ მოსწავლეთა: ნინი ხვისტიანის, მარიამ ბერიას, ელენე ლაბაძის, დათუნა ბარნაბიშვილის, ანა წერეთლის, ასლან ბახშივიის, გოგო დათუსანის, ნინო ტაბატაძის, მათე ოძელაშვილის, ლიზა ფაცაცია, ქეთი ზეიკიძის, ნიკა იარაჯულის ნამუშევრების გამოფენა სახელწოდებით „სინერგია“.



„დალი“, ნატოსა და ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრში, ხელოვნების მუზეუმში, ამბროლაურის სახვითი ხელოვნების მუზეუმში... მის ნამუშევრებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ბათუმის სამთავრობო აპარტამენტის მოხატულობას. 1998 წლიდან წარმატებით მუშაობს ხელოვნების ამახატვრო სკოლაში ხატვა-ფერწერის მასწავლებლად. ამ ხის მანძილზე მისმა მოსწავლეებმა 700-ზე მეტ გამოფენაში მიიღეს მონაწილეობა როგორც საქართველოს, ასევე საზღვარგარეთის გამოფენებში და კონკურსებში, სადაც არაერთი პრესტიჟული ჯილდო და სიგელი დაიმსახურეს.



მრავალფეროვნების გამოვლენის საშუალებაა. მერაბ კაკაბაძე რამდენიმე ათეული წელია ხატვისა და ფერწერის პედაგოგად მოღვაწეობს თბილისის მერიის ს. ვირსალაძის სახელობის ხელოვნების სამხატვრო სკოლაში. ამ წლებში მან გამოაზარდა ნიჭიერ ახალგაზრდათა თაობები, რომელთა გარკვეულმა ნაწილმა, მასწავლებლის ხელდასმით, მხატვრის პროფესია აირჩია და სამხატვრო აკადემიის სტუდენტები, შემდგომში კი პროფესიონალი შემოქმედნი გახდნენ.

სწორედ ამ მოსწავლეთა ერთი ჯგუფის და მერაბ კაკაბაძის ნამუშევართა გამოფენა მოეწყო მხატვართა კავშირის საგამოფენო სივრცეში „ოპიზარი“. მერაბ კაკაბაძე თავის მოსწავლეებს ასწავლის აკადემიურ ხატვას და აცნობს XX საუკუნის დასავლეთ ევროპის მიღწევებს, რაც გამოფენილ ნამუშევრებშიც ჩანს. იგი ჩვეული შემართებით აზიარებს თავის მოსწავლეებს სახვითი ხელოვნების უკიდვანო და უღამაზეს სამყაროს.

მხატვარი თუა რაზმაძე: მერაბ კაკაბაძე არის უაღრესად კარგი პიროვნება, უნიჭიერესი მხატვარი, კრეატიული პედაგოგი, რაც გამოიხატება მოსწავლეებთან ურთიერთობაში. ხატვის გარდა, ცხოვრებაში მათ ასწავლის, პირველ რიგში, ადამიანობას, ხოლო შემოქმედებაში აზროვნებისა და თავისუფლების შეგრძნებას. არ ზღუდავს უარობრივად, ყვე-



დავით დარბაიძე

მე ვარ ქართველი

მე ვარ ქართველი სულით, ხორციით და არავითარი „მამასადამე!“ შემსრუხ ვარ ოპიზის ქვათა ბორძიკთა, არ დამითმია რწმენის სადავე. მე იმ გენის ვარ, ვინაც ღრუბლებში ჰკვეთა გუმბათი სვეტიცხოველის, მქონდა უფლისგან სვე და ნუგეში და უინი ბრძოლის მესხის, ფხოველის. მე ვარ დიდგორი, მე ვარ ასპინძა და მომხდურს დღესაც ვკაფავ ხერთვისთან, მე, მკვედრეთით აღმდგარს, მტერი რას მიზამს?! ჩემს სისხლს ძარღვებში თერგი ერთვის თან. მე ფარსმანი ვარ და ვუმზერ კოლხეთს, ის, ვინც წამლეს და რომ ვერ მონამლეს, ლოცვა ვარ, დღესაც ჯოჯოხეთს რომ კვეთს ასი ათასის მტკვართან მონამის. მე ვარ ავთანდილ, მე ვარ ტარიელ, ვირჩენ ბალახით ნაკანრებს ვეფხვის, ვატარებ ქარქაშს მუდამ ცარიელს, მარჯვენით ყედურს, სადარებს მების! მე ვარ ოპიზა და მე ვარ ხანძთა! არტანუჯს ვანვდენ ლაღას ზარების, მაჯებით დამაქვს წარსულის განცდა და გორისციხე, სავეს ბზარებით. მზეს რომ უღიმის, ეს მე ვარ ცოტენი! და სისხლმდინარიც აქ ვარ ილია! დადექ, მამულო! ითმინე ცოტაც, ვიდრე ნისლეტი გადაივილიან... და, ვიდრე ვახტანგს წყვილ ისარს მესვრით, დაფიქრდეთ, იქნებ, რა გსურთ მანამდე, საზღვრებს რად უმზერთ?!

გადგმულ მაქვს ფესვი ნიკოფსიიდან დარუბადამდე!

ლიტერატორი

დროებითია აქ ეს სიჩუმე, აქ გარინდულნი ნიშანს ელიან, აქ მინა ლესავს სხივებს, ვით შუბებს, და მოდის დავით, როგორც ელია. ზეციდან თითქოს კვლავაც ისრავენ მტერს, შიდა ქართლის გულთან მიდგომილს, მაცნევ, არ შედრკე, მისვლად ისწრაფე, დაატყდეს მომხდურთ უნდა დიდგორი! სულსწრაფნი უამსაც არ ნებდებიან, ჩასაფრებულან საფლავშიც თითქოს, შიშზე და დროზე გამეფდებიან და შეღებავენ ალისფრად დიდგორს. რომელი გორა?! თქვენ, როგორც ორბნი, კვეთდით დემონებს თურმე ზეცაში, შეზავებული სისხლი და ოფლი მიკეონდათ წმინდანთ ცაში ზედაშედ. და ამჩნევია კვლავ ქრისტეს ჯვრებად ამოხეთქილი მინიდან ხმლები დიდგორს, ჩარჩენილს სიზმრებში ჯერაც თავგანწირულთა მჭექარე ხმებით. ეს დროებითი არის სიჩუმე, აქ შეფიცულნი ნიშანს ელიან, აქ მინა ლესავს სხივებს, ვით შუბებს, და მოდის დავით, როგორც ელია.

ვლადიმერ ჭანტუაძე

ქართველი პოეტები

ბოდიშის მოხდით, მუხლის მოდრეკით შევებდავ სიტყვას ქართველ პოეტებს, მათ, ვინაც ჩვენთვის მშობლების სიტობა და სიყვარული გამოიმეტეს.

ვინაც ბავშვობა გაგვიღამაზა, ჩვენში შთაბერა სული ქართული, ვინც შეგვაყვარა ქართული ენა, შეგვიქმნა ხედვა პატრიოტული.

ჩვენ გვერგო მძიმე ხედრი დევნილთა, არ დაგვკლება დარდი და ურვა, სამტროდ მოსულმა გადამთიელმა მდინარის აღმა დაგვწამა ცურვა.

„მე ვიცი, თქვენთვის კარგი რაც არის, რას უტენითო თავებში ბავშვებს. თუ დამიჯერებთ, მოგცემთ დოლარებს და ევროპაში შესასვლელ საშუალებას.“

რად უნდათ ბავშვებს მათემატიკა, აგერ ბურთი და აგერ ბურჭები. „აღესილია უკვე მახვილი და უსიკვდილოდ ვერ გადგურჩები!“

გამოჩნდა ბევრი ვაიქართველი, უნიგნური და დოლარზე ხარბი, გოგებაშვილის შერყვენს ანბანი, არ შეიხარა მავანმა წარბი.

სანტენიკოსი დასვეს მინისტრად, მისი რა მდის, რა ენაღვლება, შავს გაასალეს მარტივად თეთრად, ოლონდ ზემოდან იყოს ბრძანება.

შედეგიც მწარე მოიმკა ერმა – რა ზმნის უღლება, რისი წესები, ველარ გაიგო ერმა და ბერმა, რისთვის სჭირდება ქართველს ლექსები.

პოეზია და პოეტის სიტყვა, დღესასწაულს რომ წარმოშობს სულში, შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსანს“ ქართველი დღესაც იხუტებს გულში.

უკვე სულეთში ნასულთა ხსოვნა დღეს ჩვენთან არის მათი ლექსებით, წინაპრის მიერ აგებულ ტაძარს ასე უბრალოდ ვერ დავესხნებით!

ჩვენ უნდა ვზიდოთ ის მძიმე ტვირთი, რაიც გადმოგვცეს დიდთა ქართველთა, ჩვენ შემდეგ მოსულ ახალ თაობას ეთქვას: „უფალო, გმადლობ, გათენდა!“

თაობას, აღზრდილს პატრიოტულად, ქვეყნისთვის თუნდაც სიცოცხლის გამლებს, თაობას, ჯერ რომ არც კი მოსულა, მაგრამ მოვა და ავგინთებს სანთელს!

განათხრობა

თუ გაზაფხულზე არ შეგიყვარდა, ეს ერთი წელიც დაგიკარგია, უსიყვარულოდ ჩავლილი წლები მითხარი, ნეტავ, რაში გარგია!

შუალამა, არ მეძინება, ვეცადე, ველარ მოვხუჭე თვალი, ვნატრობ, ნეტავი ჩემს გვერდით მყავდეს, დღეს რომ შემომხვდა ლამაზი ქალი.

თუ არა, ლექსი მაინც მივუძღვნა, რომ დამრჩეს ტუბილად მოსაგონარი. რა მემართება, ველარ აუღერდა ასაკოვანი პოეტის ქნარი.

შევედრე მუზას, მიშველე რამე. შენ ერთხელ უკვე გამათამამე. უკვდავებაა, ხომ „მე და ლამე“, ეგებ, ჩემშიაც იმყოფ რამე.

მოფრინდა მუზა, არ გამანბილა, მარცხენა მხარზე, გულთან დამაჯდა. მითხრა, რალა დროს შენი ლექსია, თმა-წვერი უკვე გაჭალარავდა.

სულს უკვდავება მაინც სწყურია, სხვა პოეტებსაც დავესესხები, თუ სიყვარული წარმავალია, დიდხანს ცოცხლობენ ქვეყნად ლექსები!

ბელოები

გახსოვს? ხუმრობით მომეპარე და ჯიბეში ჩუმად ჩამიყავ ხელი. შემობრუნებულს ხელებში შემრჩა შენი სხეული – მკვრივი და ცხელი. ამ გახუმრებით და ამ შეხებით ისე ძლიერად შეტოვდა გული, ახლაც კი მახსოვს – ოცი წლის შემდეგ – როგორ ვიყავი შეყვარებული!

მთავარი რედაქტორი **ივანე ამირხანაშვილი**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **ელისაბედ მატრეველი**
ფინანსური მენეჯერი **ქეთევან დამატრეველი**
კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ბალა გვალსიანი, მზია ბარბაქაძე**
დიზაინერ-დამკაბადონებელი, გავრცელების სამსახური **ვოლდემარ ვანსაძი**

ზანდუკელის №1; ტელ.: 293 69 77 E-Mail: litsagartvelo@yahoo.com

„ლიტერატურული საქართველოს“ საბანკო ანგარიშის ნომერი: საქართველოს ბანკი, GE43BG000000161665862

გამოდის პარასკეობით

დაბეჭდილია შპს „საარის“ სტამბაში
მისამართი: თბილისი, თვედორე მღვდლის 57

ISSN 1987-9806
9 771987 980005